

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება

პროფ. ბ. ნ. გესტმანი

გამოჩენილი გეოგრაფები

და

ეოგეაურნი

## წინასიტყვაობა

წინამდებარე „მოკლე სიტყვარ-ცნობარის“ მიზანია—მკითხველს მიაწოდოს მოკლე ცნობები გეოგრაფიის შეცნობების გამოჩენილ მოღვაწეთა და გეოგრაფიულ აღმოჩენათა დარგში ცნობილ მოგზაურთა შესახებ.

ცხადია, ჩვენ შევვიძლია შევჩერდეთ მხოლოდ უმაჯრეს წარმომადგენლებზე.

ჩვენი წიგნი ასეთი სახის „სიტყვარის“ შედგენის პირველი ცდაა, ამის გამო საფიქრებელია, რომ იგი უნაკლო არ იქნება (ისტორიული და გეოგრაფიული მასალების უსრულობა, დახასიათებათა უთანაბრობა და სხვ.); მაგრამ, ვიმედოვნებთ, რომ, მიუხედავად ყველა თავისი ნაკლისა, ეს წიგნი უსარგებლო არ იქნება ჩვენი მკითხველისათვის.

ამ შრომის შედგენაში დიდი დახმარება გამიწია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის ასისტენტმა ე. პ. მესხმა, რომელსაც უღრმეს მადლობას ვუძღვნი.

მადლობას ვუცხადებ აგრეთვე ამავე კათედრის ლაბორანტს, ა. დადიანს, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია „სიტყვარ-ცნობარის“ ხელნაწერის ტექნიკურ ვაფორმებაში.

პროფ. გ. ნ. გეხტმანი.

## რედაქციის აზარი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გეოგრაფიის დარგში მოღვაწეთა და გეოგრაფიული მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე სწავლულთა და მოგზაურთა მოკლე საცნობარო სიტყვარს. ამ ნაშრომში ზოხსენებულ პირთა შორის მკითხველი ნახავს ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ხალხის ღირსეულ შვილებს, კერძოდ საბჭოთა ხალხების წარმოზადგენლებს. მკითხველი ნათლად დაინახავს იმ დიდ შემოქმედებითი საქმიანობას, რომელსაც სხვა ხალხებთან ერთად ეწეოდნენ საბჭოთა ხალხები ქვეყანათა აღმოჩენა-შესწავლის სფეროში. ავტორის თანხმობით ამ სიტყვარს დავურთეთ მოკლე ცნობები ზოგიერთი ცნობილი ქართველი მოგზაურის, ტურისტისა და ალპინისტის შესახებ, როგორიც არიან: გიორგი ავალიშვილი, ტიმოთე გაბაშვილი, იონა გედევანიშვილი; რაფიელ დანიბეგაშვილი, გრიგოლ ბატონიშვილი, გიორგი ნიკოლაძე და მისი თანამოღვაწენი.

უნდა ითქვას, რომ ამ ნაშრომის ხარვეზი იქნებოდა, თუ გეოგრაფიის დარგში მოღვაწეთა შორის მოუხსენებელი დარჩებოდა პროფ. გ. ნ. გეხტმანი, რომელსაც ჯარკვეული ადგილი ეკუთვნის საბჭოთა გეოგრაფიის რიგებში. ეს კი გამოწვეული იქნებოდა იმით, რომ ამ საცნობარო სიტყვარის ავტორი არის თვითონ გ. ნ. გეხტმანი, რომელსაც, გასაგები მიზეზების გამო, არ შეეძლო ელაპარაკნა თავის თავზე. ამ ხარვეზის შესავსებად

რედაქცია აქვე ათავსებს ზოგიერთ ცნობას გ. ნ. გებტმანის ცხოვრება-მოდლაწეობის შესახებ.

გიორგი ნიკოლოზის-ძე გებტმანი არის დიდი ეროვდიციის მქონე მეცნიერი, გეოგრაფი, ისტორიკოსი, ეკონომისტი, პედაგოგი და მწერალი. იგი დაიბადა და აღიზარდა საქართველოში (დაიბადა 1870 წელს ქ. ქუთაისში; დედით ქართველია—მისი დედა იყო ცნობილი ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის დის პოეტი-ქალის ბარბარე ჯორჯაძის ასული მანანა). თბილისის I ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1890 წ.) გ. ნ. გებტმანმა უმაღლესი განათლება მიიღო ჯერ ლენინგრადის, შემდეგ ხარკოვის უნივერსიტეტში, აქ დაამთავრამან ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის ისტორიის განყოფილება პირველი ხარისხის დიპლომით (1895 წ.)—1895 წლიდან იწყება გ. ნ. გებტმანის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა და ამ ხნის განმავლობაში მას ვხვდავთ თბილისის შემდეგს სასწავლებლებში: ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში, I კომერციულ სასწავლებელში, ქალთა უმაღლეს კურსებზე, სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საფინანსო-კოოპერაციულ ინსტიტუტში, პედაგოგიურ ინსტიტუტში, ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აქ იგი მუშაობს 1921 წლიდან). თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში მისი მოღვაწეობა მრავალწრივია: იგი არის ლექტორი ეკონომიური გეოგრაფიის ყველა დარგში, ეწევა საადმინისტრაციო-საორგანიზაციო მუშაობას (უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული ქალთა უმაღლესი კურსების გახსნასა და მოწყობაში; ეს კურსები პირველი უმაღლესი სასწავლებელი იყო კავკასიაში, გაიხსნა 1909 წელს; მონაწილეობა აქვს მიღებუ-

ლი აგრეთვე ეკონომიური ფაკულტეტის ორგანიზების საქმეში თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 1918 წელს; მან ჩამოაყალიბა ეკონომიური გეოგრაფიის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; მას ბევრგვარ თანამდებობაზე ვხედავთ, როგორიცაა: I კომერციული სასწავლებლის დირექტორი, პრინციპალ-დოცენტი, დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, ფაკულტეტის დეკანი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში). ამჟამად გ. ნ. გებტმანი ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის გამგეა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; იგი არის ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ეკონომიურ და გეოგრაფიულ მეცნიერებათა დარგში გაწეული ნაყოფიერი შრომისათვის მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1940 წელს მიანიჭა ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო სსრ კავშირის სახალხოკომისართა საბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის კომიტეტმა იმავე წელს მიანიჭა მას გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მეცნიერების დარგში დიდი დამსახურებისათვის მან 1941 წელს საქ. სსრ მთავრობისაგან მიიღო მაღალი ჯილდო—საქ. სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება.

დიდ მუშაობას ეწევა პროფ. გ. ნ. გებტმანი სამეცნიერო კადრების აღზრდისა და მომზადების დარგში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ბევრი მეცნიერი მუშაკი არა მარტო საქართველოში, არამედ სომხეთსა და აზერბაიჯანშიაც.

პროფ. გ. ნ. გებტმანი სისტემატურ დახმარებას უწევს დაწყებითი და საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლებსაც მათი პედაგოგიურ-მეთოდური კვალი-

ფიკაციის ამალების საქმეში—ლექციებით, მოხსენებებით, კონსულტირებით. იგი არის საქ. სსრ განსახკომთან არსებული სასწავლო-მეთოდური საბჭოს წევრი და ამავე განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გეოგრაფიის სამეცნიერო კაბინეტის კონსულტანტი. იგი ერთხანს გამგე იყო კავკასიის სასწავლო ოლქის პედაგოგიური მუზეუმისა, სადაც სისტემატურად ატარებდა მოხსენებებსა და კონსულტაციებს როგორც თბილისის, ისე რაიონების მასწავლებელთათვის.

პროფ. გ. ნ. გებტმანი 1902 წლიდან 1912 წლამდე საზოგადოებრივი დატვირთვის წესით მუშაობდა თბილისის სკოლის გარეშე განათლების საზოგადოებაში, რომლის საპატიო წევრადაც არჩეული იყო იგი 1910 წელს. აქ განათლებას იძენდნენ რკინიგზის სახელოსნოს მუშა-მოსამსახურენი და პოლიტიკური მიზეზებით სკოლიდან გარიცხული ახალგაზრდობა. ასწავლიდა აგრეთვე მუშათა საკვირაო სკოლებშიაც.

დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფ. გ. ნ. გებტმანს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი არის იგი. ამ საზოგადოებაში იგი 1924 წლადან აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, როგორც საბჭოს წევრი, პრეზიდიუმის წევრი, ერთხანს თავმჯდომარის მოადგილედ, სექციის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და ა. შ. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იგი აგრეთვე საქართველოს ალპინისტური მოძრაობის განვითარების საქმეშიაც.

დიდი შრომა აქვს გაწეული პროფ. გ. ნ. გებტმანს საბიბლიოთეკო საქმის ხაზითაც საქართველოში. იგი იყო ჯერ თბილისის აკადემიური ბიბლიოთეკის და შემ-

დებ საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი (1921—1930 წ.წ.).

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა (1909 წლიდან დღემდე), პროფ. გ. ნ. გეხტმანი ეწევა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას. მას მოვლილი აქვს საქართველოსა და ამიერკავკასიის ბევრი კუთხე, რამაც მდიდარი მასალა დაუგროვა მას საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვისათვის.

პროფ. გ. ნ. გეხტმანმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ეკონომიურ-გეოგრაფიულ მეცნიერებათა განვითარების საქმეს საქართველოში. იგი პირველია, რომელმაც ქართულ ენაზე დაამუშავა მსოფლიოსი და განსაკუთრებით ამიერკავკასიის ეკონომიური გეოგრაფიის საკითხები. მისი ნაშრომების გამოქვეყნებამდე ამ დარგში ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არც ერთი მნიშვნელოვანი თხზულება არ მოიპოვებოდა.

პროფ. გ. ნ. გეხტმანი ნაყოფიერი მწერალიცაა: მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი ნაშრომები, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე—სახელმძღვანელოები უმაღლესი სკოლისათვის, მეცნიერული ნარკვევები და სტატიები, პედაგოგიურ-მეთოდური წერილები, საერთო და საგანგებო სტატიები, ბიბლიოგრაფიული ხასიათის სტატიები (იგი იყო პედაგოგიური ჟურნალის—„ახალ სკოლისაკენ“—საბიბლიოგრაფიო განყოფილების გამგე), სტატიები გრანატის ენციკლოპედიისათვის, რეცენზიები, საცნობარო გეოგრაფიული სიტყვარები და ა. შ., საერთო რაოდენობით 70-ზე მეტი დაბეჭდილი და დაუბეჭდავი ნაშრომი; ამათგან დავასახელოთ ზოგიერთი: 1) გამოჩენილი გეოგრაფები და მოგზაურნი—სიტყვარ-ცნობარი; 2) გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტე-

ბა; 3) ფიზიკურ-გეოგრაფიულ ცნებათა სიტყვარი; 4) ნარკვევები დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა და გამოკვლევათა ისტორიიდან, 5) მსოფლიოს ეკონომიური გეოგრაფია; 6) საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია; 7) ამიერკავკასიის ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევები და სხვ. ამის გარდა ბევრი ნაშრომია გამოქვეყნებული ქართულ ენაზე პროფ. გ. ნ. გეხტმანის რედაქტორობით. იგი სახელმწიფო გამომცემლობის პედაგოგიური სექტორის ერთ-ერთი პასუხისმგებელი რედაქტორია დაწყებითი და საშუალო სკოლის გეოგრაფიის სახელმძღვანელოთა ხაზით. პროფ. გ. ნ. გეხტმანი ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია ცნობილი ქართული საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადული“-სა, რომლის რედაქციის წევრადაც იგი ერთხანს მუშაობდა.

პროფ. გ. ნ. გეხტმანი დღესაც განაგრძობს თავის ნაყოფიერ მოღვაწეობას.

---



**ავალიშვილი**, გიორგი ივანეს-ძე (1769—1850 წ.წ.). ცნობილი მოღვაწე, მწერალი და მოგზაური, მცოდნე ქართულის გარდა სომხური, თათრული და რუსული ენებისა. 1784 წელს გიორგი ავალიშვილი ირაკლი მეფეს გაუგზავნია პეტერბურგს, სადაც ასრულებდა საელჩოს მდივნის მოვალეობას. გ. ავალიშვილი გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად მთავარი მოქმედი პირი იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში. გიორგი მეტნაწილად რუსეთში ცხოვრობდა, გარდაიცვალა მოსკოვს. გ. ავალიშვილმა იმოგზაურა ჯერ (1791 წელს) მაშინდელ სპარსეთის აზერბაიჯანში და შემდეგ (1819—1820 წლებში) აღმოსავლეთის წმინდა ადგილებში. მან დაგვიტოვა შესანიშნავი თხზულება—„მოგზავრობაი თბილისით იერუსალიმისადმი საბერძნეთსა ზედა, უკუნქცევაი იერუსალიმით თბილისისადმივე კიპრის ქალაქისა, მცირისა აზიისა და ანატოლიის ძლით“ (ეს თხზულება ხელნაწერის სახითაა დაცული, მას ერთვის ოცამდე სურათი და ქარტა). გ. ავალიშვილის მოგზაურობის მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი—დასავლეთი საქართველო—ყირიმი—კონსტანტინეპოლი—ალექსანდრია—კაირო—იერუსალიმი—კუნძული კვიპროსი—თარსუ—კაისარი—არზრუმი—ყარსი—შულავერი—თბილისი. მოგზაურობაში ისტორიული ცნობებიცაა მოცემული ზოგიერთი ქალაქის წარმოშობა-დაარსების შესახებ. გ. ავალიშვილი ცნობილია იმითაც, რომ მან ეგვიპტიდან მუმიები წამოიღო და პეტერბურგს.

ჩაიტანა სამუზეუმოდ (იხ. А. Цагарели—Сведения, II, გვ. XXI—XXVIII, აკად. კ. კეკელიძე—ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ. 1941 წ., გვ. 634 და ტრიფონ რუხაძე—ქართული ებოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, თბ. 1939 წ. გვ. 164—173).

**ალ-ბალხია**, არაბი გეოგრაფი (X ს. ჩ. ე.), თხზ. „კითაბ-ალ-მესალიკ-ვა-ლ-მემალიკ“-ის („წიგნი გზებისა და პროვინციების“) ავტორი. იმავე ალ-ბალხიას მიერ შედგენილია გეოგრაფიული ატლასი შემდეგი სათაურით „დედამიწის სარტყლების გამოხატულება“ („სუვარ-ილ-აკალიმ“).

ალ-ბალხიამ ალ-ისტახრთან ერთად აღწერა მეტად დაწვრილებით მცირე აზია, სომხეთი. არანი, აზერბაიჯანი, საქართველო (თბილისი), ირანი, მესოპოტამია (ჯაზირი), კაბჯი (კავკასიონი), დაღესტანი (დარუბანდი), ნახჭევანი (ნახჯავანი), ხაზარეთი, ვოლგა და სხვა.

**ალ-ბირუნი**, XI ს. გამოჩენილი არაბი მეცნიერი, გეოგრაფი, ხივაში (ხორეზმი) დაბადებული, თავისი სიკოცხლის დიდი ნაწილი გაატარა ინდოეთში. მსოფლიო მეცნიერების თანამედროვე ისტორიკოსმა სარტონმა ალ-ბირუნს უწოდა „ისლამის ერთერთი უდიდესი სწავლული“. გეოგრაფიულ საკითხებისადმი მიძღვნილია მის ასტრონომიულ თხზულებათა რამდენიმე განყოფილება; უკანასკნელთა შორის განსაკუთრებით სახელგანთქმულია „ალ-მასუდის კრებული“ („ალ-კანუნ ალ-მასუდი“) და „ადგილების უკიდურესი მდებარეობის განსაზღვრა, დასახლებულ ადგილთა შორის მანძილის შესამოწმებლად“ („ტახიდდ ნიხაიატ ალ ამაკინ ფი ტასხას მასაფატ ალ-მასაკინ“). უკანასკნელში მოცემულია გეოგრაფიულ კო-

ორ დინატთა განსაზღვრის მეთოდები; გარდა ამისა ამავე თხზულებაში ალ-ბირუნს მოყავს საინტერესო მოსაზრებანი დედამიწის სახის გეოლოგიურ ცვლილებათა შესახებ; ასე, მაგალითად, ის გვამცნობს, რომ „... ხანგამოშვებით ზღვა გადაინაცვლებს ხმელეთის ადგილას და ხმელეთი ზღვის ადგილას. თუ ეს ხანა იყო სამყაროში ადამიანთა გაჩენამდე, ის უცნობი გახდა, ხოლო თუ ამის შემდეგ, არ დარჩა ხსოვნაში, რადგან მომხდარი ამბავი ადვილად ქრება, როდესაც მის შემდეგ გაივლის ხანგრძლივი დრო...“ ალ-ბირუნმა დასტოვა შესანიშნავი შრომა ინდოეთის შესახებ; აკადემიკოს ვ. ბარტოლდის მტკიცებით, ამ შრომის ავტორმა საფუძვლიანად იცოდა სანსკრიტული ენა და ლიტერატურა.

**ალ-მასჰდი**, აბულ-ჰასანი, ცნობილი არაბი მოგზაური (X ს. ჩ. ე.), რომელმაც ინახულა ირანი, ინდოეთი, ცეილონი, ჩინეთი, სომხეთი, ჩრდილო აფრიკა, ეგვიპტე, საბერძნეთი და ის ქვეყნები, რომლებიც მდებარეობენ კასპიის ზღვის პირას. თავისი დაკვირვებანი მასუდიმ შეიტანა თავის დიდ ნაშრომში: „ოქროს მდელოები და ფერადი ქვების ქვიშრობული საბადოები“. დედამიწას მასუდი თვლიდა ბურთისებურ სხეულად, მას ქონდა წარმოდგენა აორთქლებაზე, წვიმის წარმოშობაზე და საერთოდ წყლის ცირკულაციაზე ატმოსფეროში; მისივე შრომაში ნაჩვენებია ცდები ზღვის წყალზე.

**ალ-მუჰადასი** (გარდაიცვალა 985 წ.), არაბეთის ერთ-ერთი გამოჩენილი გეოგრაფი და მოგზაური, მან ინახულა ისლამის თითქმის ყველა ქვეყანა; მისი ნაწარმოები „საუკეთესო განაწილება ქვეყნების ცოდნისათვის“ („ახსან ატ-ტაკასიმ ფი მარიფატ ალ-აკალიმ“) შედგება.

ორი ნაწილისაგან; მეთოდოლოგიური, ტერმინოლო-  
 გიური და საერთო გეოგრაფიული ხასიათის შესავლის  
 შემდეგ, ავტორი იძლევა ისლამის ქვეყნების ზოგად მი-  
 მოხილვას და შემდეგ კი გადადის ცალკეული ქვეყნების  
 აღწერაზე შემდეგი განრიგით: არაბეთი, ერაყი, აკური  
 (მესოპოტამია და არაბეთის მცირე აზია) სირია, ეგვიპ-  
 ტე, ალ-მადრიბი (დასავლეთი); პირველი ნაწილი 'მთავრ-  
 რდება არაბეთის უდაბნოს აღწერით; მეორე ნაწილში  
 ალ-მუჟადასი აღწერს ირანის ოლქებს და წყობილი აღმო-  
 სავლეთიდან (ალ-მაშრიყი), რომელშიაც შედის ხვარასა-  
 ნი, სეჯესტანი, და მავერანნაჰრი (სირ-დარიის და ამუ-  
 დარიის აუზები). შემდეგ მას მოჰყავს საინტერესო ცნო-  
 ბები დეილემზე (გილანზე), არ-რიჰაბზე (აზერბაიჯანზე,  
 სომხეთზე და ამიერკავკასიაზე), დიბალზე (მიდია), ხუზი-  
 სტანზე, ფარსზე, ქერმანზე და სინდზე. მთელ მის ნაწარ-  
 მოებში მტკიცედაა დაცული გადმოცემის ერთი სის-  
 ტემა; ჯერ ავტორი იძლევა ამათუიმ ქვეყნის ან ოლ-  
 ქის ზოგად გეოგრაფიულ მიმოხილვას (კლიმატი, ნია-  
 დაგი და სხვ.), შემდეგ გადადის მათ ადმინისტრაციულ  
 დაყოფაზე, აღნიშნავს ქალაქების თავისებურებას და  
 ღირსშესანიშნაობას, ლაპარაკობს მოსახლეობის საქმი-  
 ანობაზე, ახასიათებს ქვეყნის ფინანსებს და სხვ. ყვე-  
 ლა ცნობები, რომელიც მოყავს მუჟადასს, იძლევა  
 ხალიფატის ქვეყნების გეოგრაფიის, ეკონომიკისა და  
 კულტურისათვის მეტად მნიშვნელოვან მასალას.

თავისი შრომის შედგენის დროს მან ისარგებლა  
 იმ ძირითადი მეთოდებით, რომლებითაც ჩვეულებრივ  
 ამჟამადაც სარგებლობენ გეოგრაფები თანამედროვე  
 ავლევითი მუშაობის დროს, სახელდობრ: მოგზაურობა,  
 პირადი დაკვირვება და ქვეყნებისა და ხალხთა შესწავლა,  
 გამოკითხვა იმ პირებისა, რომლებისაგანაც შეიძლება იმ

ცნობების მიღება, რაც მოგზაურს აინტერესებს, და დასასრულ კამერალური მუშაობა (სხვა ავტორების თხზულებათა კითხვა, მუშაობა წიგნთსაცავებში და სხვ.).

**ალ-იაკუბი**, ახმედი (IX ს. ჩ. ე.), არაბეთის ცნობილი გეოგრაფი, თავისი ახალგაზრდობა გაატარა სომხეთში, შემდეგ ცხოვრობდა ხვარასანში და იმყოფებოდა ტაპირიდების სამსახურში; მან იმოგზაურა ინდოეთში, შემდეგ დასახლდა ეგვიპტეში, სადაც ის გარდაიცვალა 897 წ. მისი გეოგრაფიული ნაწარმოები „ქვეყნების წიგნი“ („ქითაბ ალ-ბულდანი“) არ არის მთლიანად შენახული; ჩვენამდე მოაღწია ერაყის, ირანის, შუა აზიის და ავღანისტანის აღწერამ.

**ამერიგო ვესპუჩი** (Amerigo Vespucci, 1451—1512 წ.), იტალიის მეზღვაური, ფლორენციელი. 1490 წ. გადავიდა ესპანეთში და დაიწყო სამსახური ესპანეთის მეფესთან. მოახდინა ოთხი მოგზაურობა ახალ ქვეყანაში (1497—1504 წ.წ.), რომელიც აღმოჩენილ იქნა ქრისტეფორე კოლუმბის მიერ 1492 წ. ყველაზე მნიშვნელოვანია მესამე მოგზაურობა (1501—1502 წ.წ.) ბრაზილიის ნაპირის გასწვრივ სამხრეთის სიგანედის 25°-მდე და იქიდან კუნძულ სამხრეთ გეორგიამდე (ს. ს. 52°).

ამერიგო ვესპუჩიმ მის მიერ აღწერილ ქვეყნებს უწოდა „ახალი ქვეყანა“; გერმანელი გეოგრაფი, მარტინ ვალდზემეიულერი, ვესპუჩის დაუკითხავად თავის შრომაში „Cosmographiae Introductio“ (1507 წ.) იძლეოდა წინადადებას „ახალი ქვეყნის“-ათვის „ამერიგო“ ეწოდებინათ. 1510 წ. ქალაქ კელნში გამოიცა რუკა „Terra America“-ს სახელწოდებით და მალე ამის შემდეგ სამხრეთ

ამერიკის აღსანიშნავად სახელწოდება „ამერიკა“ გვხვდება მრავალ რუკასა და გლობუსებზე; „ახალი ქვეყნის“ ჩრდილო და სამხრეთ ნაწილზე ამერიკის სახელწოდება. პირველად გავრცელდა მერკატორის რუკაზე 1541 წ. თვით ამერიგო ვესპუჩი კი მის მიერ აღწერილ მიწებს აზიის ნაწილებად სთვლიდა.

**ამუნდსენი როალდი** (1872 – 1928 წ.წ.), ნორვეგიის ცნობილი პოლარული მკვლევარი. თავისი პირველი მოგზაურობა შობდა 1903—1906 წ. ჩრდილო ამერიკის ჩრდილო ნაპირების გასწვრივ გემ „იოა“-ზე (Gjøa) ე. წ. ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელით ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში (ბერინგის სრუტით; სან-ფრანცისკომდე).

1911—1912 წ.წ. ამუნდსენმა გამოიკვლია ანტარქტიდა; 1911 წ. დეკემბერში მან პირველმა მიაღწია სამხრეთ პოლუსს რობერტ სკოტზე ხუთი კვირით ადრე. 1918—1919 წ.წ. მან იმოგზაურა ევროპისა და აზიის ჩრდილო ნაპირების გასწვრივ და გაიარა ჩრდილო-აღმოსავლეთის გასასვლელით გემ „მოდ“-ით. 1925 წლის მაისში ამუნდსენი შვიდ თანამგზავრთან ერთად გადაფრინდა აეროპლანით შპიცბერგენიდან ჩრდილო პოლუსისაკენ. გაიარა-რა რვა საათის განმავლობაში 1000 კმ, ექსპედიცია იძულებული შეიქნა დაშვებულიყო ჩ. ს. 87°44' და დ. ს. 10°20'. 1926 წელს ამუნდსენმა მონაწილეობა მიიღო ჩრდილო პოლუსის გავლით დირიჟაბლით გადაფრენაში. ამუნდსენი ნობილეს ექსპედიციის საძებრად გადაფრინდა აეროპლან „ლატამით“ და დაიღუპა. მშვენიერად ახასიათებს პროფ. ვ. ი. ვიზე ამუნდსენის გმირულ და შესანიშნავ საქმეს. აი რას სწერს ის: „დიდია ამუნდსენის მიერ შესრულებული საქმენი-

მან პირველად გაიარა ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელით. ის ჯერ კიდევ ითვლება პირველ დედამიწის ირგვლივ პოლარულ მეზღვაურად, რომელმაც შემოუარა ჩრდილო ყინულოვან ოკეანის ყველა ნაპირებს. მან პირველმა მოახდინა დედამიწის ირგვლივი მოგზაურობა ანტარქტიკის წყლებში. მან პირველმა შეადგა ფეხი სამხრეთ პოლუსზე. მან პირველად გამოიყენა აეროპლანი და დირიჟაბლი, რათა მიეღწია ცენტრალურ არქტიკამდე. იგი პირველად გადაფრინდა დირიჟაბლით ჩრდილო პოლუსზე და გადასჭრა ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე ევროპის ნაპირებიდან ალასკამდე. ქეშმარიტად შესანიშნავია მისი ცხოვრება“ (იხ. პროფ. ვ. ი. ვიზეს წინასიტყვაობა როალდ ამუნდსენის ნაწარმოების თარგმნისა „სამხრეთის პოლუსი“; გამომც. „Молодая гвардия“; 1937 წ.; გვ. 14).

**ანაქსიმანდრე** (ჩ. ერამდე 610—547 წ.წ.), დაბადებული ქალაქ მილეტში, ნატურფილოსოფოსი, მან პირველმა დაანზადა დედამიწის რუკა და ცის სფეროს მოდელი, შემოიღო საბერძნეთში მზის საათი. ანაქსიმანდრეს რუკის თავისებურებას შეადგენს ხმელეთით გარემოცულ ზღვის აუზზე წარმოდგენა, რომელიც თავის მხრივ შემოსაზღვრულია გარე წყლის რგოლით.

მის კოსმოგონიაში (მოდღვრება სამყაროს წარმოშობის შესახებ) გვხვდება დიალექტიკის ელემენტები (მატერიის მუდმივი მოძრაობა). დედამიწა ანაქსიმანდრეს წარმოდგენილი ჰქონდა ცილინდრის ფორმით, გარშემორტყმული ცის სფეროთი.

**ანდრე**, სოლომონი (1854—1897 წ.წ.), შვედეთის ინჟინერი და პოლარული მოგზაური. 1882—1883 წ.წ.

მონაწილეობას იღებდა შვედეთის პოლარულ ექსპედიცი-  
ციაში; 1897 წელს ორ თანამგზავრთან ერთად მოახდინა  
გადაფრენა ჩრდილო პოლუსისაკენ ჰაერბურთით; ექს-  
პედიციის ყველა წევრი უგზო-უკვლოდ დაიკარგა; მისი  
ნაშთი მხოლოდ 1930 წ. იპოვნეს.

**ანუჩინი**, დიმიტრი ნიკოლოზის-ძე (1843 — 1923 წ.წ.),  
ექირა გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრა მო-  
სკოვის პირველ უნივერსიტეტში. მოსკოვის უნივერსი-  
ტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტმა 1890 წ. მია-  
ნიჭა მას გეოგრაფიის დოქტორის მეცნიერული ხარისხი  
honoris causa. ის იყო გეოგრაფიული მეცნიერების  
პირველი დოქტორი რუსეთში.

ანუჩინმა დააარსა სერიალული გეოგრაფიული ჟურ-  
ნალი „Землеведение“ (დედამიწისმცოდნეობა), რო-  
მელშიაც თავსდებოდა მეტად მნიშვნელოვანი მონოგრა-  
ფიები, როგორც ორიგინალური, ისე თარგმნითი. მის  
კალამს ეკუთვნის 77-ზე მეტი თხზულება და კრიტიკული  
სტატია გეოგრაფიაში. დ. ნ. ანუჩინის საუნივერსიტეტო  
მსმენელები ყოველთვის ტყობილობდნენ მისგან არა მარ-  
ტო „მეცნიერების უახლეს მიღწევებს, არამედ აგრე-  
თვე მათ საღ კრიტიკულ შეფასებასაც, რომელიც ყო-  
ველთვის თან ახლდა ანუჩინის ლექციებს“ (ვლ. ვლ.  
ბოგდანოვი). ანუჩინი დიდ მეცნიერულ-კვლევითი მუშა-  
ობას აწარმოებდა რუსეთის პოტამოლოგიის და ლიმნო-  
ლოგიის დარგში. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ  
რუსეთში ანუჩინისაგან იწყება ყოველმხრივი კრიტიკუ-  
ლი კვლევა და გაგება თვით გეოგრაფიის საგნისა. ანუ-  
ჩინი აქტიურად მუშაობდა „ბუნებისმეტყველების, ანთ-  
როპოლოგიის და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზო-  
გადოებაში“ და იყო ამ საზოგადოების პრეზიდენტი.



**არისტარქე სამოსელი** (ჩ. ერამდე დაახლ. 320—250 წ.წ.), საბერძნეთის ცნობილი ასტრონომი და გეოგრაფი, რომელიც თავის დაკვირვებებსა და გამოკვლევებს ახდენდა ალექსანდრიაში. „მან სცადა გეომეტრიული ხერხით გაეზომა მანძილი დედამიწიდან მზემდე და მთვარემდე, აგრეთვე დაედგინა ამ სხეულების სიდიდე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მთვარის რადიუსი სამჯერ ნაკლებია დედამიწის რადიუსზე, მზის რადიუსი კი  $6\frac{1}{2}$ -ჯერ მეტია დედამიწისაზე და რომ მთვარე დედამიწიდან დაშორებულია 74 დედამიწის რადიუსით, ხოლო მზე 1400 დედამიწის რადიუსით. მის მიერ მიღებულმა შედეგმა მიიყვანა ის იმ მოსაზრებამდე, რომ არისტოტელეს გეოცენტრული სისტემა უსაფუძვლოა... არისტარქე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყველა სიძნელენი, რომელიც დაკავშირებულია პლანეტების მოძრაობასთან, აცილებული იქნება, თუ დავუშვებთ, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები მოძრაობენ მზის, როგორც მათი ცენტრის, ირგვლივ. ასე იქნა დადგენილი არისტარქეს მიერ ცენტრული სისტემა, რომელიც ძველად მაინც მიუღებლად მიიჩნეეს“ („История философии“, ალექსანდროვის, ბიხოვსკის, მიტინის, იუდინის რედაქციით, ტ. 1, 1941 წ., გვ. 267—268).

პროფესორი თეოდორ გომპერცი არისტარქეს ძველი ქვეყნის კობერნიკად სთვლის.

**არისტოტელე** (ჩ. ერამდე 384—322 წ.წ.), ძველი საბერძნეთის გამოჩენილი სწავლული და მოაზროვნე.

მას ეკუთვნის მთელი რიგი საბუნებისმეტყველო-მეტეორული თხზულება, რომელშიაც ის იძლევა საინტერესო ცნობებს მათემატიკური და ფიზიკური გეოგრაფიიდან, მათ შორის: „ფიზიკა“, „ცის შესახებ“,

„წარმოშობისა და დაღუპვის შესახებ“, „მეტეოროლო-  
გიური მოვლენების შესახებ“ (ტერმინი მეტეოროლოგია  
აქ ნახმარია ამ სიტყვის ძველ-ბერძნული გაგებით, რო-  
გორც „მოძღვრება ცის მოვლენათა შესახებ“). კოსმოსის  
ცენტრად არისტოტელეს მიჩნეული აქვს დედამიწა,  
რომლის ბრუნვას ღერძის გარშემო უარყოფს. დედამი-  
წას აქვს სფეროს ფორმა. ცა და დედამიწა იყოფა ხუთ  
სარტყლად. მისი აზრით დედამიწის მხოლოდ რამდენიმე  
სარტყელი წარმოადგენს ადამიანის საცხოვრებელ ად-  
გილს. „უძველესმა მათემატიკოსებმა ცა ხუთ სარტყლად  
დაჰყვეს: პირველს უწოდეს არქტიკული, რადგან იქ  
არის ვარსკვლავი „არქტოსი“ (ἄρκτος) ე. ი. დათვის  
თანავარსკვლავედი. მეორე სარტყელს ზაფხულის ტრო-  
პიკულს უწოდებდნენ, მესამეს—ბუნობისას, მეოთხეს—  
ზამთრის ტროპიკულს და მეხუთეს—ანტარქტიკულს, ვი-  
ნაიდან იქაც არის დათვის თანავარსკვლავედი (πάλιν γὰρ  
καταίσει ἄρκτος ἐπὶ κατηοτέρισμῆν). სამ შუა სარტყელ-  
ზე გადადის მზე და ამბობენ, რომ ეს სარტყლები დაუ-  
სახლებელია, რადგანაც მათზე გადის მზე. მზგავსად ამი-  
სა, ამბობენ, დაუსახლებელია აგრეთვე ორი სხვა სარ-  
ტყელიც არქტიკული და ანტარქტიკული... რადგან ისი-  
ნი ახლოს არიან პოლუსებთან... ჩვენ, ამბობენ, დასახ-  
ლებული ვართ არქტიკულ სარტყელსა... და ზაფხულის  
ტროპიკულ სარტყელს შორის მოთავსებულ სივრცეზე...“  
არისტოტელეს ატლანტისა და ინდოეთის ოკეანე ერთი-  
ანად მიაჩნია. მისი აზრით ხმელეთი და წყალი დედამი-  
წაზე ისეა განაწილებული, რომ ზომიერი სარტყელი  
უწყვეტ რგოლად აკრავს გარს დედამიწის სფეროს, თა-  
ნაც გამოდის, რომ ესპანეთსა და ინდოეთს შორის არის  
მთლიანი ზღვა (ეს მოსაზრება შემდეგ, როგორც ვიცით,  
ქრისტეფორე კოლუმბის წყლით მოგზაურობის ერთ-

ერთი საფუძველი გახდა). არისტოტელემ საერთოდ სწორი აზრი გამოთქვა იმის შესახებ, რომ აზოვის ზღვა შავ ზღვაზე უფრო თხელია, უკანასკნელი კი ეგეოსის ზღვაზე უფრო თხელია, რაც, რა თქმა უნდა, არაა საე-სებით სწორი. ფილოსოფოსისათვის ცნობილი იყო დინებანი სრუტეებში—აზოვისა და შავ ზღვას შორის, შავსა და მარმარილოს ზღვას შორის, მარმარილოსა და ეგეოსის ზღვას შორის.

---

## ბ

**ბალბოა**, ვასკო-ნუნეისი (1475—1517 წ.წ.), ესპანელი კონკისტადორი და მეზღვაური. ევროპელთა შორის პირველმა გადალახა რა დიდი სიძნელენი (ულრანი ტროპიკული ტყეები და ქედები), გადასკრა პანამის ყელი. მან გამოარკვია აგრეთვე წყნარი ოკეანის ის კუნძულები, რომლებიც სამხრეთ ამერიკასთან მდებარეობენ.

**ბარანსკი**, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, (დაიბადა 1881 წ.), რუსი ცნობილი გეოგრაფი, მოსკოვის პირველი უნივერსიტეტის პროფესორი. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი სერიოზული გეოგრაფიული შრომები, მათ შორის: 1) „სსრკ ეკონომიური გეოგრაფია“ (დაიბეჭდა ხუთი გამოცემა); 2) „სსრკ ფიზიკური გეოგრაფია“ (ზოგადი მიმოხილვა); ნ. ნ. ბარანსკი გეოგრაფიულ ჟურნალის „География в школе“ რედაქტორია; ამ ჟურნალში მას გამოქვეყნებული აქვს მთელი რიგი საინტერესო სტატიები ეკონომიური გეოგრაფიის მეთოდის და მეთოდოლოგიის შესახებ; მაგალ., „ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობა“ (იხილე „География в школе“; 1939 წ.; № 4; გვ. 24—34).

**ბარანსკი**, ვილემი (1550—1597 წ.წ.), ცნობილი პოლანდიელი მეზღვაური; ჩრდილო პოლარული რაიონე-

ბის მკვლევარი; ხუთჯერ იყო არქტიკაში. მისი მოგზაურობის მთავარი მიზანი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვაო გზის ძიება ჩინეთისაკენ. მოგზაურობის დროს აღმოაჩინა შპიცბერგენის (სვალბარდი) არქიპელაგი და დათვის კუნძული („Медвежий“). უკანასკნელი მოგზაურობის დროს 1597 წ. გარდაიცვალა და დასაფლავებულია ახალ მიწაზე „ლედიანაია გავანში“. მისი სახელი ეწოდა ბარენცის ზღვას.

„ლედიანაია გავანს“—ბარენცის ექსპედიციის დასაზამთრებელ ადგილს არავენ სტუმრებია 274 წლის განმავლობაში. 1871 წ. სექტემბერში ამ ნავსაყუდელს ესტუმრა ხელახლა ნორვეგიელი მრეწველი ელინგ კარლსენი და ნახა აქ ბარენცის პატარა სახლი. 1875 წ. ამ ადგილს ესტუმრა ნორვეგიის კაპიტანი ჰუნდერსენი და 1876 წ. კი ინგლისელი სპორტსმენი ჰარდინერი.

1933 წ. იმავე ნავსაყუდელს ესტუმრა არქტიკული ინსტიტუტის გეოლოგიური ექსპედიცია ბ. ვ. მილორაღოვიჩის ხელმძღვანელობით.

ბარენცის მოგზაურობის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა მისი თანამგზავრი დე-ფერი თავის წიგნში „Diarium Nauticum“—ბარენცის მოგზაურობა (არის რუსული თარგმანი ლათინურიდან პროფ. ა. ი. მალეინისა, პროფ. ვ. ი. ვიზეს რედაქციით; „გლავსევმორპუტის“ გამოცემა; ლ. 1936 წ.).

**ბაროშ**, ჯონი (1764—1848 წ.წ.), ინგლისელი გეოგრაფი. იმოგზაურა ჩინეთში და სამხრეთ აფრიკაში. მისი ინიციატივით მოეწყო ექსპედიცია, რომელსაც უნდა აღმოეჩინა ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელი ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში. მისი სახელი ეწოდა კონცხს და სრუტეს ალასკის ჩრდილო მხარეზე.

**ბატონიშვილი**, გრიგოლი იოანეს-ძე (1789—1830 წ.წ.), იმოგზაურა პეტერბურგიდან ვილნომდე და დასწერა ამ მოგზაურობის აღმწერი თხზულება „მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე“ (შენახულია ხელნაწერის სახით). მოგზაურობა შესრულებულია 1815 წელს შემდეგი მარშრუტით: პეტერბურგი—კრასნოე სელო—იამბურგი—ნარვა—მდ. ნარვის სათავე—პსკოვის ტბა—პსკოვი—მდ. დვინა—ვილნო (იხ. ტრიფონ რუხაძე—ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, გვ. 97—109).

**ბაზინი**, (უფრო სწორეა—ბეფინი), ვილიამი (1584—1622 წ.წ.), არქტიკის ცნობილი ინგლისელი მკვლევარი. 1612 წ. ჯ. ჰალემთან ერთად ესტუმრა გრენლანდის დასავლეთ ნაპირს, 1613—1614 წ.წ. მოახდინა ექსპედიცია შპიცბერგენის ნაპირებისაკენ და 1615—1616 წ.წ. იმოგზაურა ზღვით ჰუდსონის ყურეში ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელის საძიებლად, იქიდან კი ყურეში, რომელსაც მისი სახელი ეწოდა, სმიტის სრუტემდე. უკანასკნელმა მოგზაურობამ ზღვით ბეფინი დაარწმუნა ჩრდილო საზღვაო გზის აღმოჩენის განუხორციელებლობაში ჩრდილო ამერიკის შემოვლით ინდოეთისაკენ (ე. წ. ჩრდილო დასავლეთის გასასვლელით); ამიტომ ბეფინის შემდეგ მის მიერ ნახული ადგილები დიდი ხნის განმავლობაში სხვა მოგზაურებს აღარ გამოუკვლევიათ. 1617—1619 წ. და 1620—1622 წ. ბეფინმა იმოგზაურა ზღვით წითელ ზღვასა და სპარსეთის ყურეში.

**ბერკი**, ლევ სერგის-ძე (დაბადებული ბენდერში, ბესარაბიაში, 1876 წ.), რუსეთის გამოჩენილი გეოგრაფი და ზოოლოგი, ცნობილია თავის შუა აზიის—არალის ზღვის, ბალხაშის ტბის და ისიკ-ყულის გამოკვლე-

ვებით. მას ეკუთვნის შრომები ლიოსის წარმოშობისა და კლიმატის რყევის შესახებ გამყინვარების პერიოდის შემდეგ. ბერგის მნიშვნელოვანი შრომებიდან დავასახელოთ შემდეგი: 1) „არალის ზღვა“ (1908 წ.); 2) „ბესარაბია“ („ოგნის“ გამოცემა; 1918 წ.); 3) „კლიმატი და სიცოცხლე“ (1922 წ. სტატიათა კრებული); 4) „კამჩატკის აღმოჩენა და ბერინგის ექსპედიცია“ (მ.-ლ. 1924 წ.); 5) „რუსეთის გეოგრაფიული მეცნიერების ისტორიის მიმოხილვა“ (1923 წლამდე, ჩათვლით), (სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, ლ. 1929 წ.); 6) „კლიმატოლოგიის საფუძვლები“ (ორი გამოცემა; მე-2 გამოცემა „უჩპედგიზი“, მ. 1938 წ.); 7) „სსრკ-ის ბუნება“ (ორი გამოცემა; მე-2 გამოცემა—„უჩპედგიზი“, მ. 1938 წ.); 8) „სსრკ-ის ლანდშაფტურ-გეოგრაფიული ზონები“, ნაწ. I („სელხოზგიზის“ გამომც.; მ.-ლ. 1931 წ.; არის მე-2 გამოცემაც) და სხვ. გარდა ამისა, ლ. ს. ბერგს ეკუთვნის მეთოდოლოგიური და მეთოდური ხასიათის შრომები, რომელშიაც ის გამოთქვამს თავის შეხედულებებს გეოგრაფიული მეცნიერების შინაარსზე, მის საგანზე და ამოცანებზე; ასეთი შრომების რიცხვს ეკუთვნის მისი წერილები: 1) „გეოგრაფია და მისი ადგილი სხვა მეცნიერებათა შორის“ (იხ. კრებული „Вопросы страноведения“, მ.-ლ. 1925 წ.) და 2) „მეცნიერება, მისი მნიშვნელობა, შინაარსი და კლასიფიკაცია“ (პ. 1922 წ., „Изв. Географ. Института“, II).

ბერგის მიხედვით გეოგრაფია არის ქოროლოგიური მეცნიერება (ბერძნული *χώρα*-ადგილი); ის არ არკვევს მის მიერ შესაცნობელი საგნებისა და მოვლენების არსს ან ფორმას, მას აინტერესებს მათი განაწილება სივრცეში და მათი ურთიერთ-კავშირი. გეოგრაფიის საგანს წარმოადგენს, როგორც ბუნებრივი, ისე კულტურული

ლანდშაფტი ს შესწავლა. ბუნებრივი ლანდშაფტი არის ის ოლქი, რომელშიაც რელიეფის, კლიმატის, მცენარეთა და ნიადაგთა საფარის ხასიათი ერთდებიან ერთიან ჰარმონიულ მთლიანობაში, რომელიც ტიპიურად მეორდება დედამიწის განსაზღვრული ზონის მანძილზე. კულტურული ლანდშაფტი-კი ეს ისეთი ლანდშაფტია, რომლის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადამიანმა; ასეთია, მაგალითად, ადამიანთა დასახლებული ადგილები. ის, რასაც გულისხმობენ ფიზიკური გეოგრაფიის სახელწოდების ქვეშ, შეადგენს სრულიად განსაკუთრებულ მეცნიერებათა კომპლექსს: გეომორფოლოგიის, ჰიდროლოგიის და მეტეოროლოგიისა, რომელთა ცოდნა აუცილებლად საჭიროა გეოგრაფისათვის. მეცნიერული ქვეყანათმცოდნეობა შეუძლებელია არსებობდეს რუკის გარეშე, ვინაიდან ქვეყნებისა ან ლანდშაფტების შესწავლა მოითხოვს უპირველეს ყოვლისა საზღვრების აღნიშვნას. ამიტომ კარტოგრაფია უშუალოდ დაკავშირებულია ქვეყანათმცოდნეობასთან ან იმავე გეოგრაფიასთან. ტერმინები გეოგრაფია, დედამიწისმცოდნეობა და ქვეყანათმცოდნეობა... სინონიმებს წარმოადგენენ (ლ. ს. ბერგი „Очерки истории русской географической науки“; 1929 წ.; გვ. 6). ზოოლოგიის დარგში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბერგის შრომებს იხტიოლოგიაში. მისი თეორია ცოცხალ არსებათა ევოლუციის შესახებ („ნომოგენეზისი“) მკაცრად იქნა გაკრიტიკებული რუსეთის გამოჩენილ ბიოლოგ-დარვინისტებისა და მარქსისტების მიერ.

**ბერიანი, ვიტუსი** (1680—1741 წ.წ.), ცნობილი მეზღვაური, დანელი; დაბადებული ზღვის სანაპირო ქალაქ ჰორსენსში. 1703 წ. დანიიდან ის გაემგზავრა



ზღვით ხანგრძლივ მოგზაურობისათვის ოსტ-ინდოეთში-  
 1704 წ. მან მიიღო წინადადება ვიცე-ადმირალ კრიუისი-  
 სა და გადმოვიდა: რუსეთის ფლოტის სამსახურში. პეტ-  
 რე I დაებადა აზრი მოეწყო ექსპედიცია, რათა გამო-  
 ერკვია საკითხი:—შეერთებულია თუ არა აზია ჩრდილო  
 ამერიკასთან. ამ ექსპედიციის უფროსად დანიშნული იქნა  
 ვ. ბერინგი, რომელმაც 1725 წლიდან 1730 წლამდე  
 თავის თანამგზავრებთან ერთად (ალექსი ჩირიკოვი, მარ-  
 ტინ შპანბერგი, პეტრე ჩაპლინი, ორი: გეოდეზისტი და  
 60 მეზღვაური) მოაწყო თავისი პირველი შორეული  
 ექსპედიცია და მეორეჯერ (კაზაკ დეენევის შემდეგ) გა-  
 იარა სრუტე, რომელიც აზიის კონტინენტს გამოყოფს  
 ამერიკისაგან, და აღმოაჩინა რამდენიმე კუნძული. ბერინ-  
 გის პირველი მოგზაურობა აღწერილია წიგნში—რუსე-  
 ბის პირველი ზღვით მოგზაურობა, რომელიც მოხდა გე-  
 ოგრაფიული ამოცანის გადასაწყვეტად: უერთდება თუ  
 არა აზია ამერიკას? და რომელიც მოხდა 1727-28-29  
 წლებში, ფლოტის პირველი რანგის კაპიტან ვიტუს ბე-  
 რინგის მეთაურობით, კაპიტან ბერინგისა და მასთან  
 მყოფ ოფიცრების მოკლე ბიოგრაფიული ცნობების თან-  
 დართვით, გამოცემული 1823 წ. (პეტერბურგში) ვასილ  
 ბერხის მიერ, შედგენილი ექსპედიციის მონაწილის მიჩ-  
 მან პეტრე ჩაპლინის დღიურის მიხედვით (1725—1731 წ.წ.)  
 „Журнал бытности Камчатской экспедиции“. ბე-  
 რინგი ხელმძღვანელობდა აგრეთვე მეორე ექსპედიციას,  
 რომელსაც თავის მასშტაბით და მნიშვნელობით გამო-  
 ჩენილი ადგილი უჭირავს რუსეთის არქტიკის ათვისება-  
 ში; ამ ექსპედიციამ სავსებით სამართლიანად მიიღო  
 „დიადი ჩრდილო ექსპედიციის“ სახელწოდება (1733—  
 1743 წ.წ.). ამ ექსპედიციამ გამოიკვლია რუსეთის მთე-  
 ლი ჩრდილო სანაპიროები არხანგელსკიდან კამჩატკამდე

და აღმოაჩინა კომანდორის, ალეჟტის და სხვა კები.  
„დიადი ჩრდილო ექსპედიციის“ დროს ბერინგი გარდა-  
იცვალა კომანდორის ერთ-ერთ კუნძულზე.

**ბერნიე**, ფრანსუა (1625—1688 წ.წ.), ფრანგი ექი-  
მი, ფილოსოფოსი და მოგზაური; იცხოვრა ინდოეთში  
12 წელი. კ. მარქსი თავის წერილში ენგელსთან (1853 წ.  
2 ივნისს) ბერნიეს შესახებ სწერს შემდეგს: „აღმოსავ-  
ლეთში ქალაქების წარმოშობის შესახებ არა არის რა  
უფრო ბრწყინვალე, თვალსაჩინო და ძლიერი შთაბეჭ-  
დილების მომხდენი, ვიდრე ძველი წიგნი ფრანსუა ბერ-  
ნიესი, რომელიც ცხრა წელიწადს იყო აურენგზებესთან  
(დიდი მოგოლი) ექიმად“. ამაზე ენგელსმა უპასუხა  
მარქსს: „ძველი ბერნიე მართლაც კარგია“... (1853 წ.,  
6 ივნისის წერილი). ფრანსუა ბერნიე დაიბადა 1625 წ.  
მონპელიეში კონოკორდის ახლოს; 1652 წ. დაამთავრა  
უნივერსიტეტი მონპელიეში (პროვანსი); იმავე წელს მან  
ჩააბარა გამოცდა მედიცინის დოქტორის წოდებაზე. მის  
გონებრივ განვითარებაზე ძლიერი გავლენა მოახდინა  
ცნობილ ფილოსოფოს-მატერიალისტმა გასენდიმ (1592  
—1655 წ.წ.). 1654 წ. ბერნიემ იმოგზაურა პალესტინა-  
სა და სირიაში. 1656—1658 წ.წ. მან რნახულა ეგვიპ-  
ტე და არაბეთი და, ბოლოს, ჩავიდა სურატში, სადაც  
იყო ევროპელების სავაჭრო კომპანიათა ფაქტორიები  
ინდოეთში. გამოიარა რა ბევრი განსაცდელი, ბერნიე მო-  
ხვდა დიდი მოგოლის აურენგზებეს სამსახურში. ბერნიემ  
ინახულა ინდოეთის მრავალი რაიონი და ქალაქი და მოგე-  
ცა მათი აღწერა; დე-ლა-მოტ-ლე-ვაიესადმი მიწერილ  
წერილში ის ეხება ინდოეთის ქალაქებს—დელს, აგრის  
და ლაგორეს. 1655 წ. მან ინახულა ქაშმირი და მოგე-  
ცა ამ მხარის აღწერა; აქედან ბერნიემ შეასრულა დიდი

მოგზაურობა, გაიარა დიდი მოგოლების მთელი იმპერია და ჩავიდა ბენგალიაში, სადაც ის შეხვდა ფრანგ მოგზაურ ტავერნიეს ქალაქ ალაჰაბადთან. 1666 წ. ბენგალიიდან ბერნიე გადავიდა გოლკონდში. 1667 წ., როდესაც ის ბრუნდებოდა საფრანგეთში, ინახულა ირანი. 1669 წ. დაბრუნდა სამშობლოში, სადაც გამოაქვეყნა წიგნი და წერილები თავისი მოგზაურობის შესახებ. „ბერნიეს წიგნი შედგება მთელი რიგი ცალკეული შრომებისაგან, რომლებიც დაწერილია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში... ბერნიეს ყველა ამ შრომისათვის საერთოდ დამახასიათებელია ავტორის მკვეთრი დაკვირვებულება, უმთავრესისა და არსებითის შემჩნევის უნარი, რაც აღნიშნული იყო მარქსისა და ენგელსის მიერ“... „ბერნიეს წიგნი იძლევა დიდ და მეტნაწილად სარწმუნო მასალას, როგორც ახასიათებს იმ დიდ პოლიტიკურ-ეკონომიურ ძვრებს, რომელიც ხდებოდა ინდოეთში XVII საუკუნის განმავლობაში და განსაკუთრებით იმ წლებში, როდესაც ბერნიე იმყოფებოდა ინდოეთში. კონკრეტული მოვლენების გადმოცემას ბერნიე იძლევა ცოცხლად და მხატვრულადაც კი და ამჩნევს ზათ შორის ყველაზე უფრო ნიშნობლივს“ (ფ. ბერნიეს წიგნისათვის ა. პრონინის შესავალიდან, გვ. 41, 42, 44; არის რუსული თარგმანი ბერნიეს თხზულებისა: „История последних политических переворотов в государстве Великого Могола“; სახელგამის გამოცემა; მ.-ლ. 1936 წ.). სხვათა შორის ბერნიეს აქვს ცნობები იმის შესახებ, რომ აურენგზებეს ქეშიკებად (მხლებელ მცველებად) ჰყავდა მონა ქართველები (იხ. მისი თხზულების რუსული თარგმანის 66-ე გვერდი).

**ბელინგსჰაუზენი**, თადეოზ თადეოზის-ძე (1779—1852 წ.წ.), სამხრეთ პოლარულ ქვეყნების რუსი მკვლევარი. რუსეთის პირველი დედამიწის ირგვლივი. ზღვით მოგზაურობის მონაწილე 1803—1806 წ.წ. კრუზენშტერნის მეთაურობით. 1819—1821 წ.წ. ის იყო სამხრეთ პოლარულ ექსპედიციის უფროსად. ამ ხნის განმავლობაში ბელინგსჰაუზენმა შემოიარა დედამიწის მთელი სფერო სამხრეთ სივანედებში და რამდენჯერმე გადასკრა თავისი ხომალდებით („Восток“ და „Мирный“) სამხრეთის პოლარული წრე; მიაღწია ს.ს. 69°-მდე და აღმოაჩინა ანტარქტიდა (ალექსანდრე I-ის მიწა), დაამთავრა სამხრეთ გეორგიის ნაპირების აგეგმვა და დაამტკიცა, რომ სანდვიჩის მიწა, რომელიც აღმოჩენილი იქნა 45 წლის წინათ ჯემს კუკის მიერ, პატარა ვულკანურ კუნძულების არქიპელაგს წარმოადგენს, მან გამოიკვლია მრავალი კუნძული (პეტრე I-ის, კ. ანენკოვის კ., კ. ბოროდინო და სხვ.). ბელინგსჰაუზენის ექსპედიცია ითვლება უკვე მომხდარ ექსპედიციათა შორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და ამავე დროს ძნელ ექსპედიციად. სამხრეთ პოლარული ზღვის ნაწილს, რომელიც მდებარეობს დ. ს. (გრინიჩიდან) 68° და 90° შორის, მეზღვაურის პატივსაცემად ეწოდა „ბელინგსჰაუზენის ზღვა“. თავისი ექსპედიციის შედეგები ბელინგსჰაუზენმა აღწერა თავის ორტომიან ნაშრომში: „Двукратные изыскания в Южном Полярном океане“ (ატლასით; პეტერბურგი; 1831 წ.).

**ბორჰვინსკი**, კარსტენი, ნორვეგიელი მოგზაური (დაბადებული 1864 წ.). 1894 წ. ვეშაპოსანადირო გემით იმოგზაურა მეღბურნიდან ვიქტორიას მიწამდე (ანტარქტიდაში); 1898 წ. ინგლისის გემ „სამხრეთის ჯვარი“-თ

9 თანამგზავართან ერთად გაემგზავრა ვიქტორიას მიწაზე, იქ დაიზამთრა (ეს პირველი დაზამთრება იყო ანტარქტიდაში) და 1899—1900 წ.წ. მიაღწია ს.ს. 78°45'. ამ მოგზაურობის შედეგებია: გადატანილი იქნა რუკაზე ვიქტორიას მიწის ნაპირები ედერის კონცხიდან როსის ყინულოვან ბარიერამდე და შედგენილი იქნა აგრეთვე თითქმის მთელი წლის მაგნიტური და მეტეოროლოგიური ცხრილები.

**ბროუნოვი, პეტრე ივანეს-ძე** (1852—1927 წ.წ.), ლენინგრადის უნივერსიტეტის გეოგრაფიისა და გეოფიზიკის ყოფილი პროფესორი; დიდხანს მუშაობდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიაში, რომლის საკითხებშიაც ის სარგებლობდა საერთაშორისო ავტორიტეტით. მის მიერ დაწერილია მრავალი მეტად ძვირფასი მეცნიერული შრომა, მათ შორის: 1) „ციკლონებისა და ანტიციკლონების წინსვლითი ძრაობა ევროპაში და განსაკუთრებით რუსეთში“ (პეტერბურგი, 1882 წ.); 2) „ღროითი ბარომეტრული მაქსიმუმები ევროპაში“ (პ. 1886 წ.); 3) „ფიზიკური გეოგრაფიის კურსი“ (პ. 1910 წ. რიკერის გამოცემა); 4) ატმოსფერული ოპტიკა“ (მ. 1923 წ.).

---

## ბ

**გაბაშვილი, ტიმოთე** (მე-18 საუკუნის ცნობილი მოღვაწე, გარდაიცვალა 1764 წელს). იმოგზაურა 1755—1756 წლებში აღმოსავლეთის ქვეყნებში, გასცურა შავი ზღვა, მარმარილოს ზღვა, ეგეოსის ზღვა, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილი მცირე აზია—არაბეთის სანაპიროზე, ინახულა მცირე აზია, ბალკანეთი, პალესტინა, ბევრი ქალაქი და ნავსადგური, მათ შორის კონსტანტინეპოლი, ათენი, იერუსალიმი; აღწერა მის მიერ ნახული ადგილები, ათონისა და პალესტინის სიძველენი, განსაკუთრებით ქართული ნაშთები, შესანიშნავი ტაძრები, მონასტრები, სკოლები, სასახლეები; საკმაოდ დაწვრილებით გადმოგვცა თავისი მოგზაურობის მარშრუტი ცალკეული პუნქტების დასახელებით და დახასიათებით. დასწერა შრომა „მოხილვა წმინდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა“, რომელიც 26 თავისაგან შესდგება. ეს შრომა დაბეჭდა და გამოსცა პლატონ იოსელიანმა თბილისში 1852 წელს. ტიმოთე გაბაშვილის შესახებ იხ. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ნაშრომი „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, თბ. 1941 წ., გვ. 322—328.

**გალილეი, გალილეო** (1564—1642 წ.წ.) იტალიის უდიდესი ასტრონომი და ფიზიკოსი, დაბადებული ქალაქ პიზაში; დედამიწისა და ცის მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1609 წ. გალილეიმდე მოაღწია ხმებმა, რომ ჰოლანდიაში გამოგონებულია „თვალის მილი უზორესი პერსპექტივების დასაკვირვებლად“; გალილეიმ თვითონ დაამზადა მზგავსი ხელსაწყო; როდესაც მისი ტელესკოპი, რომელიც საგნებს ადიდებდა ოცდაათჯერ, დადგმულ იქნა ვენეციაში წმინდა მარკოზის გუმბათზე, სულ სხვა სახით წარმოსდგა ცის კამარა გალილეის წინაშე. ზოგიერთი თავისი დაკვირვება მან გადმოგვცა თავის თხზულებაში—„ვარსკვლავების მოციქული“ („Nuntius sidereus“; 1610 წ.). მთვარე აღმოჩნდა არა ბრტყელი დისკო, არამედ დედამიწის მაგვარი სხეული, რომელსაც აქვს ზღვები და მთები; იუპიტერს აღმოაჩნდა ოთხი თანამგზავრი: ცის იკანკლელი (ირმის ნახტომი) აღმოჩნდა, როგორც ვარსკვლავების რთული სისტემა; აღმოჩენილ იქნა ვენერას ფაზები; დამტკიცდა მარსისა და ვენერას მოძრაობა მზის ირგვლივ და ამასთან ერთად მზის მოძრაობა თავის ღერძის გარშემო, და სხვ. გალილეი კოპერნიკის ჰელიოცენტრული სისტემის ენერგიული დამცველი იყო. თავისი თხზულებისათვის—„დიאלოგი მსოფლიოს ორი სისტემის შესახებ, პტოლომესი და კოპერნიკისა“ (1632 წ.) —დაპატიმრებულ იქნა ინკვიზიციის მიერ და იჯდა სატუსალოში, სადაც მან განიცადა ყოველგვარი დამცირება.

**გადეჰანიშვილი, იონა** (1737—1821 წ.წ.), ცნობილი მოღვაწე და მოგზაური. იმოგზაურა მცირე აზიასა, პალესტინასა, ჩრდილო აფრიკასა, დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთ ევროპაში 1805—1810 წლების მანძილზე. თავისი მოგზაურობა ცალკე წიგნად აღწერა. ეს შრომა დაბეჭდა და გამოსცა პლატონ იოსელიანმა თბილისში 1852 წელს შემდეგი სათაურით: „მიმოსვლა ანუ

მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“. აი, რას სწერს აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე იონას შრომის შესახებ: „თხზულება იწყება თბილისიდან კონსტანტინოპოლამდე მგზავრობის აღწერით, ამას თან მიჰყვება მიმოხილვა კონსტანტინოპოლისა და მთაწმიდის მონასტერთა; მერე ავტორი აგვიწერს იერუსალიმამდე მგზავრობას, იერუსალიმსა და ქრისტეს საფლავს, არქიპელაგოსის კუნძულებს, ვენეციას და მისთა გარემოთა, ალექსანდრიას და ეგვიპტეს, სინას მთას, ქალაქ ვენას, პოლონეთს და მის ქალაქებს, მოლდავიას და, კერძოდ, იასის ქალაქს. ამის შემდეგ იწყება მიმოხილვა და აღწერა რუსეთის იმ ქალაქებისა, სადაც მას მოუხდა ყოფნა: კიევის, მისი დიდებული ლავრითურთ, და მოსკოვისა. ეს თხზულება საინტერესო შრომას წარმოადგენს; მას ატყვია ბეჭედი ნამდვილი ტურისტის ნაწარმოებისა: იონა გვიხატავს ბუნების სურათებს, ვაჭრობა-მრეწველობას, მცხოვრებთა ზნეჩვეულებას, შესანიშნავ შენობებსა და ნაშთებს, მოგვითხრობს ყველა საყურადღებო ამბავს, რომელიც ამათუიმ ადგილთანაა დაკავშირებული... საერთოდ უნდა ითქვას, რომ ერუდიციითა და მეცნიერული ორიენტაციის მხრივ იონას შრომა საყურადღებო და მნიშვნელოვანია ანალოგიურ თხზულებათა შორის“ (იხ. აკად. კ. კეკელიძის ნაშრომი—„ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, თბ. 1941 წ., გვ. 352—353).

**გიულდენშტადტი**, იოჰან-ანტონი (1745—1781 წ.წ.), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; 1768—1775 წ.წ. იმოგზაურა რუსეთის სამხრეთ ნაწილში სამხრეთის ბუგამდე, ინახულა ჩრდილო კავკასია, შემდეგ გადალახა კავკასიონის ქედი და გამოიკვლია საქართველო. მისი მოგზაურობის დღიურისა და ცალკეუ-



ლი შენიშვნებისაგან შედგა მისი ცნობილი ორტომიანი შრომა „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიონის მთებში“ (გამოც. 1787—1791 წ.წ.); ამ შრომას დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. დასახელებულ შრომაში გიულდენშტედტი იძლევა ფაუნის, ფლორის, ლითონთა და მინერალთა აღწერას; საკმარისად დაწვრილებით ახასიათებს ის XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მეურნეობის თითქმის ყველა დარგსა და ვაჭრობას, აგრეთვე მოსახლეობის ზნეჩვეულებას იმ რაიონებისა, რომელიც მან ინახულა. საინტერესო ცნობებს იძლევა იგი საქართველოს შესახებ.

**გმელინი**, იოჰან-გეორგი (1709—1755 წ.წ.), რუსი აკადემიკოსი, ციმბირის მკვლევარი. ქალაქ გეტინგენში გამოვიდა გერმანულ ენაზე მისი ცნობილი შრომა „ციმბირში მოგზაურობა“, ორ ნაწილად (1751—1752 წ.წ.).

**გმელინი**, სამუილ-გოტლიბი (1744—1774 წ.წ.), იოჰან-გეორგ გმელინის ძმის შვილი. 1768—1773 წ.წ. იმოგზაურა რუსეთის სამხრეთ ნაწილის განაპირა რაიონებში. 1774 წ., კავკასიაში მოგზაურობის დროს, მოხვდა ტყვედ დაღესტანში, სადაც ის გარდაიცვალა. მას ეკუთვნის მეტად მნიშვნელოვანი შრომა შემდეგი სათაურით: „მოგზაურობა რუსეთში ბუნების სამი სამეფოს გამოსარკვევად“ (3 ტომი; პეტერბურგი; 1771 წ., 1777 წ., 1785 წ.; რუკებით).

**გოლოვინინი**, ვასილი მიხეილის-ძე (1776 — 1831 წ.წ.), ცნობილი რუსი მეზღვაური, აწერა თავისი მოგზაურობა შორეულ აღმოსავლეთში და თავისი ყოფნა იაპონიაში (კ. ჰოკაიდოზე). ეს მასალები მოათავსა შრომაში: „ნა-

წერები ...თავგადასავალთა შესახებ... იაპონელებთან ტყვეობის დროს 1811—1812—1813 წ.წ., იაპონიის სახელმწიფოსა და ხალხის შესახებ შენიშვნების თანდართვით“ (პეტერბურგი; 1816 წ.); ეს „ნაწერები“ შეიცავს ბევრ საინტერესო გეოგრაფიულ და ისტორიულ მასალას, 1817—1819 წ.წ. გოლოვინმა მოახდინა დედამიწის ირგვლივი მოგზაურობა ზღვით.

გრიგორიევი, ანდრია ალექსანდრეს-ძე (დაბ. 1883 წ.), რუსეთის ცნობილი გეოგრაფი, აკადემიკოსი; 1907 წ. ლენინგრადის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან შეისწავლა გეოგრაფია ჯერ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში და შემდეგ კი ბერლინის უნივერსიტეტში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ღებულობდა მონაწილეობას ექსპედიციებში; ასე, მაგალითად, 1916 წ.—1923 წ. მოახდინა მთელი რიგი მეცნიერული ხასიათის მოგზაურობანი სამხრეთ ურალზე; 1921 წ. ინახულა ბოლშეხემელსკაია ტუნდრის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი; 1925—1926 წ.წ. ის ხელმძღვანელობდა სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსურ რაზმს, რომელიც მოეწყო იაკუტიის გამოსაკვლევად; 1927 წ. მან ჩაატარა მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა კავკასიაში გელენჯიკის რაიონში.

ბ. ა. გრიგორიევის ეკუთვნის მთელი რიგი საინტერესო შრომები, რომელთაგან აღვნიშნოთ მხოლოდ რამდენიმე: 1) „იაკუტიის გეომორფოლოგიური მიმოხილვა“ (სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა); 2) „მიკრორელიეფის შესახებ“ (ჟურნალი „Землеведение“, 1925 წ.); 3) „ტყის საზღვრის შესახებ“ (იმავე ჟურნალში, 1924 წ.); 4) „ეკონომიური გეოგრაფიის ამოცანები და მეთოდები“ (წერილი კრებულში „Вопросы страноведения“;

მ.-ლ.: 1925 წ.: გვ. 18—32); 5) „თეორიული და გამოყენებითი გეოგრაფია, მათი თანამედროვე მდგომარეობა და შემდგომი განვითარების გზები“ („სსრკ-ის ბუნებრივი საწარმოო ძალების შესწავლის კომისიის გეოგრაფიული განყოფილების შრომებში“, — „კეპს“, 21-ე ნაკვეთი, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1930 წ.; ლ.; გვერდი 1—48); 6) „დედამიწის სფეროს ფიზიკურ-გეოგრაფიული გარსის შემადგენლობისა და აგებულების ანალიტიკური დახასიათების ცდა“ (მ.-ლ.; 1937 წ.); 7) „საბჭოთა გეოგრაფიის მიღწევები“ (მოხსენება, 1933 წ. პირველ საკავშირო გეოგრაფიულ ყრილობაზე); 8) „დინამიკური ფიზიკური გეოგრაფიის პრობლემები“ (მოხსენება იმავე ყრილობაზე); 9) „დედამიწის სფეროს მორფოლოგიური სტრუქტურის კანონზომიერებათა ძებნაში“ (ჯურნალი „Природа физической географии“; მ.-ლ. 1935 წ.; ნაკვეთი II; გვ. 3—42); 10) „ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს ძირითადი ელემენტების ზოგიერთ ურთიერთობათა და მათი ევოლუციის შესახებ“ (იქვე; მ. ლ. 1936 წ.; ნაკვეთი III; გვერდი 3—30); 11) „ეკვატორული სარტყლის ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს ძირითადი ტიპების დახასიათების ცდა“, ნაწ. I: „ეკვატორული სარტყლის ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს ტიპი“ (იქვე, 1938 წ.; ნაკვეთი, V; გვერდი 3—44); 12) იგივე, ნაწ. II: „ტროპიკული სარტყლის ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს ტიპი“ (იქვე, 1938 წ.; ნაკვეთი VI; გვ. 3—65); 13) იგივე, ნაწ. III: „არქტიკული სარტყლის ხმელეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს ტიპი“ (იქვე, 1939 წ.; ნაკვეთი VII; გვ. 3—94) და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ა. ა. გრიგორიევის მეთოდოლოგიური ხასიათის შრომები.

გრუმ-გრჟიმაილო, გრიგოლ ექვთიმეს-ძე (1860—  
—1926 წ.წ.), ცნობილი მოგზაური; დაამთავრა ლენინ-  
გრადის უნივერსიტეტი; ზოოლოგი; თავის ძმა ძიხეილ  
ექვთიმეს-ძესთან ერთად მან გამოიკვლია ცენტრალური  
აზია. 1884—1885 წ. გ. ე. გრუმ-გრჟიმაილომ გამოიკვლია  
ალაის ქედის რაიონი, პამირის ჩრდილო კალთები და  
ბუხარის მთელი მალლობი ნაწილი. 1886 წ. ის განაგრ-  
ძობდა გამოკვლევებს თურქესტანში, ფერგანის ჩრდილო  
ნაწილში, ნარიმის ხეობაში, ტბა ჩატირ-ყულის რაიონში,  
კაშგარიაში და კვლავ პამირის ჩრდილო ნაწილში.

1887 წ. გ. ე. გრუმ-გრჟიმაილომ მოახდინა ცენტ-  
რალური და აღმოსავლეთი პამირის გამოკვლევა. შემ-  
დეგ წელს მან ინახულა შუა ურალი და 1889 წ. კი ტი-  
ან-შანის აღმოსავლეთი ნაწილი და ტიბეტის ჩრდილო-  
აღმოსავლეთი კალთები.

გრუმ-გრჟიმაილოს ექსპედიციებმა გაამდიდრა მეცნი-  
ერება ცნობებით ისეთი ქვეყნების შესახებ, რომლებიც  
აქამდე რჩებოდა მცირედ გამოკვლეული ან კიდევ სრუ-  
ლიად არ ყოფილა გამოკვლეული; განსაკუთრებით დი-  
დი მნიშვნელობა აქვს: ჯერ ერთი, ლუკჩუნის ამოქვა-  
ბულის აღმოჩენას და აღწერას, რომელიც ოკეანის დო-  
ნეზე დაბლა მდებარეობს, და, მეორე, ახალ ცნობას  
ბეი-შანის მთიანი ქვეყნის შესახებ, რომელიც შეადგენს  
უდაბნო გობის იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს, ერ-  
თის მხრივ, ტიან-შანსა და, მეორე მხრივ, ნან-შანს შო-  
რის. 1896—1907 წ.წ. განმავლობაში გამოვიდა მისი  
გამოკვლევების სამი ტომი „დასავლეთ ჩინეთში მოგზა-  
ურობის აღწერა“.

## დ

**დანიბეგაშვილი**, რაფიელი—ცნობილი მოგზაური და მწერალი. იმოგზაურა ინდოეთში 1795—1813 წლებში, 18 წელი დაჰყო სხვადასხვა ქვეყანაში და ქალაქში, რის შემდეგაც (1813—1815 წლებში) დასწერა თხზულება, გადათარგმნა იგი თვითონვე ქართულიდან რუსულად და გამოსცა 1815 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე შემდეგი სახელწოდებით: „Путешествие в Индию“. ეს თხზულება ძვირფას გეოგრაფიულ ცნობებს შეიცავს. რ. დანიბეგაშვილის სამოგზაურო მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი—მესხეთი—სომხეთი—მესოპოტამია—ინდოეთის ოკეანე—ინდოეთი—ტიბეტი—შუა აზია (თურქესტანი)—ციმბირი—მოსკოვი (იხ. ტრიფონ რუხაძე—ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, თბ. 1939 წ., გვ. 110—115).

**დარვინი**, ჩარლზ-რობერტი (1809—1882 წ.წ.); ინგლისელი გენიალური მეცნიერი; დიადი ბიოლოგი, რომელმაც მეცნიერულად დაასაბუთა ორგანულ სამყაროს წარმოშობისა და განვითარების ევოლუციური მოძღვრება და წამოაყენა ბუნებრივი შერჩევის თეორია. 1831—1836 წ.წ. მან მოახდინა დედამიწის ირგვლივი ზღვით მოგზაურობა გემ „ბიგლ“-ზე. თავისავტობიოგრაფიაში ჩარლზ დარვინი სწერს: „ზიგლზე მოგზაურობა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე თვალსაჩინო ამბავი იყო, რომელმაც წარმართა მთელი ჩემი შემდგომი საქ-

მიანობა... მე დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ამ მოგზაურობამ აღზარდა და დისციპლინას მიაჩვია ჩემი გონება... ყველაზე ნათლად მაგონდება და მეხატება ტროპიკული ბუნების საუცხოო სურათები, მაგრამ პატაგონიის თვალუწედენელმა უდაბნოებმაც და ცეცხლოვანი მიწის ტყით შემოსილმა მთებმაც წარუხოცელი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. შიშველ ველურებთან შეხვედრა მის მშობლიურ სტიქიაში ისეთი ამბავია, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერ დაივიწყებ ადამიანი. მეტად საინტერესო იყო ცხენით თუნავით ველურ შეუსწავლელ ქვეყანაში მრავალი ექსკურსია, რომლებიც რამდენიმე კვირას გრძელდებოდა... უაღრესი კმაყოფილებით ვიგონებ ზოგიერთ ჩემს სამეცნიერო მუშაობას, რომელსაც ვაწარმოებდი მარჯნის რიფების (ბრაგი) პრობლემის გადასაწყვეტად, ზოგიერთი კუნძულის,—მაგალითად წმ. ელენეს კუნძულის,—გეოლოგიური აგებულების გამოსაკვლევად. არა ნაკლებ საინტერესო იყო უცნაური კავშირის აღმოჩენა, რომელიც არსებობს ვალაპაგოსის არქიპელაგის კუნძულთა და სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ფლორისა და ფაუნის შორის“. თავის ცნობილ შრომაში მარჯნის რიფების შესახებ დარვინმა წამოაყენა თეორია მარჯნის კუნძულების წარმოშობის შესახებ ხმელეთის ნაწილების ჩაწევის გზით.

**დარვინი, ჯორჯი (1845—1912 წ.),** ჩარლზ დარვინის შვილი; ნიქიერი ასტრონომი, დაამუშავა ზღვის მიმოქცევის თეორია და დაამუშავა და დაასაბუთა მთვარის დედამიწიდან მოწყვეტის გზით გაჩენის თეორია.

**დემინი, უილიამ მორისი (1850—1934 წ.წ.),** აშშ-ის ცნობილი გეოლოგი, გეოგრაფი და მოგზაური; მან ბევ-

რი იმოგზაურა ჩრდილო ამერიკაში, ევროპაში და არგენტინაში. 1877—1878 წ.წ. მოახდინა დედამიწის ირგვლივი მოგზაურობა. 1899 წ. ის მუშაობდა ფიზიკური გეოგრაფიის პროფესორად ჰარვარდის უნივერსიტეტში; იმავე წელს იმოგზაურა ალპებში და 1903 წ. თურქესტანში. დევისი უმთავრესად მუშაობდა გეომორფოლოგიის დარგში, რომელშიაც მან შეიტანა ე. წ. გეოგრაფიულ ციკლთა მწყობრი თეორია; აშშ და ევროპის გეოგრაფთა და გეოლოგთა უმეტესობა ამ თეორიას ძირითადად იზიარებს. დევისის მეცნიერულ გამოკვლევათა უმთავრესი ობიექტი იყო საკითხი რელიეფის თანამედროვე ფორმათა გენეზისის შესახებ. პროფ. ი. ს. ედელშტეინის სამართლიანი შენიშვნით, „რელიეფის ფორმათა გენეზისის ახსნა-განმარტებაში, რომელიც დევისმა მოგვცა, დევისი მიზნად ისახავდა არა მარტო აღედგინა ყველა ის სტადია, რომლებიც განვლო ამათუიმ ფორმამ, ვიდრე ის მოაღწევდა თანამედროვე მდგომარეობამდე, არამედ გაერკვია კიდევ ის კანონზომიერებანი, რომლებიც საფუძვლად უდევს ერთ ფორმათა შეცვლას მეორე ფორმებით დროის მიხედვით. დევისის ეროზიული ციკლი სწორედ იმით ხასიათდება, რომ მისი ცალკეული სტადიები ერთი მეორეს მისდევენ არა უწყესრიგოდ და არა შემთხვევით, არამედ გარკვეული ორგანული თანმიმდევრობით. მაგრამ, თუ ეროზიული ციკლის განმავლობაში რელიეფის ფორმათა განვითარების ერთი სტადია მეორეს მისდევს გარკვეული თანმიმდევრობით, ბუნებრივია დაგვებადოს აზრი, რომ აღინიშნოს თითოეული ამ სტადიათაგანი რომელიმე დამახასიათებელი მეცნიერული ტერმინით. მთელი რიგი ასეთი ტერმინებისა შემოიღო დევისმა და ამ ტერმინებმა შემდეგ ფართო გავრცელება ჰპოვა მეცნიერებაში მიუხედავად იმისა, რომ პირველ ხანებში ბევრი

კრიტიკულად და უარყოფითად შეხვდა მათ“ (ი. ს. ედელ-შტეინი—„ვილიამ მორის დევისი“, სტატია, მოთავსებული „ფიზიკური გეოგრაფიის პრობლემებში“, II, 1935 წ., სსრკ მეცნ. აკად. გამოცემა, მ.-ლ., გვ. 46).

იმაზე დამოკიდებით, თუ რომელი გეოგრაფიული ფაქტორი წარმოადგენს რელიეფის ცვლილების დროს მთავარ აგენტს, დევისის მიხედვით, უნდა გავარჩიოთ შემდეგი გეოგრაფიული ციკლები: 1) ნორმალური ან წყლის-ეროზიული; 2) გლაციალური; 3) ზღვის; 4) არიდული ან ეოლური და 5) კარსტული; თითოეულ ციკლში განვითარების განსაზღვრული სტადიები განირჩევა; ადრეულ სტადიებს დევისი უწოდებს სინორჩის სტადიებს, საშუალოს—მომწიფების სტადიებს და საბოლოოს—რელიეფის სიბერის სტადიებს. „გეოგრაფიული ციკლი სხვადასხვანაირად მიმდინარეობს მოცემულ ადგილის გეოლოგიურ აგებულებასა, ამ უკანასკნელის ტექტონიკასა და ქანების შემადგენლობაზე დამოკიდებით. რელიეფის ნორმალური ბუნებრივ-თანმიმდევრული განვითარების სვლა შეიძლება დაირღვეს ყოველ სტადიაში დედამიწის ქერქის ახალი მოძრაობით, რომელიც ქმნის პირობებს ახალი ეროზიული ციკლისათვის (ე. წ. ეროზიის გამოცოცხლება)“ (იხ. ა. ს. ბარკოვი).

დევისის თეორიის ერთგული მიმდევარი შეიქნა ვალტერ პენკი (იხ., მაგ., მისი ნაშრომი „Die geomorphologische Analyse—„გეომორფოლოგიური ანალიზი“).

დენისი, ჯონი (1550—1605 წ.წ.), ინგლისელი, არქტიკის ცნობილი მკვლევარი. თავისი პირველი ექსპედიციის დროს (1585 წ.) ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელის საძებრად ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში,



მან მიაღწია გრენლანდს, დაეშვა სამხრეთით, შემოუარა ფერუელის კონცხს და წავიდა ჩრდილო-დასავლეთით, მაგრამ იძულებული შეიქნა დაბრუნებულიყო გზიდან. 1586—1587 წ.წ. დევისმა კვლავ უშედეგოდ გაიმეორა ცდა გასულიყო ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელით; 1587 წ. სრუტით, რომელსაც მისი სახელი ეწოდა, მიაღწია ჩ. ს. 73°-მდე; 1591 წ. დევისი ხელახლა შეეცადა გასულიყო ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელით, მაგრამ უკვე წყნარი ოკეანიდან ატლანტის ოკეანეში. ამ მოგზაურობის დროს მან აღმოაჩინა ფალკლენდის კუნძულები.

**დემენვი**, სიმონი, „იაკუტელი კაზაკი“; 1648 წ. გაიარა ბერინგის სრუტე, 80 წლით ადრე, სანამ მას აღმოაჩენდა ვიტუს ბერინგი. დეჟნევის სახელი ეწოდა აზიის კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირის უკიდურეს კონცხს.

**დიკეარხნი**, არისტოტელეს მოწაფე, ცხოვრობდა ჩვენს ერამდე IV საუკუნეში. მან პირველად ნოახდინა მერიდიანის რკალის გაზომვა ლიზიმახიასა და სიენას შორის; რკალი განსაზღვრული იქნა მერიდიანის  $\frac{1}{15}$ . ამის საფუძველზე „დიკეარხმა განსაზღვრა სიგანე, რომელიც ცნობილი იყო. უძველეს ხანაში მეროედან პოლარულ წრემდე 40.000 სტადიად (ატიკური სტადიის სიგრძე უდრიდა 177,6 მეტრს). მანძილი ჰერკულესის სვეტებიდან (გიბრალტარის სრუტე) განგის შესართავამდე მან განსაზღვრა 60.000 სტადიით“ (ფრ. დანემანი „История естествознания“, ტ. I). დიკეარხსვე ეკუთვნის ჰიპოთეზა ქედების უწყვეტ რიგებზე, რომელიც აზიის ხმელეთს მთელ სიგრძეზე დასავლეთიდან აღმოსავლეთით ყოფს ორ ნაწილად.

დიუმონ-დიურვილი, ჟიულ-სებასტიან-სეზარი (1790 — 1842 წ.წ.), საფრანგეთის ცნობილი მეზღვაური და მოგზაური, ნორმანდიელი. 1819 წ. ის იყო გაგზავნილი საბერძნეთის ნაპირებისა და ეგეოსის ზღვის კუნძულების გამოსაკვლევად. კუნძულ მილოსზე ის მოწამე იყო იმისა, თუ ერთმა ბერძენმა გლეხმა თავის მიწის ნაკვეთზე როგორ იპოვა ქალის ანტიკური მარმარილოს ქანდაკება; ამ ქანდაკების არაჩვეულებრივი სილამაზით აღტაცებულმა, დიუმონ-დიურვილმა იყიდა ეს ქანდაკება და ჩამოიტანა პარიზში. ეს ქანდაკება, ცნობილი ვენერა მილოსელის სასელწოდებით, წარმოადგენს ძველი ბერძნული ხელოვნების ერთ-ერთ შედეგს.

1822—1825 წ.წ. დიუმონ-დიურვილმა მოახდინა თავისი პირველი დედამიწის ირგვლივი მოგზაურობა, რომელიც მან აწერა თავის თხზულებაში: „თვალწარმტაცი მოგზაურობა დედამიწის ირგვლივ“. 1826 წ. საფრანგეთის მთავრობის დავალებით ის გაემგზავრა ხელახლა დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ, და აგრეთვე ლა-პერუზის დაღუპული ექსპედიციის კვალის საძებრად. ამ მოგზაურობის დროს დიუმონ-დიურვილმა გამოიკვლია ტორესის სრუტე, ახალი გვინეის და ახალი ზელანდიის სანაპიროები. ავსტრალიის ნაპირებთან ინგლისის გემის კაპიტნის დილონისაგან გაიგო, რომ კუნძულ ვანიკოროს სანაპიროზე (სოლომონის კუნძულების ახლოს), რომელსაც იშვიათად ესტუმრება ხოლმე მეზღვაურები, მის მიერ ნახულ იქნა ლა-პერუზის ექსპედიციის კვალი. დიუმონ-დიურვილი გაემგზავრა იქითკენ და მართლაც დილონის მიერ მითითებულ კუნძულზე იპოვა მრავალი სხვადასხვა ნივთი დაღუპული ლა-პერუზის ხომალდებიდან — „ასტროლაბია“-დან და „ბუსოლი“-დან. მკვიდრ-ძობხუტთა მიერ მიწოდებული ცნობების საფუძველზე

დიუმონ დიურვილი მივიდა იმ დასკვნანდე, რომ სწორედ აქ დაილუპა გაბედული მეზღვაური ლა-პერუზი და ზისი თანამგზავრები.

1837 წ. დიუმონ-დიურვილი გაემგზავრა ახალი ექსპედიციით სამხრეთ პოლარულ ზღვებში. ამ ზღვით მოგზაურობის დროს მან აღმოაჩინა მთელი რიგი ახალი კუნძულები: „პინგვინების კ.“, „გვირგვინი“, „კლარა“, „ბრიჯმენი“. გრეჰემის მიწის აღმოსავლეთითმან აღმოაჩინა ნაპირი, რომელსაც უწოდა „ლუი-ფილიპეს მიწა“; ამ მიწის მახლობლად მდებარეობდა ორი პატარა კუნძული, რომელთაც მან უწოდა „უუანვილის კ.“ და „ასტროლაბიის კ.“. 1840 წ. მისმა გემებმა „ასტროლაბიამ“ და „ზელემ“ გადასჭრა სამხრეთის პოლარული წრე და აღმოაჩინა ყინულებით დაფარული მცირე კუნძული, რომელსაც ეწოდა დიუმონ-დიურვილის ცოლის პატივსაცემად „ადელის კუნძული“. ზღვით მოგზაურობის დროს ის ახდენდა ოკეანოგრაფიულ გამოკვლევებს. 1842 წ. 2 სექტემბერს დიუმონ-დიურვილი დაბრუნდა სამშობლოში და ოჯახთან ერთად დაილუპა რკინიგზის კატასტროფის დროს პარიზსა და ვერსალს შორის.

დოზრინინი, ბორის თევდორეს-ძე (დაბ. 1885 წ.), ცნობილი გეოგრაფი; დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი 1911 წ.; დ. ნ. ანუჩინის მოწაფე. 1916 წლიდან იმავე უნივერსიტეტის დოცენტი; 1923 წლიდან მოსკოვის მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის პროფესორი; 1931 წლიდან მოსკოვის პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. აქვს მთელი რიგი შრომები და გამოკვლევები ევროპის ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების, ყირიმის, ჩრდ. კავკასიის და ამიერ-კავკასიის გეოგრაფიაში. დობ-

რინინს ეკუთვნის პირველი საინტერესო ცდა ყირიმის გეომორფოლოგიური რაიონების დახასიათებისა („Землеведение“, 1922 წ.) და „დაღისტანის მცენარეულობა და ლანდშაფტური რაიონების დახასიათება“ („Ландшафтные районы и растительность Дагестана“; მ. 1925 წ.). მასვე ეკუთვნის „დაღისტანის ასსრ-ის გეოგრაფია“ (მ. 1926 წ.). 1925 წ., მექსიკაში ყოფნის შემდეგ, ბ. თ. დობრინინმა დასწერა ამ ქვეყნის შესახებ გეოგრაფიული ეტიუდი („Землеведение“, 1926 წ.). გარდა ამისა, მის კალამს ეკუთვნის შემდეგი შრომები: „აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ტერასების შესახებ“ („Землеведение“; 1932 წ.; ტ. XXXIV; ნაკვეთი 3—4); „მარეთის ავტონომიური ოლქის გეომორფოლოგია“ (იქვე; 1933 წ.; ტ. XXXV; ნაკვ. 2—3); „ამიერ-კავკასია“—ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათების ცდა (სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა; მ.-ლ. 1940 წ.); „სსრკ-ის ევროპული ნაწილის ფიზიკური გეოგრაფია“ („უჩპედგიზის“ გამ.; მ. 1941 წ.) და სხვ. ბ. თ. დობრინინი დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ერთ-ერთი რედაქტორია, სადაც მოთავსებულია მისი სტატიები. ამჟამად იგი სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

ლ. მ. შჩაპევი, ვასილი ვასილის-ძე (1846—1903 წ.წ.); რუსი გამოჩენილი ნიადაგმცოდნე, რომლის შრომებმა დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის გეოგრაფიულ მეცნიერებაზე; მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი; მეცნიერული მუშაობა დაიწყო გეოლოგიის დარგში. 1871—1877 წ.წ. მან მოახდინა მთელი რიგი მოგზაურობანი რუსეთსა და ფინეთში მდინარეთა გეოლოგიური მოქმედებების შესასწავლად. დაგროვილი მასალები

დოკუჩაევს გამოადგა სამაგისტრო დისერტაციისათვის. 1879 წ. ვ. ვ. დოკუჩაევი არჩეულ იქნა დოცენტად; 1884 წელს კი მინერალოგიის პროფესორად პეტერბურგის უნივერსიტეტში. განსაკუთრებით ბევრი და ნაყოფიერად იმუშავა დოკუჩაევემა ნიადაგმცოდნეობის დარგში და შექმნა თავისი სკოლა. მისი სადოქტორო დისერტაცია „რუსეთის შავმიწა“ (პეტერბურგი, 1883 წ.) კლასიკურ შრომას წარმოადგენს რუსეთის ნიადაგმცოდნეობის ლიტერატურაში. ვ. ვ. დოკუჩაევი „ნიადაგს კლიმატთან, მცენარეულობასთან, ადგილის რელიეფთან და დედაქანების შემადგენლობასა და ხნოვანებასთან დაკავშირებით“ განიხილავს. ის არის ფუძემდებელი მოძღვრებისა გეოგრაფიული ლანდშაფტების შესახებ და რუსეთის ნიადაგების (განსაკუთრებით შავმიწების) მეცნიერული კარტოგრაფიისა. „დაადგინა რა 1883 წ. თავის „რუსეთის შავმიწა“-ში რუსეთის ევროპული ნაწილის ნიადაგების ზონალური განაწილება, ამბობს პროფ. ლ. ს. ბერგი, დიადმა ნიადაგმცოდნემ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში, 1898 და 1899 წ.წ., გაავრცელა მოძღვრება ზონალობის შესახებ მთელი დედამიწის ზურგისათვის, და თანაც არა მარტო ნიადაგებზე, არამედ მთელ ბუნებაზე, ადამიანისა და მისი სამეურნეო საქმიანობის ჩათვლით“. დოკუჩაევი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ბუნებისმეტყველება უმთავრესად შეისწავლის ცალკეულ სხეულებს და „არა მათ თანათარდობას, არა იმ გენეტიკურ, საუკუნო და ყოველთვის კანონზომიერ კავშირს, რომელიც არსებობს ძალებსა, სხეულებსა და მოვლენებს შორის, ცოცხალსა და მკვდარ ბუნებას შორის, მცენარეთა, ცხოველთა და მინერალურ სამყაროთა შორის, ერთის მხრივ, და ადამიანის, მისი ყოფაცხოვრების და თუგინდ სულიერ სამყაროს შორის—მეორე მხრივ“

(„*К учению о зонах природы*“, 1899 წ. გვერდი 5). როგორც ზემო ნათქვამიდან ჩანს, ვ. ვ. დოკუჩაევი ისე, როგორც ბევრი სხვა გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი, არ ასხვავებს საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებათ ბუნების კანონზომიერებათაგან.

**დრიგალსკი**, ერიზი (დაბ. 1865 წ.), ცნობილი გერმანელი გეოგრაფი და პოლარული მკვლევარი. 1891—1893 წ.წ. ის ხელმძღვანელობდა გრენლანდის ექსპედიციას, რომელიც მოეწყო გრენლანდის შიდა ყინულოვანი საფარის შესასწავლად. 1901 წ. მან მოახდინა მოგზაურობა ზღვით გემ „ჰაუსზე“ ანტარქტიკაში, სადაც მან შეკრიბა მდიდარი ჰიდროლოგიური მასალა. ს.ს. 66°<sup>5</sup> და ა.ს. 90° გემი მოექცა ყინულების ტყვეობაში. ერთი წლის იძულებითი დგომის დროს დრიგალსკიმ გამოიკვლია მის მიერ აღმოჩენილი ვილჰელმ II-ის მიწა და მისი რაიონები. ექსპედიციის შედეგები დრიგალსკის მიერ გამოქვეყნებულ იქნა: 1) გრენლანდში—2 ტომად, 1897 წ., ხოლო 2) ანტარქტიკაში—1901—1928 წლების განმავლობაში.

---

**მრატოსთენე** — ცნობილი ასტრონომი და გეოგრაფი (276—194 წ.წ. ჩვენს ერამდე); ის იყო ეგვიპტეში ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დირექტორი. ერატოსთენეს ეკუთვნის თავისი დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი შრომა „გეოგრაფიკა“ („გეოგრაფუმენა“) სამ კარად, რომელშიაც მან პირველად ჩაუყარა საფუძველი მეცნიერულ გეოგრაფიას. ამ თხზულების პირველი კარი შეიცავს წყაროების კრიტიკას და ფიზიკურ გეოგრაფიას, მეორე კარი მიძღვნილია მათემატიკური გეოგრაფიისადმი, რომელიც ეყრდნობა ასე თუ ისე ზუსტ გრადუსულ გაზომვას; მესამე კი მიძღვნილია ქორეოგრაფიისადმი, ე. ა. ცალკეული ქვეყნების აღწერისადმი. ერატოსთენე გვასწავლიდა, რომ დედამიწა არის სფერო; მან პირველად სცადა განესაზღვრა დედამიწის სიდიდე; ერატოსთენეს აზრით, თუ გამოვიანგარიშებთ ცაზე მზის სიმაღლის განსხვავებას შუადღისას ორ სხვადასხვა ქალაქში, რომლებიც ერთსადაიმავე საშუაღლეო ხაზზე მდებარეობენ, და შემდეგ გავიგებთ მანძილს ამ ორ ქალაქს შორის, მაშინ შესაძლებელი იქნება დედამიწის სიდიდის გამოანგარიშება. მის მიერ მოხდენილი გამოანგარიშების თანახმად დედამიწის სფეროს წრეხაზი უდრის 250.000 სტადიას (39.500 კმ-მდე; თანამედროვე მეცნიერები დედამიწის სფეროს წრეხაზს განსაზღვრავენ 40.000 კმ.).

ერატოსთენემ თავის თხზულებას „გეოგრაფიკა“-ს დაურთო რუკები, რომელიც მკაცრად გააკრიტიკა ძველი დროის უდიდესმა ასტრონომმა ჰიპარქმა.

**მზრამოვი**, ფილიპე სერგეის-ძე, უნტერ-ოფიცერი ნიჟნი-ნოვგოროდის პოლკისა 1774 წელს ტყვედ ჩაუვარდა ჯერ პუგაჩოველთ (იაიკის კაზაკებს), შემდეგ კი ყირგიზებს, რომელთაც გაჰყიდეს იგი, როგორც მონა, ბუხარაში. აქ მან, სამხედრო საქმის ცოდნის წყალობით, დაიმსახურა ოფიცრის ჩინი (იუზ-ბაში—ასისტავი) და რამდენიმე წლის განმავლობაში ემსახურებოდა ბუხარის მმართველს (ატალიკს) დანიიარ-ბეკს, რომლის დავალებითაც გაემგზავრა ხივაში, მარაუში, ირანში და სხვა რაიონებში. რამდენიმე ხნის შემდეგ ეფრემოვი გაიპარა ბუხარიდან კოკანდში, იქიდან კი კაშგარის, იარკენდის, ტიბეტის, კატმირის და ინდოეთის გავლით მიაღწია ინგლისს და, ბოლოს, 1782 წელს დაბრუნდა რუსეთში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მას პრაპორშჩიკის წოდება მისცეს და გააწესეს სამსახურში საგარეო საქმეთა კოლეგიაში აღმოსავლური ენების თარჯიმანად. ეფრემოვმა დასწერა თავისი მოგზაურობის ანგარიში, რომელშიც მას მოჰყავს ბევრი საინტერესო ცნობა ხივის, ბუხარის, უდაბნო ყიზილ-ყუმის, მდინარე ამუ-დარიისა და სხვათა შესახებ. ი. ვ. მუშკეტოვის სამართლიანი შენიშვნით ფ. ს. ეფრემოვის მოგზაურობის აღწერა „მნიშვნელოვან პროგრესს წარმოადგენდა თავისი დროისათვის აზიის შესწავლის საქმეში“; „ეფრემოვი რომ არ დაევიწყებინათ, სწერს იგივე სწავლული, მირ-იზეტ-ულას აღარ ჩასთვლიდნენ პირველ მოგზაურად ტერეკ-დავანის უღელტეხილის გადალახვით, რადგან ეს პატივი დამსახურებული აქვს რუს მოგზაურს ფ. ეფრემოვს“ (იხ.



ო. ვ. მუშეკეტოვი—„Туркестан“, ტ. I, ს.-პ. 1886 წ., გვ. 74). ეფრემოვის ანგარიში ოთხჯერ გამოიცა—პირველად ს.-პ.-ში მის უცნობელად 1786 წელს, მეორედ 1794 წ. მის მიერვე ს.-პ.-ში, მესამედ ყაზანში 1811 წელს და მეოთხედ დედან ხელნაწერიდან გადაიბეჭდა ქურნ. „Русская старина“-ში 1893 წ., № 7 (იხ. ბროკჰაუზ-ეფრონის „ენციკლოპედიური ლექსიკონი“, 1-ლი გამოცემა, ტ. XI-ა, ს.-პ. 1894 წ., გვ. 694—695).

---

**ვახანიანი**, გერმანი (1840—1929 წ.წ.), ცნობილი გერმანელი გეოგრაფი, გეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი. თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისში მას იტაცებდა ფიზიკა-მათემატიკური და ბიოლოგიური მეცნიერებანი, შემდეგ კი, გოთაში მუშაობის პერიოდში (1864 წ-დან 1876 წლამდე) საშუალო სკოლაში მასწავლებლის თანამდებობაზე ყოფნის დროს, სადაც იგი გეოგრაფიას ასწავლიდა, ვაგნერი დასაპეციალდა უკვე გეოგრაფიული მეცნიერების დარგში. 1880 წლამდე იგი კითხულობდა ლექციებს ზოგადი გეოგრაფიიდან კენიგსბერგის უნივერსიტეტში, შემდეგ კი 1920 წლამდე გეტინგენის უნივ-ში. უნივერსიტეტში თავისი სამასწავლებლო მოღვაწეობის პირველ პერიოდში იგი კითხულობდა ლექციებს როგორც მათემატიკური და ფიზიკური გეოგრაფიიდან, ისე ანთროპოგეოგრაფიიდან და ქვეყანათმცოდნეობიდანაც. მხოლოდ 1905 წლიდან ვაგნერს დაუნიშნეს ასისტენტი, რომელმაც განტვირთა იგი ლექციებისა და მეცადინეობის ერთი ნაწილისაგან. გეოგრაფიული მეცნიერების სხვადასხვა დარგში მრავალმხრივი მუშაობის შედეგად მან შესძლო შეექმნა გეოგრაფიის ბრწყინვალე კურსი უმაღლეს სასწავლებელთათვის — „Lehrbuch der Geographie“ (სამ ნაწილად). ამის გარდა, მან შეადგინა სასწავლო გეოგრაფიული ატლასი, რომელიც ბევრჯერ გამოიცა. 1879 წლიდან მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა მასალის სიუხვით მეტად ძვირ-

ჯანსი ყოველწლიური ორგანო „Geographisches Jahrbuch“ (ვაგნერის უშუალო რედაქტორობით დაიბეჭდა 36 ტომი). შემდეგ იგი ბევრს და ნაყოფიერად მუშაობდა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიის შესწავლისა და პორტოლანების გამოკვლევის დარგში. განსვენებულმა რუსმა აკადემიკოსმა ი. მ. შოკალსკიმ სრულიად სამართლიანად შენიშნა, რომ „გეოგრაფია გ. ვაგნერს უნდა უმაღლოდეს ბევრ რასმე და, უმთავრესად, მას, რომ იგი დამკვიდრდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო დისციპლინათა შორის“ (იხ. ი. შოკალსკი „გერმან ვაგნერის ხსოვნას“, ნეკროლოგი ჟურნალში „Известия госуд. рус. географического общества“, სახ. გამომც. 1930 წ., ტ. 62, ნაკვეთი მე-2, გვ. 190).

**ჯანაშვილი, ჯორჯი** (1758—1798 წ.წ.), ინგლისელი მეზღვაური და მოგზაური, ჯემს კუკის თანამგზავრი მეორე და მესამე მოგზაურობის დროს. მან აწერა ჩრდილო ამერიკის მთელი დასავლეთი სანაპირო კალიფორნიიდან ალასკამდე, ზღვის გასასვლელის საძებრად წყნარი ოკეანიდან ატლანტის ოკეანეში. მისი სახელი ეწოდა კუნძულს, რომელიც მოთავსებულია ჩრდილო ამერიკის დასავლეთ სანაპიროსთან.

**ჯარდან აღმოსავლელი** (არაველცი); სომეხი, ცნობილი (XIII საუკუნის) მეცნიერი, ისტორიკოსი და გეოგრაფი. მას ვკუთვნის საინტერესო შრომა „გეოგრაფია“, რომელშიაც აღწერილია არა მხოლოდ სომხეთი, არამედ აგრეთვე მეზობელი ქვეყნებიც მონღოლთა ბატონობის დროს.

**ჯარდნიუსი, ბერნჰარდი** (1622—1650 წ.წ.); თავის დროისათვის მეცნიერული თვალსაზრისით მეტად მნიშ-

ვენლოვანი „ზოგადი გეოგრაფიის“ ავტორი („Geographia generalis“). ვარენიუსის ეს შრომა, რომელიც გამოვიდა ამსტერდამში მისი გარდაცვალების წელს, წარმოადგენს პირველ ცდას მოგვეცეს ნაცვლად აღწერილობითი გეოგრაფიისა, განმარტებითი გეოგრაფიის კურსი, რომელიც ემყარება მათემატიკისა და ფიზიკის კანონებს. ვარენიუსი გეოგრაფიას იხილავდა, როგორც გამოყენებითი მათემატიკის ნაწილს და ამტკიცებდა მის პრაქტიკულ ღირებულებას. მისი აზრით გეოგრაფია ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ზოგადი გეოგრაფიისაგან, რომელიც შეისწავლის ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს და ლითოსფეროს და ბ) სპეციალურისაგან, — რომელიც ცალკეულ გეოგრაფიულ კათეგორიებს განიხილავს, რომლის მიხედვით ახლა ხდება ქვეყნების აღწერა. ვარენიუსის „ზოგადი გეოგრაფია“ პეტრე I-ის ბრძანების თანახმად გამოცემული იქნა რუსულ ენაზე 1718 წ. შემდეგი სათაურით: „География генеральная или повсюдная: в ней же аффекции или действия генеральная; земноводного круга толкуются“.

ვახაკო-და-გამამ (1460—1524 წ.წ.), პორტუგალიელი მეზღვაური და მოგზაური; მოაწყო ექსპედიცია ინდოეთში აფრიკის შემოვლით (1497 წ.). გზაზე არაბეთის ერთ-ერთ სავაჭრო ნავსადგურ მელინდში მიიღო გამოცდილი ლოცმანი ახმედ-იბნ-მაჯიდი, რომლის გამოცდილებისა და აგრეთვე ზღვით მოგზაურობისათვის ხელშემწყობი ამინდის შემწეობით პორტუგალიელებმა მიაღწიეს ინდოეთის ქალაქ კალიკუტს მალაბარის სანაპიროზე 1498 წ. უფრო გვიან ვასკო-და-გამამ მოახდინა კიდევ ორი მოგზაურობა ინდოეთში კოლონიების დაპყრობის მიზნით და დაანგრია ქალაქი კალიკუტი (1502—

1524 წ.წ.). 1524 წ., მისი გარდაცვალების წინ, ის იყო დანიშნული ინდოეთის ვიცე-კოროლად.

**ვახუშტი** (დაბ. დაახლოებით 1676 წ., გარდაიცვალა 1770—1772 წლებს შორის), XVIII საუკუნის საქართველოს ცნობილი მეცნიერი, გეოგრაფი, ისტორიკოსი, არქეოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე, მეფე ვახტანგ VI-ის შვილი. 1724 წ. მამასთან ერთად გადასახლდა საქართველოდან რუსეთში, დასახლდა მოსკოვში, სადაც დაიწყო მეცნიერული მუშაობა. მის კალამს ეკუთვნის მეტად სერიოზული შრომები საქართველოს ისტორიაში და გეოგრაფიაში. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ („საქართველოს გეოგრაფია“), შედგენილი ვახუშტის მიერ „სახელმწიფო დოკუმენტების“ საფუძველზე, სამეცნიერო ლიტერატურაში თავის დროისათვის წარმოადგენს თვალსაჩინო მოვლენას. აღნიშნულ შრომაში ვახუშტი იძლევა ჯერ მოკლე ეთნოგრაფიულ ცნობებს საქართველოს მოსახლეობის შესახებ, შემდეგ კი ქართლის, კახეთის, კუხეთის, ჰერეთის, თუშეთის, დიდლოეთის, ოსეთის, სამცხე-საათაბაგოს, იმერეთის (სამეგრელოსა და აფხაზეთის) საკმაოდ დაწვრილებით გეოგრაფიულ აღწერას. ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიის“ მკითხველის წინ ნათლად იხატება დედამიწის ზედაპირის ამ შესანიშნავი კუთხის მრავალფეროვანი მდიდარი ბუნება, მისი ბუნებრივი საწარმოო ძალები და XVIII საუკ. მოსახლეობის სამეურნეო ყოფაცხოვრება. „გეოგრაფიას“ დართული აქვს ავტორის მიერ შესრულებული 22 რუკა. რუსეთის ცნობილი გეოდეზისტი და კარტოგრაფი სტებანიცკი, ახასიათებს რა ამ რუკებს, ამბობს: „ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ ვახუშტის რუკები შედგენილია არა აგეგმითი წესით, ისინი სიზუსტის მხრივ უნდა მი-

ვიჩნით საკმაოდ დამიკმაყოფილებლად და მეტად გულ-  
მოდგინედ შედგენილად“. ვახუშტის რუკები საფუძვლად  
დაედო ამიერკავკასიის პირველ ასე თუ ისე ზუსტ რუ-  
კას, რომელიც შეადგინა პეტერბურგში ასტრონომმა იოსებ  
ნიკოლოზის-ძე დელილმა 1738 წ.

**ვამენარი,** ალფრედი (1880—1931 წ.წ.), გერმანელი,  
გეოფიზიკოსი, მეტეოროლოგი და გეოგრაფი, ჰამბურ-  
გისა (1921 წლიდან) და გრაცის (1924 წლიდან) უნი-  
ვერსიტეტების პროფესორი. 1906—1908 წ.წ. მონაწი-  
ლეობას ლებულობდა დანიის მიერ მოწყობილ გრენლან-  
დის ექსპედიციაში, როგორც მეტეოროლოგი, და 1912  
—1913 წ.წ. იმავე გრენლანდში კობის მიერ მოწყობილ  
ექსპედიციაში. გრენლანდში მესამე ექსპედიციის დროს  
(1929—1932 წ.წ.) ის დაიღუპა. დიდი სახელი მოიხვეჭა  
ვეგენერმა თავისი ჰიპოთეზით კონტინენტების გადანაცვ-  
ლების შესახებ, რომელიც მან პირველად გამოსთქვა  
1912 წელს. ამ ჰიპოთეზის თანახმად — „კონტინენტები—  
დედამიწის ზედაპირული გარსი (რომლის ხვედრითი წო-  
ნაა 2,9)—არ ქმნიან მთლიან საფარს, არამედ, მსგავსად  
წყალში აცურებული ყინულებისა, დაცურავენ მეორე  
გარსის ბლანტ მასაში (რომლის ხვედრითი წონაა 3,4),  
რომლისაგანაც შემდგარია ოკეანის ფსკერი. უძველეს  
გეოლოგიურ პერიოდებში კონტინენტური ლოდები იყო  
მთლიანი, მაგრამ უფრო გვიან ეს მთლიანი მასა დაიშა-  
ლა ნაწილებად. რომლებმაც იწყეს ერთმანეთისაგან და-  
შორება... ატლანტის ოკეანე წარმოადგენს უზარმაზარ  
ნაბზარს, რომლის ნაპირები წინათ უშუალოდ ეკვროდ-  
ნენ ერთმანეთს, რასაც ამტკიცებს სამხრეთ ამერიკისა  
და აფრიკის ნაპირების მოხაზულობის თანადამთხვევა...  
კონტინენტების გადაადგილება იწვევდა პოლუსების გა-

დანაცვლებასაც, რაც კლიმატური სარტყლების გადა-  
ნაწილებას იწვევდა“. ვეგენერს ეკუთვნის სერიოზული  
შრომა გეოფიზიკაში და მეტეოროლოგიაში; მის ღირს-  
შესანიშნავ შრომებს უნდა მიეკუთვნოს „Entstehung d.  
Kontinente und Ozeane“, 3 Auflage; Braunschweig  
1922 წ. (არსებობს რუსული თარგმანი—„კონტინენტე-  
ბისა და ოკეანეების წარმოშობა“; მ. 1925 წ.).

თეორიამ კონტინენტების „დრიფტის“ შესახებ  
მსოფლიო სახელი მოუხვეჭა ვეგენერს. გადაუჭარბებლად  
შეიძლება ითქვას, რომ ე. ზიუსის ცნობილი შრომის  
„დედამიწის სახის“ შემდეგ არც ერთ წიგნს კონტინენ-  
ტების წარმოშობის თეორიის შესახებ არ მოუხდენია  
თანამედროვეებზე ისეთი დიდი გავლენა, როგორც ა. ვე-  
გენერის თხზულებას.

**ვიდალ დე ლა-ბლაში**, პოლი (1845—1918 წ.წ.),  
ცნობილი ფრანგი გეოგრაფი, საფრანგეთის გეოგრაფე-  
ბის რაიონული სკოლის ფუძემდებელი. როგორც მის  
შრომებში, ისე მის მოწაფეთა და მიმდევართა შრომებში  
ამა თუ იმ ქვეყნის ან რაიონის გეოგრაფიულ დახასია-  
თებისას ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს ელემენტები  
მჭიდროდაა შერწყმული ადამიანთა საზოგადოების საქ-  
მიანობის ყოველგვარ გამოვლინებასთან. ვიდალ დე ლა-  
ბლაშის აზრით გეოგრაფიული გარემო წარმოადგენს  
მთავარ ძალას, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების  
განვითარებას და მის ფიზიონომიას. ეს აზრი საესეებით  
მცდარია. „გეოგრაფიული გარემო,—ამბობს ამხანაგი  
სტალინი,—უდავოა, საზოგადოების განვითარების  
ერთ-ერთ მუდმივ და აუცილებელ პირობას წარმოადგენს  
და იგი, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს საზოგადოების  
განვითარებაზე,—იგი აჩქარებს ან ანელებს საზოგადოების

განვითარების მსვლელობას. მაგრამ მისი გავლენა გან-  
მსახვრელი გავლენა როდია, ვინაიდან საზოგადოე-  
ბის ცვლილებანი და განვითარება გაცილებით უფრო  
სწრაფად ხდება, ვიდრე გეოგრაფიული გარემოს ცვლი-  
ლებანი და განვითარება“ (ი. ბ. სტალინი—„ლენინ-  
ნიზმის საკითხები“, მე-11 გამოცემა, გვ. 681—682). ვი-  
დალ დე ლა-ბლასს ოცდაათამდე შრომა ეკუთვნის მათ  
შორის უფრო მნიშვნელოვანია: 1) „საფრანგეთის გეო-  
გრაფიის სურათები“; 2) „ადამიანის გეოგრაფიის პრინ-  
ციპები“ (1922 წ.).

პიზმ. ვლადიმერ იულიუსის-ძე (დაბ. 1886 წ.),  
რუსი მეცნიერი, მეტეოროლოგი, ოკეანოგრაფი და მოგ-  
ზაური; ბევრი საინტერესო შრომის ავტორი; მათ შო-  
რის საყურადღებოა: 1) „გ. ი. სედოვის პოლარული  
ექსპედიციის მეტეოროლოგიური დაკვირვებანი“; 2) „ან-  
დრეევის მიწა“; 3) „პეჩორის ზღვის ზამთრის რეჟიმი“;  
4) „დაკვირვებანი წყლის ზედაპირულ ფენაზე ბარენცისა  
და კარის ზღვებში“; 5) „ჰიდროლოგიური დაკვირვებანი  
ლრმა წყლებში“; 6) „საბჰკოთა არქტიკის ზღვების კლი-  
მატი“ („გლავსევმორპუტი“-ს გამოცემა; მ-ლ; 1940 წ.);  
7) „საბჰკოთა არქტიკის ზღვები“ (მეორე გამოცემა; ლ.;  
1939 წ.) და სხვ. ვიზეს მთავარი შრომები უმთავრესად  
ეხება რუსეთის არქტიკულ ზღვების ატმოსფეროს ცირ-  
კულაციას, ოკეანოლოგიას და სსრკ-ის ტერიტორიაზე  
ამინდის წინასწარ გამორკვევის მეთოდებს: ვიზე მონა-  
წილეობას იღებდა სედოვის პოლარულ ექსპედიციაში  
(1912—1914 წ.წ.); 1928 წ. იყო ექსპედიციის უფროსი  
ყინულმჭრელ „მალიგინზე“, რომელიც გაიგზავნა შპიც-  
ბერგენტან დალუპულ დირიჟაბლ „იტალიის“ რაზმის სა-  
ძებრად. 1932 წ. ვიზე იყო მეცნიერული ხელმძღვანელი



ყინულმკვრელ „სიბირიაკოვის“ ლაშქრობისა, რომელიც მოეწყო არხანგელსკიდან წყნარ ოკეანეში (ციმბირის ნაპირების შემოვლით) ერთი ნავიგაციის განმავლობაში.

**ვილკიცკი**, ანდრია იპოლიტეს-ძე (1858—1913 წ.წ.); ჰიდროგრაფ-გეოდეზისტი, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის მკვლევარი; თავდაპირველად მუშაობდა ბალტიის ზღვასა და ონეგის ტბაზე, შემდეგ კი ახალ მიწაზე. 1894 წლიდან 1901 წლამდე ის ხელმძღვანელობდა ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სანაპიროებზე ჰიდროგრაფიულ სამუშაოებს ნორვეგიის საზღვრიდან მდინარე ენისეის შესართავამდე.

**ვილკიცკი**, ბორის ანდრეას-ძე (დაბ. 1885 წ.); ჰიდროგრაფ-გეოდეზისტი. 1914—1915 წ.წ. იმოგზაურა ვლადივოსტოკიდან არხანგელსკამდე, ციმბირის ჩრდილო სანაპიროების გასწვრივ; ამ მოგზაურობის დროს აღმოჩენილი იქნა: ჩრდილოეთის მიწა, კუნძული მცირე ტაიშირი და სხვ. 1923—24 წ.წ. ვილკიცკიმ კარის ექსპედიციების გემები გააცილა დასავლეთიდან მდინარე ობისა და ენისეის შესართავებისაკენ.

**ვოეიკოვი**, ალექსანდრე ივანეს-ძე (1842—1916 წ.), რუსეთის გამოჩენილი კლიმატოლოგი, გეოგრაფი და თანდაყოლილი მოგზაური, რომელიც უპირატესობას აძლევდა „ეხილა და შეესწავლა ბუნება უშუალოდ, და არა მარტო წიგნებით“. ის იყო ცოცხალი ხასიათისა და დიდი გონების პატრონი, მისი ინტერესები მრავალფეროვანი იყო; მეცნიერების კაბინეტურ შესწავლას ის უმატებდა დაკვირვებებს ბუნებაზე დედამიწის სხვადასხვა ქვეყნებში. „ყოველივე ამან... ა. ი. ვოეიკოვი გადააქცია

არა მეტეოროლოგად, თუმცა მისი შრომების დიდი ნაწილი მიძღვნილია ამ მეცნიერულ დისციპლინისადმი, არამედ გამოიმუშავა მასში ნამდვილი ფიზ-გეოგრაფი, რომელმაც მთელი თავისი საქმიანობით გვიჩვენა გეოგრაფიის ამ დარგის მთელი სიფართოვე, მრავალნაირობა და ღრმა მნიშვნელობა“ (ი. მ. შოკალსკი). წარსულ საუკუნის 60-იან წლებში ის სწავლობდა ჯერ ლენინგრადში და შემდეგ ბერლინში, ჰაიდელბერგსა და გეტინგენში. 1870 წ. მან ინახულა კავკასია, იყო ბაქოში, ლენქორანში, დაღესტანსა და კრასნოვოდსკში. 1872 წ. ზაფხულში ვოეიკოვმა იმოგზაურა გალიციაში, ბუკოვინაში, მოლდავეთში, ვალახეთში, ტრანსილვანიასა და უნგრეთში, სხვათა შორის, ნიადაგების შესასწავლად და შავმიწა ნიადაგების გამოსაკვლევად. შემდეგ ვენის, ბერლინისა და გოთას გავლით გაემართა ჩრდილო ამერიკისაკენ; 1873 წლის დასაწყისში ის ჩავიდა ნიუ-იორკში, და იმავე წლის ზაფხულში კი მან მოახდინა დიდი მოგზაურობა აშშ-სა და კანადაში. 1874 წ. დასაწყისში ვოეიკოვმა ინახულა იუკატანი, მექსიკა, გვატემალა და პანამა; შემდეგ გემით იმოგზაურა მთელი სამხრეთ ამერიკის ირგვლივ; თანაც წყნარი ოკეანის სანაპიროდან ის ავიდა ანდებზე, ინახულა ტბა ტიტიკაკას ნაპირები და ქალაქი ლიმა. მდინარე ამაზონზე მოგზაურობის დროს ის მივიდა. სანტა-რემამდე. როდესაც ვოეიკოვი დაბრუნდა რუსეთში ნიუ-იორკის გავლით, 1875 წ. მან მოაწყო ახალი მოგზაურობა შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ინახულა ინდოეთი, იავა, სამხრეთი ჩინეთი და იაპონია. იაპონიაში ვოეიკოვმა იცხოვრა ხუთ თვეს; ეს დრო მან შესწირა ქვეყნის შესწავლას, რომლის ზოგიერთი ადგილის ჰავას ის დასაველეთ საქართველოს ჰავას ამსგავსებდა.

1877 წელს მან ლენინგრადში შეაჯამა თავის მოგზაურობათა შედეგები და დაამუშავა მოგზაურობის დროს დაგროვილი მასალები. 1880 წ. მოსკოვის უნივერსიტეტმა ვოეიკოვი აირჩია ფიზიკური გეოგრაფიის საპატიო დოქტორად. 1898 წ. მან ხელახლა ინახულა მეცნიერული მიზნით კავკასიის და ამიერ-კავკასიის შავი ზღვის სანაპირო. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ის დაინტერესებული იყო თურქესტანით და დასწერა დიდი შრომა „Le Tourkestan Russe“ („რუსეთის თურქესტანი“). ვოეიკოვის კაპიტალურ და კლასიკურ თხზულებას წარმოადგენს: „დედამიწისა და რუსეთის კლიმატი“ (ს.-პ. 1884 წ.; ილინის კარტოგრაფიული წარმოების გამოცემა). ა. ი. ვოეიკოვს ეკუთვნის საერთოდ 517 დაბეჭდილი შრომა რუსულ და უცხო ენებზე. ა. ი. ვოეიკოვის თხზულებათა თითქმის ამომწურავ ბიბლიოგრაფიას იძლევა: პ. ი. ნეკრასოვის წიგნი: „ა. ი. ვოეიკოვი—კლიმატოლოგი და გეოგრაფი“ (მ. 1940 წ.; გვ. 21—35).

**ვრანგელი**, ფერდინანდი პეტრეს-ძე (1794—1870 წ.წ.), ცნობილი რუსი მოგზაური და რუსეთის ჩრდილოეთის მკვლევარი. დაამთავრა საზღვაო კორპუსი ლენინგრადში და მიიღო მონაწილეობა გოლოვნიის მოგზაურობაში დედამიწის გარშემო წყლის გზით. 1820 წ. ის მეთაურობდა ექსპედიციას, რომელიც დაახლოებით ხუთ წელიწადს გაგრძელდა. ამ ექსპედიციის დროს ვრანგელი და მისი თანამგზავნი ანჟუ, ილინი, კოზმინი და მიჩმანი მათიუშკინი (ა. ს. პუშკინის ცნობილი ამხანაგი ლიცეუმის ხაზით) იკვლევენ ჩრდილო ციმბირის სუსტად გამოკვლეულ განაპირა მხარეებს—მდინარე კოლიმის შესართავიდან ბერინგის სრუტემდე; სახმელეთო გამოკვლევათა გარდა ვრანგელი აწარმოებდა აგრეთვე ზღვის გამოკვლევასაც;

მას უხდებოდა როგორც ნავით ცურვა, ისე ყინულზე მოგზაურობა ძალღების საშუალებით და ზოგჯერ ფეხით სიარულიც. ვრანგელის მოთხოვნები ამ მოგზაურობის შესახებ დიდი ინტერესით იკითხება, გადმოცემულია რუსულ ენაზე სათაურით „მოგზაურობა ციმბირის ჩრდილო ნაპირების გასწვრივ და ყინულოვან ზღვაზე, შესრულებული 1820, 1821, 1822, 1823 და 1824 წლებში ექსპედიციის მიერ, რომელიც მოეწყო ფლოტის ლეიტენანტ ფერდინანდ ფონ-ვრანგელის უფროსობით. ა. ნ. პიპინის სამართლიანი შენიშვნით, „ვრანგელის წიგნს ერთი პირველთაგანი ადგილი უკავია ლიტერატურაში ციმბირის ჩრდილო მხარეების შესახებ, როგორც საკითხის მნიშვნელოვანობით, კვლევისათვის ძნელი მისაწვდომობის გამო, ისე გადმოცემის ღირსებებით. საკვირველია, რომ ეს შესანიშნავი წიგნი თითქმის ოც წელიწადს ელოდა გამოცემას და პირველად გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე: გადათარგმნილი ე. ა. ენგელგარდტის რუსული ხელნაწერიდან, ის გამოიცა ბერლინში ცნობილი გეოგრაფის კარლ რიტერის წინასიტყვაობით 1839 წელს, და მხოლოდ ორი წლის შემდეგ გამოვიდა მისი რუსული გამოცემა (ა. ნ. პიპინი — „რუსეთის ეთნოგრაფიის ისტორია“, ს.-პ. 1892 წ., ტ. IV, გვ. 282, 283). არქტიკის ცნობილი შვედი სწავლული მკვლევარი და მოგზაური ნორდენშელდი ვრანგელის შრომის შესავალში ამ შრომას მიიჩნევს „un des chefs-d'oeuvre de la littérature arctique (ერთ-ერთ შედეგად თხზულებათა შორის არქტიკის შესახებ). 1831 წლიდან 1836 წლამდე ვრანგელს ეჭირა რუსეთ-ამერიკის კოლონიების მმართველის თანამდებობა, სადაც მან დააგროვა ძვირფასი ცნობები მოსახლეობის ეთნოგრაფიიდან და სტატისტიკიდან. მისი სახელი ეწოდა კუნძულს ჩუკოტკის ნახევარკუნძულის ჩრდილო მხარეზე.

## ზ

**ზიუსნი**, ედუარდი (1831—1914 წ.წ.), ავსტრიის გამოჩენილი გეოლოგი, რომლის შრომებმა დიდი გავლენა მოახდინა გეოგრაფიის მეცნიერებაზე. ზიუსს ეკუთვნის სამტომიანი კლასიკური შრომა „დედამიწის სახე“, რომლის შინაარსს შეადგენს დედამიწის სფეროს დინამიკა მთელი მისი მოცულობით, ე. ი. ტექტონიკა, ეულკანიზმი, ზღვის ტრანსგრესია და რეგრესია, საუკუნეთა განმავლობაში ორგანულ სამყაროს და დედამიწის ზედაპირის ცვლილებანი და სხვ. ზიუსის შეხედულების თანახმად შენაოჭება მრავალი პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებს ერთიან მიმართულებას, რომელიც ჯერ კიდევ დასახული იყო კემბრიულამდელ პერიოდში. ზიუსმა შექმნა მთელი რიგი გამაზოგადებელი ტერმინები, რომელიც მიღებულია მეცნიერებაში: ევრაზია, ტეტისი, ირკუტსკის ამფითეატრი, კანადის ფარი, ბალტიის ფარი, აზიის უძველესი თხემი და სხვ.

**ზუპანნი**, ალექსანდრე (1847—1920 წ.წ.), გერმანიის გამოჩენილი გეოგრაფი, ავტორი კაპიტალური შრომისა — „ფიზიკური გეოგრაფიის საფუძვლები“; — ეს შრომა ცხრაჯერ იქნა გამოცემული; რუსულად გადათარგმნილ იქნა მეორე და მეოთხე გამოცემიდან, პროფ. დ. ნ. ანუჩინის რედაქციით. სხვა მისი შრომებიდან გერმანულ ენაზე აღსანიშნავია: 1) „ავსტრია-უნგრეთის გეოგრაფია“; 2) „დედამიწის მოსახლეობა“; 3) „ევროპის კოლონიების ტერიტორიული განვითარება“ და სხვ.

იაკუტი, ალ-ხამავი არ რუმი (ე. ი. ბიზანტიელი), დაბ. 1179 წელს არა არაბ მშობლებისაგან; ბავშვობისას დატყვევებულ იქნა და, როგორც მონა, იგი შეისყიდა ბაღდადეღმა ვაქარმა ალ-ხამავიმ; მან იაკუტს მისცა კარგი განათლება. ხამავი იაკუტს აძლევდა სავაჭრო დავალებებს. 1199 წ. იაკუტმა მიიღო თავისუფლება და დაიწყო არსებობის საშუალებათა შოვნა ჯერ წიგნების გადაწერით, შემდეგ კი წიგნების გაყიდვით. 1213 წლიდან მან დაიწყო საკუთარი სავაჭრო ოპერაციების წარმოება, რისთვისაც ინახულა სხვადასხვა ქვეყანა. იაკუტი იყო ირანში, სირიაში, ეგვიპტეში, მოსულში, მარავსა და ხვარასანში. აქ ორი წლის განმავლობაში (1216—1218 წ.წ.) თავგამოდებით მუშაობდა ადგილობრივ ბიბლიოთეკებში, რომლებშიაც მან მოაგროვა მასალები თავის მთავარ შრომისათვის: „გეოგრაფიული სიტყვარი“. იაკუტი მარავის შესახებ გვაცნობებს შემდეგს: „ჩემი წასვლის დროისათვის, (მარავს) ჰქონდა ვაკეების ათი ბიბლიოთეკა, უფრო მდიდარი რჩეული თხზულებებით, ვიდრე სხვა რომელიმე ხალხის ბიბლიოთეკები... იქ შევაგროვე თითქმის ყველა მასალები ამ წიგნისა და სხვა ჩემი ნაწერების შესადგენად“. თავის „გეოგრაფიულ სიტყვარზე“ იაკუტი მუშაობდა თითქმის 14 წელიწადს (1215—1229 წ.წ.). ეს სიტყვარი წარმოადგენს ვებერთელა კომპილაციურ შრომას, თავისებურ ენციკლოპედიას, „ურომლისოდაც, აკადემიკოს ი. ი. კრაჩკოვსკის

სამართლიანი შენიშვნით, ჩვენ დროშიაც ძნელია წარმოიდგინო მეცნიერული მუშაობა არა მარტო ისტორიული გეოგრაფიის დარგში, არამედ საერთოდ შესაბამის ქვეყნების ისტორიაშიაც“. თავისი „სიტყვარის“ შესავალში იაკუტი ეხება მათემატიკური, ფიზიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის მთელ რიგ საკითხებს; იძლევა ელემენტარულ გეოგრაფიულ ცნობებს. „სიტყვარი“ შეიცავს მუსულმანური და არამუსულმანური ქვეყნების აღგილთა, ხალხთა, ქალაქთა, სოფელთა, მთათა, მდინარეთა და სხვათა აღწერას ანბანური რიგით. ქალაქების აღწერისას იაკუტს მოჰყავს მათი მდებარეობის ასე თუ ისე ზუსტი კოორდინატები, იძლევა მათ ტოპოგრაფიას და სხვ.

**იზნ-ბატუტა (1304—1377 წ.წ.),** არაბი, გამოჩენილი გეოგრაფი და გაბედული მოგზაური; დაბადებული ქალაქ ტანყერში; მოგზაურობა დაიწყო ახალგაზრდობიდან (ოცდაორი წლისამ); ჯერ ინახულა მექა, შემდეგ კი გაემგზავრა სირიაში, ირანში, მესოპოტამიაში, აფრიკაში (აქ ის ნილოსით მივიდა ასუანამდე), იემენში (აქედან გაიარა არაბისტანის მთელი ცენტრალური ნაწილი) იზნ-ბატუტამ ინახულა ჩრდილოეთიც; მცირე აზიით და ყირიმით (კათა, ახლანდელი თეოდოსია) ის ესტუმრა ყივჩაღთა სამეფოს (სამხრეთი რუსეთი), ინახულა ქალაქი ბულგარი, იქიდან გაემგზავრა კონსტანტინეპოლში, შემდეგ კი ხელახლა იბრუნა პირი აღმოსავლეთისაკენ და კასპიის ზღვის ჩრდილო ნაპირების გასწვრივ, ხივაზე, ბუხარაზე, ხვარასანზე და ყანდაგარზე გავლით—მოხვდა ინდოეთში, სადაც მან ქალაქ დელიმდე მიაღწია. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი, როგორც საელჩოს წევრი, გაემგზავრა ჩინეთში; მალედივის კუნძულებისა, ცვილო-

ნისა, სუმატრისა, იავის და ზონდის არქიპელაგის სხვა კუნძულების გავლით მან მიალწია პეკინამდე (ბეიპინი). ამის შემდეგ სუმატრის გავლით მივიდა არაბეთამდე. 1347 წელს იბნ-ბატუტამ კვლავ იმოგზაურა ირანში, მესოპოტამიაში, სირიაში, პალესტინასა და ეგვიპტეში; აგრეთვე მეოთხეჯერ ინახულა მექა და 1349 წელს გადასწყვიტა დაბრუნებულიყო სამშობლოში ტუნისის, ტენესის, ტლემსენისა და ფესის გავლით. მას დაებადა აზრი ენახა მისთვის მანამდე უცნობი ორი სამუსულმანო სახელმწიფო: გრენადა და მალი; მალში ის წავიდა სიჯალმასის გავლით ტიმბუქტუზე. უკან დაბრუნებისას იბნ-ბატუტამ დაათვალიერა ტაგადას სპილენძის მადნები. 1353 წ. მან განვლო აჰაგარის ზეგანი, ოაზისი აჰადესი და, ბოლოს, გადალახა რა ატლასის მთები, დაბრუნდა ფესში, სადაც ის სიკვდილამდე დარჩა. ამრიგად, იბნ-ბატუტამ მოგზაურობაში გაატარა დაახლოებით ოცდაშვიდი წელი. მას ეკუთვნის დიდი შრომა შემდეგი სათაურით: „საჩუქარი ქალაქთა საკვირველებისა და მოგზაურობათა სასწაულების დარგში დამკვირვებელთ“ „ტუხ-ფეტ-ულ-ნაზარ ფი-ჰერაიბ-ელ იმსარ ვე აჯაიბ-ელ-ისტარ“).

**იბნ-ფოდლანი**, ახმედი, X საუკუნის არაბეთის ცნობილი მოგზაური; ვოლგისპირა ბულგართა ქვეყანაში ხალიფ ალ-მუქტადირის მიერ გაგზავნილ საელჩოს ერთ-ერთი მონაწილე (921—922 წ.წ.). თავის მგზავრის წერილებში ის იძლევა საელჩოს დაწვრილებით მარშრუტს, აღნიშნავს გზაში გადატანილ სიძნელეების შესახებ, აღწერს ბულგარების ქვეყანაში ყოფნას და საელჩოს მიღებას. ის, რამაც მიიპყრო იბნ-ფოდლანის ყურადღება, აღწერილია გასაოცარი სიცხოველით და საინტერესოდ-



**იბნ-ხორღალბეხი** (დაბ. 820 წ.), არაბი, ცნობილი მოგზაური და გეოგრაფი, დასწერა რამდენიმე თხზულება, რომელთაგან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა— „შემდეგი სათაურით „გზათა და პროვინციათა წიგნი“ („კიტაბ ალ-მესალიკ ვა-ლ-მამელიკ“); ამ თხზულებაში ნაჩვენებია პროვინციების, ქალაქების სახელწოდებანი, მოცემულია ზუსტი საგზაო მარშრუტები, მანძილისა და საფოსტო სადგურთა მითითებით, მოყვანილია ციფრობლივი მონაცემები გადასახადის შემოსავლის შესახებ თითოეულ ოლქსა და ოკრუგში; მოყვანილია აგრეთვე ცნობები არაბეთის ხალიფატის ოლქებთან მოსაზღვრე ზოგიერთი ქვეყნის შესახებ; ავტორს აღწერილი აქვს, წინა აზიის ქვეყანათა გარდა, აგრეთვე სსრკ-ის ევროპული ნაწილის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონები და სლავთა დასახლებული ადგილები.

**იბნ-ჰაშკალი** (X ს.) არაბი, მოგზაური, დაბადებული ბაღდადში; 943 წ. მშობლიურ ქალაქიდან ის გაემართა სამოგზაუროდ, მოიარა ჩრდილო აფრიკა, ესპანეთი და სიცილია; შემდეგ მან ინახულა მესოპოტამია, ირანი და ინდოეთი. დაახლოებით 951 წელს ის შეხვდა მეორე არაბ მოგზაურს ალ-ისტახრის და მიუთითა მას შეცდომებზე მის თხზულებაში. ალ-ისტახრის თხოვნით იბნ-ჰაუკალმა გადაამუშავა მისი თხზულება; იბნ-ჰაუკალმა მთელი ის ნაწილი გაასწორა, სადაც ავტორი იძლეოდა ხალიფატის დასავლეთ ნაწილის—ეგვიპტის, ჩრდილო აფრიკის, ესპანეთის და სიცილიის აღწერას. თხზულების სხვა ნაწილებში მან შეიტანა მცირე, მაგრამ მეტად საანტერესო და მნიშვნელოვანი დამატებანი.

იღრიხი (ედრიხი), აბდალა მაჰამედი, არაბი; XII საუკუნის გეოგრაფი, დაბადებული ჩრდილო აფრიკაში; სწავლობდა ესპანეთში ქალაქ კორდოვაში, თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა პალერმოში სიცილიის მეფის როჟერ II ნორმანელის კარზე. იღრიხმა შეადგინა კომპილაციური ხასიათის ნაკრები გეოგრაფიული შრომა და დაურთო მას რუკები; თავის შრომაში იღრიხს მოჰყავს შედარებით მრავალი ცნობები სიცილიის, ესპანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის შესახებ; აგრეთვე ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების ნაპირების შესახებ, მცირე აზიის შესახებ, რომელიც იღრიხმა ინახულა 1116—1117 წ.წ. მის თხზულებაში მოიპოვება ცნობები აგრეთვე აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ; ასე მაგალითად: ჩინეთის ქალაქ სუ-ჯოუს შესახებ იგი სწერს: „ისეთი დიდი ქალაქები, როგორცაა სუსახი (Susah—სუ-ჯოუ), სახელგანთქმულია, როგორც თავისი შენობებითა და ვაჭრობით, ისე მცხოვრებთა სიმდიდრით. მათი სავაჭრო კრედიტი მთელ დედამიწაზე გავრცელებულია. აქ კეთდება შეუდარებელი ხარისხის ფაიფური და აბრეშუმის ქსოვილები, რომელიც განთქმულია თავიანთი მაღალი ხარისხით და მდიდრული შესახედაობით.

ინჰიზიანი, ლუკა (1758—1833 წ.წ.), სომეხი, ცნობილი გეოგრაფი და არქეოლოგი. მის კალამს ეკუთვნის შემდეგი შრომები: 1) „მსოფლიოს ოთხი ნაწილის გეოგრაფია“, ოთხ ნაკვეთად და 12 ტომად (1802—1805 წ.წ.); 2) „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“ (1818 წ.) და 3) „სომხეთის გეოგრაფია“ ერთ ტომად (1822 წ.). (ცნობები ამოღებულია პროფ. ლ. მელიქსეთბეგის შრომიდან: „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“; თბილისი, 1941 წ. გვერდი 228).

იუნკერი, ვილჰელმი (იგივე ვასილი ვასილის-ძე), (1840—1892 წ.წ.), ცნობილი მოგზაური აფრიკაში; დაიბადა მოსკოვში; სამედიცინო განათლება მიიღო პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში; თავისი ცოდნის შესავსებად გაემგზავრა საზღვარგარეთ. ახალგაზრდა ექიმს უფრო იზიდავდა მოგზაურობა უცნობ ქვეყნებში, ვიდრე თავისი პროფესიის მიხედვით მოღვაწეობა. 1873 წ. იუნკერი ჯერ მოგზაურობს ევროპაში, ხოლო შემდეგ ისლანდიაში; ამ მოგზაურობის დროს მას თანდათან მოუმწიფდა აზრი მოეწყო ექსპედიცია აფრიკაში. მოგზაურობისათვის სახსრები მიიღო თავის ოჯახიდან. სანამ იუნკერი წავიდოდა აფრიკის სილრმეში, ის დასახლდა ტუნისში არაბული ენის შესასწავლად. ტუნისიდან მან მოახდინა მოგზაურობა ლიბიის უდაბნოში და მიაღწია წითელი ზღვის სანაპიროებს. შემდეგ სოფელ ლადოდან თეთრ ნილოსზე ის გაემგზავრა ქარავანით დასავლეთით მდინარე ბახრ-ელ-გაზალის ოლქში. ეს მოგზაურობა გაგრძელდა ორნახევარ წელიწადს. 1878 წ. იუნკერი დაბრუნდა პეტერბურგში. 1879 წ. ის გაემგზავრა თავის მეორე მოგზაურობაში ცენტრალურ აფრიკაში; აქ მდინარე ბახრ-ელ-გაზალის და უელემაკუას აუზში იუნკერმა გამოიკვლია მთელი რიგი ადგილები. დიდ ხანს არ იყო მისგან არავითარი ამბავი; ბევრი ფიქრობდა, რომ იუნკერი დაიღუპა, მაგრამ 1886 წელს ის ჩავიდა ზანზიბარში, საიდანაც დაბრუნდა ევროპაში. თავისი მოგზაურობის შედეგები იუნკერმა აღწერა თავის სამტომიან შრომაში „მოგზაურობა აფრიკაში“ („Reisen in Afrika“).

## კ

**კაბოტი**, ჯოვანი (ჯონი), (დაახ. 1450—1498 წ.წ.), იტალიელი, დაბადებული გენუაში; მისი ნამდვილი გვარი იყო კაბოტო. 1484 წ. თავის ვაჟ სებასტიანთან ერთად ვენეციიდან გაემგზავრა ინგლისში. 1497 წ. ჯონ კაბოტმა აღმოაჩინა ჩრდილო ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილები და გამოიკვლია მდინარე წმ. ლავრენტის შესართავი. მეორე მოგზაურობის დროს (1498 წ.) კაბოტმა შემოიარა ჩრდილო ამერიკის მთელი სანაპირო ნიუ-ფაუნდლენდიდან ფლორიდამდე.

**კაბოტი**, სებასტიანე, ჯოვანის ვაჟი (დაახ. 1472—1557 წ.წ.), 1517 წ. მან აღმოაჩინა ჰუდსონის ყურე; შემდეგ კაბოტმა მოახდინა მოგზაურობა სამხრეთ-ამერიკის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ მაგელანის სრუტემდე.

**კაბრალი** (კაბრერა), პედრო ალვარესი (დაახ. 1460—1526 წ.წ.), პორტუგალიელი მეზღვაური. 1500—1501 წ.წ. ის მეთაურობდა პორტუგალიის მთავრობის მიერ გაგზავნილ ესკადრას ინდოეთში. ეკვატორული დონების გამო ესკადრა ასცდა პირდაპირ გზას და მიაღწია ბრაზილიის (სამხრეთ ამერიკის) სანაპიროებს. კაბრალმა ბრაზილია პორტუგალიის კოლონიად გამოაცხადა. შემდეგ, შემოუარა რა აფრიკას, მოზამბიკის სრუტით წავიდა ინდოეთში და მიაღწია ქალაქ კალიკუტს, კოჩინს და კანანურს.

**კანტი**, იმანუილი (1724—1804 წ.წ.), გერმანელი გამოჩენილი ფილოსოფოსი, გერმანული კლასიკური იდეალისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი მამათმთავარი; კენიგსბერგის უნივერსიტეტში 1765 წ. გარდა ფილოსოფიისა კითხულობდა ფიზიკური გეოგრაფიის კურსს. თავის შრომაში „ფიზიკური გეოგრაფიის ლექციები“, რომელიც გამოცემული იყო 1802 წ. რინკის მიერ (ახალი გამოცემა გედანისა ლაიპციგი, 1922 წ.), კანტი იძლევა გეოგრაფიის განმარტებას და ადგენს მის დამოკიდებულებას ისტორიასთან. „გეოგრაფია და ისტორია ავსებს ჩვენი შემეცნების მთელ მოცულობას: სახელდობრ გეოგრაფია სივრცეა, ისტორია—დრო“. ფილოსოფოსის აზრით გეოგრაფია და ისტორია არის აღწერა, „მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ისტორია არის აღწერა დროსთან დაკავშირებით და გეოგრაფია კი სივრცესთან დაკავშირებით“. იმის ისტორია—თუ რა მოხდა სხვადასხვა დროს, სხვა არა არის რა, რაც უწყვეტი გეოგრაფია. იმისათვის, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მოვლენებით დაინტერესებული იყო და გესმოდეს ისინი, ამბობს კანტი, აუცილებელია საფუძვლიანად იცოდეს მისი გეოგრაფია.

**კმპლფრი**, იოჰანე (1571—1630 წ.წ.), გერმანიის გამოჩენილი ასტრონომი, თანამედროვე ასტრონომიისა და მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი; კოპერნიკის სისტემის მიმდევარი, რომელიც მან თეორიულად დაასაბუთა; მას ეკუთვნის პლანეტების მოძრაობის სამი ძირითადი კანონის აღმოჩენა. კეპლერმა დაამტკიცა, რომ პლანეტების მოძრაობა არათანაბარია—ის იმდენად სწრაფია, რამდენადაც ახლოა პლანეტა მზესთან, და რომ ეს მოძრაობა ელიპსურია და არა წრისებური. „...ნიუტონის მიმზიდველობის კანონს კეპლერის სამივე კანონი

უკვე შეიცავდა, მესამეში კი მკათიოდაც კი იყო გამო-  
ხატული“ (მარქსი და ენგელსი. „თხზულებანი, ტ. XIV,  
გვ. 9; შენიშვნა).

**კოვალევსკი**, იაგორი პეტრეს-ძე (1811—1868 წ.),  
რუსი, ცენტრალური აფრიკის მკვლევარი, დაიბადა ხარ-  
კოვის მახლობლად, სოფელ იაროტოვკაში; 1829 წ. მან  
დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი; შემდეგ მსახუ-  
რობდა სამთო დეპარტამენტში; 1839 წ. მუშაობდა  
მთაშავეთში, რომლის შესახებაც დაწერა წიგნი „ოთხი  
თვე მთაშავეთში“. 1839—1840 წ.წ. კოვალევსკი მონა-  
წილეობას იღებდა ხივაში გენერალ პეროვსკის ლაშქრო-  
ბაში; 1847 წ. ეგვიპტის ხედივმა, მაჰამედ ალიმ, მიიწვია  
კოვალევსკი ეგვიპტესა და აბისინიაში გეოლოგიური  
კვლევა-ძიების საწარმოებლად. მდინარე ნილოსით კოვა-  
ლევსკიმ მიაღწია ცენტრალურ აფრიკაში მდინარე ტუ-  
მატის სათავემდე. აქედან მოგზაურმა მოაწყო ექსპედი-  
ცია მაშინ ჯერ კიდევ უცნობ აფრიკის რაიონებში. კო-  
ვალევსკი იყო პირველი რუსი მოგზაური, რომელმაც  
პირველად აღწერა და გამოიკვლია აბისინია. აფრიკაში  
მოგზაურობის შემდეგ ის იყო ჩინეთში. 1856 წლიდან  
1862 წლამდე კოვალევსკი იყო რუსეთის გეოგრაფიული  
საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. მის კალამს  
ეკუთვნის მეტად წარმტაცი და ცოცხალი ენით დაწე-  
რილი შემდეგი შრომები: 1) „მოგზაურობა შიდა აფრი-  
კაში“ (ორ ტომად; პეტერბურგი, 1849 წ.); 2) „ხმელეთ-  
ზე და ზღვებზე მოგზაური“ (სამ ტომად); 3) „მოგზაუ-  
რობა ჩინეთში“ (1853 წ.).

**კოზლოვი**, პეტრე კუზმას-ძე (1863—1935 წ.წ.),  
ცნობილი მოგზაური, ცენტრალური აზიის მკვლევარი,

დიდი რუსი მოგზაურის ნ. მ. პრეველსკის მოწაფე, მასთან ერთად შეასრულა მან თავისი პირველი მოგზაურობა 1883 წელს. „ამ ექსპედიციასთან ერთად კოზლოვმა განივად გადასჭრა გობი, იმოგზაურა ტიბეტის ჩრდილო განაპირა მხარის გასწვრივ და მდინარე ტარიმის აუზში, აქ გამოამყლავნა მან არა მარტო ღრმა ინტერესი საქმისადმი, არამედ დიდი გამბედაობაც ტანგუტთა ბრბოების მოგერიების; დროს ყვეთელი მდინარის (ხუან-ხეს) სათავეებში“. 1888 წელს კოზლოვმა მონაწილეობა მიიღო ნ. მ. პრეველსკის მეხუთე ექსპედიციაში. პრეველსკის გარდაცვალების შემდეგ ექსპედიციის დასაწყისშივე მისი ხელმძღვანელობა იკისრა პოლკოვნიკმა პეცოვმა, რომელთან ერთად კოზლოვმა 1889—1891 წლებში ინახულა ტიბეტის ჩრდილო ნაწილი, აღმოსავლეთი თურქესტანი და ჯუნგარია. ამ ექსპედიციის დროს კოზლოვმა მოახდინა მთელი რიგი გეოგრაფიული ექსკურსიებისა და შეკრიბა ძვირფასი ზოოლოგიური კოლექცია. ამ მუშაობისათვის რუსეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ იგი პრეველსკის სახელობის მედლით დააჯილდოვა. 1893 წელს რობოროვსკისთან ერთად პ. კ. კოზლოვი გაემართა ახალ ექსპედიციაში ნან-შანისა და ტიბეტის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონების გამოსაკვლევად. ეს ექსპედიცია, მისი უფროსის რობოროვსკის ავადმყოფობის გამო, დასრულებულ იქნა კოზლოვის ხელმძღვანელობით (1895 წ.).

1899—1901 წლებში შესდგა ტიბეტის ახალი ექსპედიცია, რომელმაც მოგვცა ძვირფასი გამოკვლევები ბუნებისა და სუსტად შესწავლილ და სრულიად უცნობ ტომთა შესახებ, რომლებიც ცხოვრობდნენ მდინარეების ხუან-ხეს, იანძიძიანის და მეკონგის სათავეებში. ამ ექსპედიციის დროს კოზლოვი შევიდა თითქმის გამოუკვლე-

ველ მაღალმთიან ალპურ ქვეყანაში, სახელად კამი, რომლის ზედაპირი მეტისმეტად დანაწევრებულია; ამ ქვეყანაში მოგზაურობას დიდი სიძნელეები ახლდა არა მარტო იმიტომ, რომ იგი მოითხოვდა მთელი ძალღონის დაძაბვას ქვეყნის დანაწევრებული ზედაპირის დასაძლევად, არამედ იმიტომაც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მეტად უნდობლად ეპყრობოდა მოგზაურთ და არაერთხელ მტრულადაც ექცეოდა მათ. აქ პ. კ. კოზლოვმა აღმოაჩინა აქამდე ევროპელთათვის უცნობი ქედი, რომელსაც რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ქედი უწოდა. ეს ქედი თვალუწვდენელ კედლადაა გადაჭიმული სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ 700 კილომეტრის სიგრძეზე და იანძიძიანისა და მეკონგის შორის წყალგამყოფს წარმოადგენს. 1899—1901 წლების მოგზაურობა კოზლოვმა აღწერა თხზულებაში „მონღოლეთი და კამი“, რომელიც გამოსცა რუსეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ, ამ შრომისათვის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ კოზლოვს მიუსაჯა კონსტანტინეს ოქროს მედალი. 1907 წელს კოზლოვი გაემართა ახალ ორწლიან ე. წ. „მონღოლეთ-სიჩუანის ექსპედიციაში“ იმ მიზნით, რომ გამოეკვლია შუა და სამხრეთ მონღოლეთი, შეესწავლა კუკუნორის ოლქი და ჩრდილო-დასავლეთი სიჩუანი. ამ ექსპედიციის დროს, გარდა მდიდარი გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური კოლექციისა, შეკრებილ იქნა შესანიშნავი ეთნოგრაფიული კოლექცია, რომელიც შესდგებოდა ბუდის კულტისა და ჩინეთის ძველი დროების დამახასიათებელი საგნებისაგან. იაძინ-გოლის ხეობაში კოზლოვი წააწყდა „მკვდარ ქალაქს“—ხარახოტოს (სი-სია), რომლის ნანგრევებში იპოვეს ძველი დროის ბევრი ნივთი—ძველი წიგნები, დახვეული ქაღალდები, სურათები, პაწია ქანდაკებანი, ქაღალდის ფუ-



ლი, საოჯახო ნივთები და სხვ. ეს მოგზაურობა კოზლოვმა აღწერა შრომაში „მონღოლეთ-სიჩუანის ექსპედიცია რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისა 1907—1909 წლებში“. გეოგრაფიულმა საზოგადოებამ კოზლოვისი ნაყოფიერი მოღვაწეობის აღსანიშნავად თავის საპატიო წევრად აირჩია (1910 წელს). თითქმის ამავედროულად ინგლისისა და იტალიის გეოგრაფიულმა საზოგადოებებმა მიუსაჯეს კოზლოვს დიდი ოქროს მედლები. ამის შემდეგ კოზლოვი არჩეულ იქნა უნგრეთის გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრად.

1923 წელს პ. კ. კოზლოვმა ახალი ექპედიცია მოაწყო, რომლის დროსაც მან ინახულა ჩრდილო მონღოლეთი, მდ. ტოლის აუზი, ხან-ხაი, მონღოლეთის ალტაი და ხარა-ხოტოს რაიონი. ექსპედიციამ შეკრიბა მდიდარი საბუნებისმეტყველო კოლექციები: დაახლოებით 13000 მწერი, 800 ფრინველი, დიდი ჰერბარიუმი, თევზებისა და ქვეწარმავალთა კოლექციები. 1926 წელს კოზლოვი დაბრუნდა სამშობლოში. 1927 წელს მან მოხაზა ახალი ექსპედიციის პროექტი ცენტრალური აზიისათვის, მაგრამ ამ პროექტის განხორციელება მან ვერ შესძლო. 1935 წლის 26 სექტემბერს, 72 წლის ასაკში, პ. კ. კოზლოვი გარდაიცვალა.

კოლუმბი, ქრისტეფორე (1451—1506 წ.წ.), სახელგანთქმული ნეზღვაური, რომელმაც აღმოაჩინა ამერიკა; წარმოშობით გენუელი. კოლუმბს დაებადა რწმენა, რომ შესაძლებელი იყო ატლანტის ოკეანით დასავლეთის მხარეზე მოგზაურობით ინდოეთისა და „მუშკამბრის“ კუნძულების მიღწევა. ესპანეთის მთავრობამ კოლუმბს მის განკარგულებაში გადასცა სამი ხომალდი „სანტა-მარია (280 ტონა წყალწყვისა), „პინტა“ (140

ტონა წყალწყევისა) და „ნინია“ (100 ტონა წყალწყევისა); ამ ხომალდებით 1492 წ. კოლუმბი მიაღვა ბაჰამის კუნძულთა ჯგუფს, კ. გუანაჰანის (Guanahani). მალე ამის შემდეგ აღმოჩენილი იქნა კ. კუბა, შემდეგ ჰაიტი, რომელსაც კოლუმბმა ესპანოლა უწოდა („ესპანოლა“ — „მცირე ესპანეთი“), სადაც მან დააარსა კოლონია. რბილმა ჰავამ, მცენარეულობის სიუხვემ, ფაუნის არაჩვეულებრივმა სიმდიდრემ, სურნელოვანმა მცენარეულობამ კოლუმბზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თავისი პირველი მოგზაურობის შემდეგ მან კიდევ მოახდინა სამი მოგზაურობა და აღმოაჩინა კუნძულები: პორტო-რიკო (პუერტო-რიკო), იამაიკა და რამდენიმე კუნძული მცირე ანტილის კუნძულთა ჯგუფიდან (გვადელუპა, ანტიგუა და სხვ.); შემდეგ კოლუმბმა მოახდინა ზღვით მოგზაურობა სამხრეთ-დასავლეთით და აღმოაჩინა სამხრეთ ამერიკის ჩრდილო სანაპირო და სხვ. კოლუმბი ესპანეთის მთავრობის მიერ დანიშნული იყო ახალი აღმოჩენილი მიწების გენერალ-გუბერნატორად, მაგრამ მალე, ინტრიგების გამო, აითვალწუნეს, ბორკილებ-გაყრილი გაგზავნეს ესპანეთში და წარადგინეს სასამართლოს წინაშე. სასამართლომ კოლუმბი გაამართლა, მაგრამ კოლუმბი მაინც არ იქნა აღდგენილი თავის უფლებებში. თავის ანდერძში, რომელიც მან დაწერა 1506 წ. 4 მაისს, კოლუმბი ამბობს, რომ 1492 წელს მან აღმოაჩინა ინდოეთის კონტინენტი და უამრავი კუნძული, მათ შორის ესპანოლა, რომელსაც ინდოელები ჰაიტს უწოდებენ... და 700 მილზე ამ კუნძულიდან დასავლეთისაკენ მე აღმოვაჩინე მრავალი სხვა კუნძული, რომლებზედაც ცხოვრობენ კაციქამიები, და მათ შორის (აღმოვაჩინე) იამაიკა, ჩვენს მიერ სანტ-იაგოდ წოდებული. გარდა ამისა, 333 მილი კონტინენტური მიწა, რომელიც მიი-

მართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ამათ რიცხვენი არ შედის 107 მილი ჩრდილოეთით, რაც პირველი მოგზაურობის დროს აღმოვაჩინე. ყველა ამის გარეშე მე აღმოვაჩინე მრავალი კუნძული, რაც ნათლად ჩანს ჩემი წერილებიდან, ბარათებიდან და რუკებიდან“. როგორც ნისი ანდერძიდან ჩანს, კოლუმბი ისე მოკვდა, რომ თვითონაც არ იცოდა, რომ მან ახალი კონტინენტი აღმოაჩინა. უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტეფორე კოლუმბის მოღვაწეობას მის მიერ აღმოჩენილ ქვეყნებში ახასიათებს ერთგვარი ავანტიურიზმი და „კონკისტადორული“ მიდრეკილება. რაკი დიდი რაოდენობით ძვირფასი ლითონები ვერ აღმოაჩინა, მოგება-სარფიანობის ერთ-ერთ იოლ ხერხს მიჰყო ხელი, სახელდობრ მონებით ვაჭრობას. ინდოელებს კოლუმბი ბეგრავდა და აიძულებდა ეწუშათ მიწებზე, რომლებიც ესპანელებს ეკუთვნოდა. კარლ მარქსი თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“ ამბობს, რომ „ძარცვა-გლეჯა—ერთადერთი მიზანია ფათერაკის მაძიებელ ესპანელებისა ამერიკაში. კოლუმბის მოხსენებები ახასიათებს მას, როგორც მეკობრეს (მონებით ვაჭრობა, როგორც ბაზისი)“. (იხ. ქურნალი „БОЛШЕВЬИК“, 1936 წ.; № 24; გვერდი 61). ქრისტეფორე კოლუმბი დასაფლავებულია სევილიაში სანტა-მარია დე-ლა-სედეს ტაძარში; მის საფლავზე შემდეგი წარწერაა:

„A Castilla y Aragon otro mundo dio Colon“  
(„კასტილიას და არაგონიას კოლონმა, ე. ი. კოლუმბმა, მისცა ახალი ქვეყანა“).

**კოლუმბიკი**, ნიკოლოზი (1473—1543 წ.წ.), პოლონელი გენიალური ასტრონომი; განათლება მიიღო იტალიაში ბოლონისა და პადუას უნივერსიტეტში. მთელი თავისი ცხოვრება შესწირა ჰელიოცენტრული სისტემის

დასაბუთებას. კოპერნიკის მოძღვრება მოცემულია მის შრომაში „ცის სხეულების წრისებრივი ბრუნვის შესახებ“ (1543 წ.), რომელიც საფუძვლად დაედო ახალ ასტრონომიას. კოპერნიკის მიხედვით დედამიწა მოძრაობაშია და არ წარმოადგენს სამყაროს ცენტრს, როგორც ამას ამტკიცებდა კათოლიკური ეკლესია; იგი ბრუნავს თავის ღერძის გარშემო და სხვა პლანეტებთან ერთად მზის გარშემო. კოპერნიკის მოძღვრებამ ლახვარი ჩასცა მაშინდელ დროის რელიგიას, რომელსაც უდიდეს ცოდვად მიაჩნდა ყოველგვარი ექვი დედამიწის უძრაობისა და მისი ცენტრალური მდებარეობის საკითხების შესახებ. კოპერნიკის სისტემას თავისი სუსტი მხარეები ჰქონდა; ასე, მაგალითად, ის ფიქრობდა პლანეტებისა და, მაშასადამე, დედამიწის მოძრაობა ხდება თანაბრად წრისებური ორბიტითა და არა ელიპსური ორბიტით, რაც არაა სწორი. მიუხედავად ამისა, კოპერნიკის თხზულების: „ცის სხეულების წრისებრივი მოძრაობის შესახებ“ გამოქვეყნების დროიდან „მეცნიერებათა განვითარება გიგანტური ნაბიჯით წავიდა წინ“... (მარქსი და ენგელსი; თხზ. ტ. XIV; გვერდი 477).

**კოპერნიკი**, სერგი ივანეს-ძე (1861—1900 წ.წ.), აკადემიკოსი, ბოტანიკოსი. ზოგიერთ მის შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიული მეცნიერებისათვის, კერძოდ ფიტოგეოგრაფიისათვის. თავის სადოქტორო დისერტაციაში „შავმიწა-სტეპიანი ზოლის ჩრდილო საზღვარი რუსეთის ევროპულ ნაწილში“ (1888 წ.) მან პირველად გამოსთქვა თავისი შეხედულება—ტყეების სტეპებში შექრის შესახებ; გარდა ამისა, მას ეკუთვნის მეტად მნიშვნელოვანი შრომა: „რუსეთის ევროპული ნაწილის აღმოსავლეთ მხარის ფლორა“ (1893—1898 წ.წ.).

ს. ი. კორჟინსკი ენერგიულ მონაწილეობას ღებულობდა მრავალ ექსპედიციაში. ასე, მაგალითად, მან მეცნიერული მიზნით ინახულა: კაზახეთის სსრ-ის აღმოსავლეთი ნაწილი (სემიპალატინსკის და სემირეჩიეს ოლქები), ამურის აუზი და შუა აზია (თურქმენეთის სსრ, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის სსრ ზოგიერთი რაიონი, პამირი და სხვ.). კორჟინსკის ეკუთვნის ბევრი შრომა კულტურული მცენარეულობის წარმოშობის შესახებ. თავის შრომებში: „ჰეტეროგენეზისი და ევოლუცია“, „სახეთა წარმოშობის თეორიისათვის“ მან გამოსთქვა დე-ფრიზის მუტაციური თეორიის მსგავსი იდეები.

**კორტმსი**, ფერნანდო (ერნანი), (1485—1547 წ.წ.), ესპანელი კონკისტადორი, რომელმაც 1521 წ. დაიპყრო მექსიკა; კუბისა და ჰაიტის დაპყრობის მონაწილე. 1536 წ. მან აღმოაჩინა კალიფორნიის ნახევარკუნძული.

**კოცეპუ**, ოტონ ესტატეს-დე (1787—1846 წ.წ.), ცნობილი რუსი მეზღვაური; სამჯერ იმოგზაურა დედამიწის ირგვლივ; პირველად კრუზენშტერნთან ერთად 1803—1806 წლებში, მეორედ 1815—1818 წლებში (ეს ექსპედიცია მოეწყო კანცლერ რუმიანცევის სახსრებით) შემდეგი მარშრუტით: კრონშტადტი—კონცხი ჰორნი—კამჩატკა—კალიფორნია—ჰავაის კუნძულები—ნანილა—მადაგასკარი—კეთილი იმედის კონცხი—წმ. ელენეს კუნძული—ევროპა—კრონშტადტი. კოცეპუს მეორე მოგზაურობაში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა ნატურალისტმა, შემდგომში გამოჩენილმა გერმანელმა მწერალმა ადალბერტ შამისომ (წარმოშობით საფრანგეთის პროვინციიდან შალპანიდან). კოცეპუს მოგზაურობა აღწერილია წიგნში „მოგზაურობა სამხრეთ ოკეანეში და ბერინ-

გის სრუტეში ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვაო გასასვლელის საპოვნელად“, შესრულებული 1815, 1816, 1817 და 1818 წლებში... ხომალდ „რიურიკ“-ზე ფლოტის ლეიტენანტ კოცებუს უფროსობით (ნ. 1 და 2, ს.-პ. 1821 წ., ნ. მე-3, ს.-პ. 1x23 წ., ატლასით; ეს შრომა გამოქვეყნებისათანავე გადაითარგმნა გერმანულ, ინგლისურ და პოლანდურ ენებზე). მესამე მოგზაურობა დედამიწის ირგვლივ კოცებუმ შეასრულა 1823—1826 წლებში სამხედრო კარქაპზე „Предприятие“; ეს მოგზაურობა აღწერა მან წიგნში: „მოგზაურობა ქვეყნის გარშემო ...სამხედრო კარქაპზე „პრედპრიიატიე“ 1823—26 წლებში“ (ს.-პ. 1828 წ.).

**კრასნოვი**, ანდრია ნიკოლოზის ძე (1862—1914 წ.წ.), ხარკოვის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ბევრი იმოგზაურა ალტაიზე, ტიან-შანზე, ციმბირში, სახალინზე, იაპონიაში, სამხრეთ ჩინეთში; იავაზე, ინდოეთსა და ჩრდილო ამერიკაში. 1911 წ. ბათომის მიდამოებში გააშენა ბოტანიკური ბაღი, რომლის დირექტორადაც ის იყო თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. ა. ნ. კრასნოვის შრომებიდან ცნობილია: 1) „ცდა აღმოსავლეთ ტიან-შანის სამხრეთი ნაწილის ფლორის განვითარების ისტორიისა“ (1888 წ.); 2) „ჩრდილო ნახევარსფეროს ბალახიანი სტეპები“ (1894 წ.); 3) „აზიის სუბტროპიკული ოლქების ჩაის რაიონები“ (პეტერბურგი, 1897—1898 წ.წ.); 4) „მცენარეთა გეოგრაფია“ (1899 წ.); 5) ორჯერ გამოცემული „დედამიწის მკოდნეობის კურსი“ (1901 წ.) და სხვ. ა. ნ. კრასნოვის შრომებში, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი საინტერესო იდეა და ძვირფასი მასალები არის მოცემული, მაინც გვხვდება მეტად უხეში შეცდომები; რად-

გან ამ შრომების შედგენა ხდებოდა ნაჩქარევად. ამ შეცდომებს თავის დროზე მიაქცია ყურადღება და აღნიშნა ა. ი. ვოეიკოვმა.

**კრაშენინიკოვი**, სტეფანე პეტრეს-ძე (1713—1755 წ.წ.), რუსეთის გამოჩენილი მეცნიერი, კამჩატკისა და კურილის კუნძულების მკვლევარი. მისი შრომა „კამჩატკის მიწის აღწერა“, რომელიც დაბეჭდილია 2 ტომად მეცნიერებათა აკადემიის მიერ (პირველი ტომი 1755 წ. და მეორე ტომი 1756 წ.), ა. ი. ანდრეევის სამართლიანი შენიშვნით, იყო „პირველი თხზულება რუსულ ენაზე, რომელშიაც მოცემულია ციმბირის ერთ-ერთი ოლქის ყოველმხრივი აღწერა. ეს ოლქი დიდ ყურადღებას იქცევდა XVIII საუკუნეში. მაგრამ ეს შრომა აგრეთვე პირველი იყო დასავლეთ ევროპის ლიტერატურაშიაც, სადაც აქამდე არ ჰქონდათ სერიოზული შრომები კამჩატკის შესახებ, კამჩატკა წარმოადგენდა ინგლისელებისათვის, ფრანგებისათვის და სხვებისათვისაც მეტად საინტერესო გამოკვლევის ობიექტს. უკანასკნელ გარემოებათა გამო, დასავლეთ ევროპაში, რუსული ენის სუსტი ცოდნის გამო, მალე გამოვიდა კრაშენინიკოვის შრომის თარგმანი უცხო ენებზე“... (ა. ი. ანდრეევი, „ს. პ. კრაშენინიკოვის ცხოვრება და მეცნიერული შრომები“. წერილი ჟურნალში „Советский Север“; 1939 წ.; № 2; „გლავსევმორპუტის“ გამ.; გვ. 55). თავის თხზულებისათვის კრაშენინიკოვმა მიიღო მეცნიერებათა აკადემიისაგან ბოტანიკის პროფესორის წოდება. ის კითხულობდა ლექციებს ბუნებისმეტყველებაში; წერილებს სწერდა ბოტანიკის დარგში.

**პროკოტაძინი** (იგივე კრაპოტკინი), პეტრე ალექსის-ძე (1842—1921 წ.წ.), რუსი მეცნიერი, რევოლუცი-

ონერ-ანარქისტი, აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი; ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან გატაცებული იყო კ. რიტერისა და ა. ჰუმბოლდტის თხზულებებით, რომელთა შრომებმაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა. კროპოტკინმა მოაწყო ექვსი ექპედიცია ჩრდილო ჩინეთში, მანჯურიაში, ამურზე, შორეულ აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ციმბირში. შორეულ აღმოსავლეთში და რუსეთისა და მონღოლეთის საზღვართან მან აღმოაჩინა ვულკანური ოლქები; მანვე დაამტკიცა, რომ სტანოვოის ქედი არ წარმოადგენს მთლიან ქედს, გადაჭიმულს იმიერბაიკალიდან დეჟნევის კონცხამდე. ფინეთსა და შვედეთში მოგზაურობის დროს გამოიკვლია მყინვარული ნაფენები და ამ გამოკვლევის საფუძველზე შექმნა თეორია მყინვარული პერიოდის შესახებ; ამ თეორიამ შექმნა ეპოქა გეოლოგის მეცნიერებაში. პ. ა. კროპოტკინს ეკუთვნის სამი ორიგინალური თეორია: 1) აზიის კონტინენტის აგებულების თეორია; 2) თეორია მყინვარული პერიოდის შესახებ; 3) ევრაზიის შეშრობის თეორია (უკანასკნელ თეორიას თანამედროვე მეცნიერება უარყოფს).

პ. ა. კროპოტკინის უმთავრესი შრომებია: 1) „კვლევა-ძიებანი მყინვარული პერიოდის შესახებ“ („Записки Русск. геогр. общ.“, VII, 1876, XX+717 გვ.+70 გვ.); 2) ი. პოლიაკოვთან ერთად შეადგინა „1866 წ. ოლეკმა-ვიტიმის ექსპედიციის ანგარიში“ (Записки Русск. геогр. общ.“; III, 1873, XXX+XIII+681+VII+175 გვ.; რუკები) და სხვ.

**პარუზენშტამანი**, ივანე თევდორეს-ძე (1770—1846 წ.წ.), რუსი მეზღვაური; თავისი პირველი დედამიწის ირგვლივი მოგზაურობა მოახდინა 1803—1806 წ.წ. ამ



მოგზაურობამ გაამდიდრა გეოგრაფიული მეცნიერება ახალი მონაცემებით; განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული წყნარი ოკეანის კუნძულების, აზიის შორეულ აღმოსავლეთის ნაწილების—კამჩატკის, სახალინისა და კურილის კუნძულების შესწავლაზე. კრუზენშტერნმა თავისი დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა აღწერა თხზულებაში: „დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა 1803—1806 წლებში... ხომალდებზე „ნადეჟდა“ და „ნევა“-ზე; ნაწ. I—III (პეტერბურგი, 1809—1812 წ.წ.; ატლასით, 1813 წ.).

კუპინი, ჯემსი (1728—1779 წ.წ.), ერთ-ერთი გამოჩენილი ინგლისელი მეზღვაური. მან მოახდინა სამი დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა (1768—1771 წ.წ.; 1772—1775 წ.წ. და 1776—1779 წ.წ.), რომლის დროს მრავალი გეოგრაფიული აღმოჩენანი მოახდინა; ასე, მაგ., მან აღმოაჩინა ამხანაგობის კუნძულები (ტაიტი), სანდვიჩის (ჰავაი), ახალი კალედონია, ახალი ჰებრიდის და სხვა. დაამტკიცა ახალი ზელანდიის კუნძულოვანი ხასიათი და გამოარკვია, რომ ახალი ზელანდიის ჩრდილო კუნძულს მკვიდრი მცხოვრებნი უწოდებენ „ტე-იკა-მაუი“-ს („ფრინველი-თევზი მაუი“), სამხრეთ კუნძულს კი „ტევახი-პუნამუ“-ს („მწვანე ქვის კუნძული“—ნეფრიტის), ხოლო კუნძულ სტუარტს კი უწოდებენ „რაკიურა“-ს; ინგლისელებმა ჩრდილო კუნძულს უწოდეს ნიუ-ულსტერი და სამხრეთისას კი ნიუ-მუნსტერი. კუკმა გამოიკვლია აგრეთვე ავსტრალიის აღმოსავლეთი სანაპირო. თავისი მესამე მოგზაურობის დროს კუკი შევიდა აზიასა და ამერიკის შორის მოთავსებულ სრუტეში და უწოდა მას ბერინგის სრუტე. კუკმა საბოლოოდ დაადგინა, რომ არ არსებობს დიდი Australis კონტინენტი, რომელიც თი-

თქოს აღწევდა ს.ს. 40<sup>0</sup>-მდე; მანვე დაამტკიცა, რომ დედამიწის ზედაპირზე წყლის სივრცე (მსოფლიო ოკეანე) გაცილებით მეტია, ვიდრე ხმელეთი; გარდა ამისა, ჯემსკუკის მოგზაურობის შემდეგ მეცნიერების მტკიცე მონაპოვარად გადაიქცა ცნობები ახალი ტომების შესახებ, ახალი ქვეყნების და ახალ მცენარეთა და ცხოველთა შესახებ. მესამე მოგზაურობის დროს, არქიპელაგ ჰავაის გამოკვლევის დროს, კუკი მოკლულ იქნა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ კარაკაკუს ბოლაზში.

კუკი, ფრედერიკი (დაბ. 1865 წ.), აშშ-ის მოგზაური. 1903 და 1906 წლებში მან იმოგზაურა ალასკაზე, სადაც მან მოახდინა მთა მაკ-კინლეიზე ასვლა. 1907—1908 წ.წ. წავიდა გრენლანდში, საიდანაც მან სცადა ჩრდილოეთის პოლუსამდე მიღწევა.

---

,

## ლ

**ლანგსდორფი**, გრიგოლი ივანეს-ძე (1774—1852 წ.წ.),  
 გერმანელი, ბუნებისმეტყველი, ექიმი და მოგზაური;  
 1803 წლიდან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-  
 კორესპონდენტი, სადაც ის მუშაობდა უფრო მეტად  
 ბოტანიკის დარგში; 1803—1807 წ.წ. ის იყო კრუზენ-  
 შტერნის მეთაურობით მოწყობილ დედამიწის ირგვლივი  
 მოგზაურობის ექსპედიციის მონაწილე; უფრო გვიან,  
 ლანგსდორფი, როგორც წევრი რუსეთის საელჩოსი, რო-  
 მელსაც რეზანოვი ხელმძღვანელობდა, გაემგზავრა მაშინ  
 მცირედ ცნობილ იაპონიაში; შემდეგ მან რამდენიმე ხანი  
 დაჰყო კანჩატკაზე, საიდანაც ის გაემგზავრა რუსეთის  
 ჩრდილო-ამერიკულ სამფლობელოში, ალუტის კუნძუ-  
 ლებზე. 1806 წ. ლანგსდორფი დაბრუნდა კანჩატკის  
 პეტროპავლოვსკში და ოხოტსკის გავლით, ციმბირის სახ-  
 მელეთო გზით, დაბრუნდა პეტერბურგში 1807 წელს.  
 1812 წ. ის იყო არჩეული და დამტკიცებული ბოტანი-  
 კისა და ზოოლოგიის ექსტრაორდინარულ აკადემიკოსად.  
 რამდენიმე ხნის შემდეგ რუსეთის მთავრობამ ლანგ-  
 სდორფი დანიშნა ელჩად ბრაზილიაში, სადაც ის, დიპ-  
 ლომატური მუშაობის გარდა, ეწეოდა მიცნიერულ მუ-  
 შაობასაც. 1821 წ. იწყო ზრუნვა, რომ მას მისცემოდა  
 ნებართვა და სახსრები, რათა მას მოეხდინა მეცნიერუ-  
 ლი კვლევა-ძიება სამხრეთ ამერიკის ცენტრალურ რაი-  
 ონებში, უმთავრესად ბრაზილიაში (დაახლოებით თანა-  
 წედროვე მატო-გროსოს, მინას-ჟერაისის და სან-პაულოს

შტატების ფარგლებში და მის მოსაზღვრე რაიონებში) და გვიანაში (მდინარე ორინოკოს აუზში). ლანგსდორფმა მიიღო ნებართვა და სახსრები და თავის თანამგზავრებთან ერთად შვიდი წლის განმავლობაში გამოიკვლია ის ოლქები, რომლებიც მდებარეობენ პარანა-პარაგვაისა და მადეირა-ამაზონის აუზებში მათი მრავალი შემდინარეებით, როგორცაა—ტიეტე, რიო-პარდუ, ტარკუარი, სან-ლორენსო, ჟაურუ, ტაპაჟოს-ჟურუენა, არინოსი, გუაპორე, რიო-ნეგრო და სხვ. ეს კარგად ორგანიზებული ექსპედიცია არ დამთავრდა, რადგან 1828 წ. ივნისში ლანგსდორფი მძიმედ დაავადდა ტროპიკული მალარიით, რამაც უარყოფითად იმოქმედა მის გონებრივ უნარიანობაზე (მან დაკარგა მეხსიერება და მოსაზრების უნარი). მიუხედავად იმისა, რომ ეს ექსპედიცია არ დამთავრებულა, მაინც მას თავისი დროისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ლანგსდორფმა და მისმა თანამგზავრებმა ინახულეს ისეთი ოლქები, რომლებიც მაშინდელ დროს მეტად უცნობი იყო და მიუწვდომელი; ექსპედიციამ შეკრიბა ბევრი მასალა ბოტანიკაში, ზოოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, შეადგინა საინტერესო მგზავრის წერილები და დღიურები, შეადგინა ლექსიკონი ინდოელთა რამდენიმე ტომის ენაზე (აპიაკა, გუანა, მუნდურუკუ და სხვ.); ყველა ამ მასალეს, რომელიც ინახება სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის არქივში, ჩვენ დროშიაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. გარდა ამისა, ექსპედიციის მხატვარმა ფლორანსმა შეაგროვა საინტერესო და შედარებით მდიდარი საილუსტრაციო და სატექსტო მასალები. ფლორანსის დღიური ნ. გ. შირინცინის შეხედულებით „წარმოადგენს ეთნოგრაფიისათვის დიდ განძს. გარდა მარშრუტების შესახებ მოცემული ცნობებისა, მუშაობის მეთოდისა და ხშირად სიცოც-

ხლისათვის სახითათო სიძნელეებისა, ფლორანსს მოჰყავს დიდი ფაქტიური მასალა, რომელიც მოგზაურობის დროს უშუალო დაკვირვების შედეგია. განსაკუთრებით ძვირფას მასალას წარმოადგენს გუანას, გუატოს, მუნდურუკუს და სხვ. ტომთა აღწერა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობები აპიაკას ტომის შესახებ; ეს ტომი ამჟამად თითქმის ამოწყვეტილია“... (ნ. გ. შირინციანი. „აკადემიკოს გ. ი. ლანგდორფის ექსპედიცია ბრაზილიაში“; წერილი უურნალში „Советская этнография“; 1936 წ., № 1; გვ. 109—120). ლანგდორფის ექსპედიციის შრომები დღემდე არ არის გამოცემული.

**ლა-პერუზი**, ჟან-ფრანსუა (1741—1788 წ.წ.), ფრანგი მეზღვაური. 1785 წ. ორ ხომალდზე „ბუსოლი“ და „ასტროლაბია“ გაემგზავრა დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ, რომლის დროსაც მან გამოიკვლია წყნარი ოკეანის მრავალი კუნძული (ასე, მაგალითად, აღდგომის კუნძულები, ტაიტი, ჰავაის კუნძულები, კ. მოვე, ნეკერის კ., მარიანის კ-ები, ფილიპინის კ-ები, ფორმოზა, პესკადორის კ-ები, კ. ბოტოლტამაგო-ჰიმა, კ. დაჟელე, სახალინი და სხვ.); შემდეგ მან ინახულა ამერიკის ჩრდილოდასავლეთი სანაპირო, აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო, აღმოაჩინა სრუტე, რომელსაც მისი სახელი ეწოდა. ლა-პერუზი დაიღუპა კ. ვანიკოროსთან (სოლომონის კუნძულების ახლოს) ხომალდის დაღუპვის დროს.

**ლაპტაჰევი**, ხარიტონი და დიმიტრი, ბიძაშვილები, ციმბირის პოლარული სანაპიროების მკვლევარნი (XVIII ს.). მათი სახელი ეწოდება ზღვას (ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის ნაწილს ნახევარ-კუნძულ ტაიმირის აღმოსავლეთ ნაპირსა და ახალი ციმბირის კუნძულებს შორის).

ლივინგსტონი, დავითი (1813—1873 წ.წ.), ინგლისელი ცნობილი მოგზაური, რომელმაც იმოგზაურა აფრიკაში; 1840 წ. ლივინგსტონი, როგორც მისიონერი, გაემგზავრა კაპლანდში და 1849 წლიდან მან მოახდინა სამი მოგზაურობა. თავისი პირველი ექსპედიციის დროს ლივინგსტონმა გამოიკვლია უდაბნო კალაჰარი, აღმოაჩინა ტბა ნგამი და მასთან დაკავშირებული მდინარეები ზუგუ, ტეოგე და ტამუნალი. 1851 წ. მაკოლოლების ქვეყანაში მან აღმოაჩინა განიერი და ლამაზი მდინარე ლიამბეი და მისი სამხრეთი შემდინარე ჩობე. 1852 წ. ივნისიდან 1856 წლის მაისამდე ლივინგსტონმა გადასჭრა აფრიკის სამხრეთი ნახევარი ოკეანიდან ოკეანემდე ორი მიმართულებით: ჯერ მაკოლოლების ქვეყნიდან გაიარა ჩრდილოდასავლეთის მიმართულებით — ანგოლაში, ატლანტის ოკეანის ნაპირამდე; შემდეგ იგი მობრუნდა უკან და ლილიანტის გავლით გადასჭრა მთელი კონტინენტი და მდინარე ზამბეზის დინების მიმართულებით გამოვიდა კელიმანში ინდოეთის ოკეანისაკენ. ამ მოგზაურობის დროს ლივინგსტონმა აღმოაჩინა რამდენიმე ათეული მდინარე, ქედები და ხეობები, აგრეთვე მრავალი დასახლებული პუნქტი. მდინარე ზამბეზზე მან აღმოაჩინა ცნობილი ჩანჩქერი „მოსი-ოა-ტუნია“ („ბოლი იქ გრგვინავს“), რომელსაც ლივინგსტონმა უწოდა „ვიქტორიას“ ჩანჩქერი (ინგლისის დედოფლის პატივსაცემად). ახლად აღმოჩენილი ადგილები ლივინგსტონმა გადაიტანა რუკაზე, — ამისათვის მას მოუხდა კოორდინატების ასტრონომიული განსაზღვრა, რიცხვით დაახლოებით სამი ათასისა; შემდეგ ამისა მან მოგვცა მის მიერ ნახული ქვეყნების ფლორისა და ფაუნის მნიშვნელოვანი და მშვენიერი აღწერა. ლივინგსტონის შემდეგი მოგზაურობა (1858 წლიდან 1864 წლამდე) აგრეთვე მდიდარია თავისი შედეგე-

ბით. მდინარე ზამბეზის შესართავში მან აღმოაჩინა უფრო მოხერხებული სანაოსნო სადინარი—კონგონე, რომელიც აერთებდა მდინარის მთავარ დინებას ზღვასთან; ამის შემდეგ ლივინგსტონმა გამოიკვლია ზამბეზის შენაკადი— შირე და მის მიერვე აღმოჩენილი ტბა შირვა; 1859 წელს მან აღმოაჩინა დიდი და ლამაზი მთის ტბა „ნიასა“; ეს ექსპედიცია ლივინგსტონმა აღწერა თავის წიგნში: „ზამბეზზე და მის შემდინარეებზე წყლით მოგზაურობა“ (1865 წ.). 1866 წლის იანვრიდან 1873 წ. აპრილამდე მან მოახდინა კიდევ ერთი ხანგრძლივი მოგზაურობა, რომლის მეცნიერული შედეგები აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი იყო; მან შეისწავლა ტბა ტანგანიკის რეჟიმი და გამოიკვლია ტანგანიკისაგან დასავლეთით მდებარე ოლქი მანიემუ. ამ ოლქში მან აღმოაჩინა მდინარე ლუალაბა, რომელიც ბროლოს აღმოჩნდა მდინარე კონგოს ზემო ნაწილი; უფრო სამხრეთით ლივინგსტონმა აღმოაჩინა ტბები მოერო და ბანგვეოლო და დაადგინა კონგოს მარჯვენა შენაკადების—მდინარე ჩამბეზის, ლუაპულის და კონგოს ზემო დინების ლუალაბის ამ ტბებთან დამოკიდებულების ხასიათი. დიდი ხნის განმავლობაში ლივინგსტონის შესახებ არაფერი იცოდნენ; ამის გამო ამერიკელ გაზნეთ „ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ის რედაქციამ, რომელსაც ამ შემთხვევაში აინტერესებდა რეკლამა, ლივინგსტონის საქმერად გაგზავნა ჰენრი სტენლი: სტენლიმ ლივინგსტონი მოძებნა 1871 წელს. ამ ამბის ორი წლის შემდეგ დიადი მოგზაური ლივინგსტონი დასუსტების გამო გარდაიცვალა ჩიტამბოში (ილალის ქვეყანაში). იგი დაკრძალულია ლონდონში ვესტმინსტერის ტაძარში. თავისი მოგზაურობანი ლივინგსტონმა აღწერა შემდეგს შრომებში: 1) „მისიონერის მოგზაურობა და გამოკვლევანი სამხრეთ აფრიკაში“ (ლონდონი, 1857 წ.; ტ. I და II); 2) „მოთხრობა ზამბეზის ექსპედიციაზე“ (ლონდონი, 1865 წ.).

**ლიტკე**, თევდორე პეტრეს-ძე (1797—1882 წ.წ.), რუსი მეზღვაური, ადმირალი. 1821—1824 წ.წ. მან შემოუარა ახალი მიწის დასავლეთ სანაპიროს კუსოვის კონცხიდან სამხრეთით პრინც ნასაუს კონცხამდე ჩრდილოეთით; 1822—1823 წლების განმავლობაში ლიტკემ გამოიკვლია მურმანის სანაპირო ნორვეგიის საზღვრამდე. 1826—1829 წ.წ. განმავლობაში ის იმყოფებოდა დედამიწის ირგვლივ მოგზაურობაში ხომალდ „სენიავინი“-თ და აღწერა კამჩატკის და ჩუკოტკის ნახევარკუნძულის ნაპირები, აღმოაჩინა და აღწერა კაროლინის არქიპელაგის თორმეტი კუნძული, გამოიკვლია და რუკაზე გადაიტანა ბონინის კუნძულები და სხვ.

თავისი მოგზაურობანი და გამოკვლევანი ლიტკემ აღწერა შემდეგს შრომებში: 1) „ოთხჯერ მოგზაურობა ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში... 1821—1824 წ.წ.“ (პეტერბურგი, 1828 წ.; ორ ტომად) და 2) „მოგზაურობა დედამიწის ირგვლივ... სამხედრო ხომალდით „სენიავინი“-თ 1826—1829 წ.წ.“ (პეტერბურგი, 1834—1836 წ.წ.).

**ლომონოსოვი**, მიხეილ ვასილის-ძე (1711—1765 წ.წ.), რუსეთის გენიალური მეცნიერი, ნატურალისტი, გეოგრაფი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, პოეტი. „ის დიადი აღამიანი იყო... მან შექმნა პირველი უნივერსიტეტი; უფრო სწორად რომ ვთქვათ, ის თვით იყო ჩვენი პირველი უნივერსიტეტი“ (ა. ს. პუშკინი). 1757 წ. ლომონოსოვი დანიშნული იქნა მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული გეოგრაფიული დეპარტამენტის ხელმძღვანელად, რის შემდეგაც იქ თანდათანობით მოგვარდა მუშაობა შეძლებისდაგვარად რუსეთის სწორი რუკების დამზადებისათვის. ლომონოსოვის მითითებათა მიხედვით,



რათა მიეღოთ უფრო ზუსტი და დაწვრილებითი გეოგრაფიული და ეკონომიური ცნობები, შედგენილი იქნა „შეკითხვის ფურცლები“ (ანკეტა), რომელიც შედგებოდა 30 პუნქტისაგან; 1759 წლის ბოლოს და 1760 წ. ეს ანკეტები გაფგზავნა ყველა ქალაქს, რომელთაც თავის მხრივ უნდა მიეცათ პასუხი სასწრაფოდ. ეს ეკონომიურ-გეოგრაფიული ხასიათის ანკეტა შეიცავდა შემდეგს საკითხებს: „ქალაქის სიდიდე, ქვისა და ხის სახლების რიცხვი, რომელ მდინარესთან ან ტბასთან მდებარეობს ქალაქი, როდის იმართება ხოლმე იქ ბაზრობა, რადარა სარეწაოები და სახელოსნოებია, რადარა თაბრიკები, ქარხნები, წისკვილები, სავარგულო მიწები; მდინარის რომელ სანაპიროზე მდებარეობს მისი მაღალი ნაწილი, სად არის ნავმისადგომები, როდის თავისუფლდება ყინულისაგან და როდის იყინება მდინარე; რა მანძილზეა მისგან მეზობელი ქალაქები; სად არის მაღალი და ცნობილი მთები; რა ჯიშის პურეული ითესება უფრო ხშირად და რომელი უფრო მოსავლიანია“ და ა. შ.

ლომონოსოვმა სენატიდან გამოითხოვა ფული ორი-გეოგრაფიული ექსპედიციისათვის „ასტრონომიული დაკვირვებით სიგანედისა და სიგრძედის მნიშვნელოვანი ადგილების განსაზღვრის“ მიზნით. როგორც გეოგრაფიული დეპარტამენტის უფროსი, მ. ვ. ლომონოსოვი სერიოზულად იყო დაინტერესებული გეოგრაფიის პრობლემებით, და გეოგრაფია შეიქმნა მისთვის „იმ საგნად, რომლისკენაც მუდმივად იყო მიმართული მისი გულითადი ფიქრები—აზრები“... (მ. ბოდნარსკი). ლომონოსოვმა დასტოვა მთელი რიგი შრომები, რომლებშიაც გამოთქმულია მეტად ძვირფასი აზრები გეოგრაფიის საკითხების შესახებ; ასე, მაგალითად, „საზღვაო გზის დიდი სიზუსტის შესახებ მსჯელობაში“ (1759 წ.; „Рассуждение

ს ბაღშიოი ტოჩნოსი მორსკოგო პუტი“) ავტორი არ-  
 ჩევს საკითხებს სიგრძედისა და სიგანედის მოძებნის შესახებ  
 მოწმენდილ ამინდში და მოღრუბლულ ამინდში, აგრეთვე  
 ზღვაზე მეცნიერული ხასიათის ნაოსნობის შესახებ და სხვ.  
 თავის შრომაში „Слово о явлениях воздушных от  
 электрической силы происходящих“ ლომონოსოვი  
 გამოსთქვამს მეტად საინტერესო მოსაზრებას მეტეორო-  
 ლოგიურ საკითხებზე; მას ეკუთვნის ერთ-ერთი უდიდესი  
 აღმოჩენა მეტეოროლოგიის დარგში, სახელდობრ—მო-  
 ძღვრება ჰაერის ვერტიკალურ დენათა შესახებ (ჰაერის  
 კონვექციურ დენათა შესახებ). ლომონოსოვის ამ ღირს-  
 შესანიშნავ აღმოჩენას თავის დროზე არც რუსეთში და  
 არც საზღვარგარეთ არ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება.  
 მოძღვრება ჰაერის კონვექციურ დენათა შესახებ მისა-  
 წვდომი შეიქმნა მეცნიერებისათვის მხოლოდ მაშინ, რო-  
 დესაც ამის შესახებ დაიწყეს ლაპარაკი ა. ჰუმბოლდტმა  
 და არაგომ. ლომონოსოვს ეკუთვნის აგრეთვე მეტად  
 საინტერესო ახსნა ნამის, ნისლის და სეტყვის მარცვლების  
 წარმოშობის შესახებ; მასვე ეკუთვნის სრულიად სწორი  
 მსჯელობა თოვლის ხაზის განლაგების შესახებ.

ლომონოსოვი დიდ ყურადღებას აქცევდა ვულკან-  
 ნური და სეისმური მოვლენების საკითხებს და ვულკან-  
 ნების განლაგებას დედამიწის ზედაპირზე. ლომონოსოვის  
 თეორია დედამიწის ვულკანური მოქმედიანობის შესახებ  
 ორიგინალური და საინტერესოა იმით, რომ ბევრად  
 გაუსწრო თავის დროს. ის გარკვეულად ამტკიცებდა  
 დედამიწის ზედაპირის ნელი (ზღაზნია) რყევის არსე-  
 ბობას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ამას არ სცნობდნენ  
 არც გერმანიის, არც ინგლისისა და არც საფრანგეთის  
 მეცნიერნი, და მხოლოდ შვეციის მკვლევარებმა, რო-  
 გორც ჰიერნემ (Hjärne), სვედენბორგმა, ცელსიმ და ლი-

ნეიმ მოახდინეს დაკვირვება ამ მოვლენაზე, მაგრამ გან-  
 საზღვრულ დასკვნამდე ვერ მივიდნენ. თავისი შეხედუ-  
 ლებანი ოროგრაფიაში, ჰიდროგრაფიასა და კლიმატო-  
 ლოგიაში ლომონოსოვმა უმთავრესად მოგვცა შემდეგს  
 შრომებში: 1) „მეტალურგიის პირველი საფუძვლები“,  
 მეორე დამატების პირველი თავი; 2) „ჩრდილოეთის  
 ზღვებში სხვადასხვა მოგზაურობათა მოკლე აღწერა და  
 მითითებანი ციმბირის ოკეანით აღმოსავლეთ ინდოეთში  
 შესაძლო გასასვლელის შესახებ“, მესამე თავი; 3) „მსჯე-  
 ლობა მიწისძვრის გამო ლითონების წარმოშობის შესა-  
 ხებ“; 4) „ინსტრუქცია ჩიჩაგოვს“ და 5) „მსჯელობა  
 ჰაერის მოვლენების შესახებ, რომელიც წარმოიშობა  
 ელექტრონული ძალისაგან“ („Слово о явлениях воз-  
 душных от электрической силы происходящих“).  
 მ. ვ. ლომონოსოვი ამტკიცებდა, რომ კლიმატი არ არის  
 რაღაც მარადიული და უცვლელი, არამედ ის იცვლება  
 დედამიწაზე ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კოსმიურ და  
 ფიზიკოგრაფიულ პირობებთან დაკავშირებით. კლიმა-  
 ტოლოგიაში, გარდა ზოგადი ცნობებისა, ლომონოსოვის  
 თხზულებებში ჩვენ ვხვდებით არა მარტო თავის დროი-  
 სათვის, არამედ საერთოდ, მეტად კარგ კლიმატოლო-  
 გიურ დახასიათებას მაშინდელ დროში ისეთი მცირედ  
 ცნობილი ქვეყნებისას, როგორიცაა—ტიბეტი, კვიტო,  
 კანადა და რუსეთი (ევროპული და აზიური ნაწილები).  
 ლომონოსოვის შეხედულების თანახმად, აისბერგები (ყი-  
 ნულის მთები) არის დიდი ნატეხები („ბადუნნი“), მოწყვე-  
 ტილი კონტინენტურ ყინულს, რომელიც ფარავდა სანა-  
 პირო კლდეებს და დაეშვა ზღვაში.

ლომონოსოვს დიდი ხნიდან აინტერესებდა აზრი  
 ჩრდილო-აღმოსავლეთის გზისა ინდოეთისაკენ და ჩრდი-  
 ლო ყინულოვანი ოკეანით მოგზაურობის ორგანიზაციის

შესაძლებლობის შესახებ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით წყნარ ოკეანეში გასასვლელად.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ თავის ნაწერში, რომელშიაც ჩამოთვლილია მისი მუშაობის თემები, პირველად არის ნახმარი ტერმინი ეკონომიური გეოგრაფია, ჩვენს დროში მიღებული გეოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების აღსანიშნავად.

ლომონოსოვის აზრით გეოგრაფიული მეცნიერება წარმოადგენს სინთეტიკურ მეცნიერებას, რომელიც „მთელ მსოფლიო თვალუწვდენელობას ერთიან შეხედულებას უქვემდებარებს“ („вся вселенная обширность единому взгляду подвергает“).

მ. ვ. ლომონოსოვი უდავოდ ერთ-ერთი გამოჩენილი გეოგრაფთაგანია, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გეოგრაფიული მეცნიერების ისტორიაში.

---

**მაგელანი**, ფერნანდო (1480—1521 წ.წ.), პორტუგალიელი გამოჩენილი მეზღვაური, რომელმაც პირველად მოახდინა დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა. ახალგაზრდობისას მსახურობდა ჯარში; იყო ინდოეთში; მონაწილეობას იღებდა ექსპედიციაში მალაკის ნახევარკუნძულზე, აგრეთვე მაროკოს ლაშქრობაში, სადაც მძიმედ დაიჭრა ფეხში.

1512 წ. მაგელანი დაბრუნდა ლისაბონში, სადაც ის შეუდგა კოსმოგრაფიისა და საზღვაო მეცნიერებათა შესწავლას და დასწერა თხზულება: „ინდოეთის სამეფოების, სანაპიროების, ნავსადგურების და კუნძულების აღწერა“. გეოგრაფიული საკითხების შესწავლამ მაგელანი მიიყვანა გენიალურ გეგმამდე, რომ შორეული აღმოსავლეთის კუნძულების მიღწევა შეიძლება გარდა ჩვეულებრივი გზისა—აფრიკის შემოვლით, დასავლეთის გზითაც სამხრეთ ამერიკის სამხრეთი კიდურის ახლოს გაეღოთ. ესპანეთის მთავრობამ მოაწყო ექსპედიცია, რომლის მეთაურად მაგელანი დაინიშნა; მან გამოიკვლია სამხრეთ ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილები, აღმოაჩინა სრუტე (მაგელანის სრუტე) ატლანტის ოკეანისა და წყნარ ოკეანის შორის, წყნარი ოკეანის სამხრეთი ნაწილი, მარიანის და ფილიპინის კუნძულები; უკანასკნელ არქიპელაგზე ის დაიღუპა მკვიდრ მცხოვრებლებთან შეტაკების დროს კუნძული მაქტანის ნაპირას. მაგელანის მოგზაურობა მშვენივრად აღწერა ერთ-ერთმა

მისმა თანამგზავრმა პიგათეტამ თავის დღიურში („პირველად დედამიწის ირგვლივ“; არსებობს რუსული თარგმანიც).

**მაკ-კლიური, რობერტ-ჯონი** (1807—1873 წ.წ.), ინგლისელი ცნობილი მოგზაური, რომელმაც 1850—1853 წ.წ. გაიარა ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელი ბერიנגის სრუტიდან მეღვილის ყურისა და ბაროუს სრუტის გავლით აღმოსავლეთისაკენ.

**მარტონი, ემანუელი** (დაიბ. 1873 წ.), საფრანგეთის ცნობილი გეოგრაფი. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი მნიშვნელოვანი შრომები, რომელთაგან განსაკუთრებით ყურადღების ღირსია: 1) „ფიზიკური გეოგრაფიის კურსი“—სამ ტომად (არის რუსული თარგმანი I და III ტომისა) და 2) „ცენტრალური ევროპა“—ორ ტომად (ერთი ტომი გადმოთარგმნილია რუსულად).

„თანამედროვე გეოგრაფია, მარტონის მიხედვით, აწარმოებს ფიზიკური, ბიოლოგიური და ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირებული მოვლენების დედამიწის ზედაპირზე განლაგების, აგრეთვე ამ განლაგების მიზეზების და ამ მოვლენათა ადგილობრივ თანათარდობათა შესწავლას“. მარტონის შეხედულებით გეოგრაფიული მეცნიერების მეთოდოლოგიის მთავარ პრინციპებს წარმოადგენს: 1) სივრცობლივი პრინციპი, ე. ი. გეოგრაფიული მოვლენების სივრცობლივი განლაგების პრინციპი; 2) შედარებითი კვლევას პრინციპი (მეთოდი), ე. ი. რომელიმე მოვლენის გეოგრაფიული შესწავლა გულისხმობს მუდმივ დაპირისპირებას ანალოგიურ მოვლენებთან, რომლებიც შესაძლებელია გვხვდებოდეს დედამიწის სფეროს სხვა პუნქტებში; 3) მიზეზობრიობის პრინციპი.

**მენჯბირი**, მიხეილ ალექსანდრეს-ძე (1855—1935 წ.წ.), გამოჩენილი ორნიტოლოგი და ზოოგეოგრაფი, დარვინისტი. მას ეკუთვნის შემდეგი ძვირფასი შრომები: 1) „რუსეთის ფრინველები“ (2 ტომად); 2) „ევროპული რუსეთისა და კავკასიის სანადირო და სარეწაო ფრინველები“ (2 ტომად); 3) „დარვინიზმი ბიოლოგიაში და მის ახლოს მყოფ მეცნიერებებში“; 4) „ფრინველების მიგრაცია ზოოგეოგრაფიული თვალსაზრისით“; 5) „ზოოგეოგრაფიული ატლასი“ და სხვ.

**მერკატორი**, გერჰარდ კრემერის ლათინურად გადაკეთებული სახელი (1512—1594 წ.წ.), ნიდერლანდელი, ცნობილი მათემატიკოსი და გეოგრაფ-კარტოგრაფი. მან გამოიგონა გეოგრაფიული რუკების განსაკუთრებული პროექციით ხაზვის ხერხი, რომელსაც ამჟამადაც მერკატორულს უწოდებენ. მერკატორი თავის რუკებზე მერიდიანს გამონატავდა ეკვატორის და პარალელური წრეების პერპენდიკულარულად. „რომ შეენარჩუნებია სიგანეების ნამდვილი თანათარლობა, მერკატორი თავის რუკებზე სტოვებდა სიგრძელის გრადუსებს ერთნაირს, ადიდებდა მანძილს სიგანეების გრადუსებს შორის გარკვეული პროპორციით. ასეთი ხერხით რუკების ხაზვის შედეგად თუმცა ქვეყნების კონტურები ეკვატორიდან თანდათან დაშორებული პოლუსისაკენ გრძელდებიან და პოლუსთან მიახლოებული სრულიად აღარ შეეფერებიან სინამდვილეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ პროექციას მეზღვაურებისათვის მეტად მნიშვნელოვანი თვისება აქვს: მას ახასიათებს კუთხის მუდმივობა, რომელსაც ჰქმნის მოძრავი ხომალდის მიმართულება ყველა მერიდიანისადმი, ამას კი არც ერთი სხვა პროექცია არ იძლევა; ამის გამო, მეზღვაურები ამჟამადაც ხმარობენ მერ-

კატორის პროექტით შედგენილ რუკებს“ (ნ. კ. ლე-ბედევი. „Завоевание земли“; ნაწ. II; გვ. 63—64).

მერკატორის მთავარი შრომაა—რუკების კრებული და ამ რუკების აღწერა; ეს შრომა გამოცემულია 1595 წ. სახელწოდებით „ატლასი“, რადგან მის ყდაზე გამოხატული იყო მითური ბუმბერაზი (გიგანტი) ატლანტი, რომელსაც დედამიწა უჭირავს თავის მხრებზე.

მერკატორმა პირველმა აღნიშნა, რომ ჩრდილოეთის მაგნიტური პოლუსი არ ემთხვევა გეოგრაფიულ პოლუსს.

მერკატორმა მორალური დახმარება გაუწია ინგლისელების არტურ პიტისა და ჩარლზ ჯეკმენის ექსპედიციას, რომელსაც მიზნად ჰქონდა აღმოეჩინა ჩრდილო-აღმოსავლეთის გასასვლელი 1580 წელს. აი რას სწერს მერკატორი ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც გაუგზავნა ჰაკლიუიტს: „ჩინეთში წასვლა ზღვით ჩრდილო-აღმოსავლეთის გასასვლელით მეტად მოხერხებულია და ადვილია“ (ამ წერილის რუსული თარგმანი გამოქვეყნებულია მ. პ. ალექსეევის მიერ მის შრომაში „Сибирь в известиях западно-европейских путешественников и писателей“; ტ. I, ირკუტსკი; 1932 წ.; გვ. 170).

**მერცხაბერი**, გოტფრიდი (1848—1926 წ.წ.), გერმანელი მეცნიერი, ალბინისტი, და მსოფლიოს მაღალმთიანი რაიონების მკვლევარი. 1891—1892 წ.წ. ის იკვლევდა კავკასიონის ქედის მაღალმთიან რაიონებს, სადაც მოახდინა ასვლა შემდეგ მწვერვალებზე: იალბუზზე, მყინვარზე, ჯანყზე, უშბაზე და სხვ. 1902—1903 წ.წ. იმოგზაურა ირანში, არაბეთსა და ინდოეთში; გამოიკვლია ტიან-შანის ცენტრალური ნაწილი. 1907—1908 წ.წ. მერცხაბერმა გამოიკვლია აღმოსავლეთი ტიან-შანი. მისი



შრომებიდან (გერმანულ ენაზე) აღენიშნოთ: 1) „კაეკასიონის მაღალ-მთიან რაიონებიდან“ (1901 წ., ორ ტომად); 2) „ცენტრალური ტიან-შანის მთები“ (1905 წ.); 3) „ტიან-შანის ფიზიოგრაფია“ (1913 წ.); 4) „ბოგდოლოას მთიანი ჯგუფი“ (1916 წ.). მერცხაბერის კარტოგრაფიული შრომებიდან დავასახელებთ: „ტიან-შანის რუკას“ (მასშტაბი 1 : 500.000), რომელიც დაიბეჭდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ 1928 წ.

**მეჩნიკოვი**, ლევ ილიას-ძე (1838—1888 წ.წ.), რუსი ცნობილი მეცნიერი, გეოგრაფი, სოციოლოგი და პუბლიცისტი; შეძლებული ხარკოველი მემამულის ილია სპა-დარენკო-მეჩნიკოვის შვილი. 1856 წელს მეჩნიკოვი იყო ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი, საიდანაც ის იქნა გამორიცხული, როგორც სტუდენტთა „არეულობის“ აქტიური მონაწილე. 1857 წ. ი. მეჩნიკოვი წავიდა პეტერბურგში, სადაც ის ჯერ მოეწყო სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, შემდეგ კი პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, საიდანაც ის კვლავ იქნა გამორიცხული 1860 წ. სტუდენტთა „არეულობაში“ მონაწილეობისათვის. ამის შემდეგ მეჩნიკოვი წავიდა საზღვარგარეთ და ბევრი იმოგზაურა (ცხოვრობდა კონსტანტინებოლში და თურქეთის სხვა ქალაქებში, ათონში, პალესტინაში, ეგვიპტეში, მცირე აზიის სხვადასხვა ადგილებში, რუმინეთში, საბერძნეთში, იტალიაში, შვეიცარიაში). ის იყო გარიბალდის „ათასეულის“ მონაწილე; აქ ერთ სამხედრო შეტაკების დროს დაიჭრა.

მძიმე ქრილობისაგან მორჩენის შემდეგ იყო აფრიკაში. 1874 წ. ის კითხულობდა ლექციებს იაპონიაში ტოკიოს უნივერსიტეტში. 1876 წ. დაბრუნდა

ევროპაში და ცხოვრობდა შვეიცარიაში, სადაც გაეცნო და დაუმეგობრდა საფრანგეთის ცნობილ გეოგრაფს ელიზე რეკლიუსს. „ამ ხანში, სწერს რეკლიუსი, დავიწყე „ზოგადი გეოგრაფიის“ შედგენა; მეჩნიკოვმა გამიწია დახმარება და მომაწოდა მეტად ძვირფასი მასალები იაპონიასა და ჩინეთზე. შემდეგ წლებში მეჩნიკოვი შეხმარებოდა „ზოგად გეოგრაფიის“ შედგენაში, ის მითარგმნიდა მასალებს იმ ენებიდან, რომელსაც მე არ ვიცნობდი, მეხმარებოდა აგრეთვე რედაქტირებაში და კორექტურის სწორებაში“. 1883 წ. ნევშატელის კანტონის (შვეიცარია) საბჭოვ, დაათვასა რა მეჩნიკოვის მეცნიერული ცოდნა, მიანიჭა მას პროფესორის წოდება შედარებითი გეოგრაფიის და სტატისტიკის კათედრაზე ნევშატელის აკადემიაში, სადაც მან დაიწყო მუშაობა 1884 წლიდან; ეს კათედრა მეჩნიკოვმა შეინარჩუნა სიკვდილამდე. მისი მთავარი შრომაა—„ცივილიზაცია და დიადი ისტორიული მდინარეები“—გამოვიდა ფრანგულ ენაზე ელიზე რეკლიუსს რედაქციით 1889 წელს (არსებობს ამ თხზულების რუსული თარგმანიც). ამ შრომაში ლ. ი. მეჩნიკოვი ცდილობს დაამტკიცოს, რომ 1) სხვადასხვა ერების ისტორიული ბედიღბლის განსხვავების მიზეზი დამოკიდებულია გეოგრაფიულ გარემოსაგან, რომ 2) ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები მოქმედებენ ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაზე, რომ 3) კულტურისა და ცივილიზაციის შექმნის საქმეში უდიდესი როლი ითამაშა უმთავრესად წყლებმა, განსაკუთრებით გამდინარე ე. ი. მდინარეებმა.

„მდინარე ყველა ქვეყანაში, სწერს მეჩნიკოვი, თითქოს მთელი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების, რო-

გორკ კლიმატის, ისე ნიადაგის, ისე დედამიწის ზედაპირის რელიეფის და მოცემული ოლქის გეოლოგიური აგებულების, შეერთების ცოცხალი სინთეზის გამოხატულებას წარმოადგენს“. დიადი მდინარეები „მის მიერ მორწყულ ოლქებს აქცევს საღ, ნოყიერ ბელლებად, რომლებიც მილიონ ადამიანებს კვებავს რამდენიმე დღის შრომით და ხან კი აქცევს გადამდები სენის გამავრცელებელ ჭაობად, რომელიც მოფენილია უთვალავი მსხვერპლის გვამებით. ამ მდინარეთა სპეციფიური გეოგრაფიული გარემო შეიძლება გადაქცეული ყოფილიყო ადამიანის სასარგებლოდ, მხოლოდ ხალხთა დიდი მასების, კოლექტიური, მკაცრი დისციპლინიანი შრომით, რაგინდ ის შემდგარი იყოს სხვადასხვა და ნაირგვაროვანი ეთნიური ელემენტებისაგან“.

ლ. ი. მეჩნიკოვმა შესძლო, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პიჩუგინი „შემჩნია ცალკეული ფაქტები, რომელიც მოწმობს გეოგრაფიული გარემოს გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე... ..მაგრამ მეჩნიკოვის დასკვნებს ვერ დავეთანხმებით. ახდენს-რა გავლენას ტექნიკაზე, გეოგრაფიულ გარემოს არ შეუძლია განსაზღვროს მისი განვითარება, რადგან მისი განვითარება დამოკიდებულია საზოგადოებრივი წარმოებისაგან. საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილება სტიმულს აძლევს ამათუიმ ცვლილებებს ტექნიკის დარგში“ (ს. პიჩუგინი: „Роль географической среды в общественной развитии“; წერილი ჟურნალში „Под знаменем марксизма“; 1938 წ.; № 11; გვ. 185).

**მილანდოკვი**, ალექსანდრე თევდორეს-ძე (1815—1894 წ.წ.), აღმოსავლეთ ციმბირის მეკლევარი; 1843—1844 წ.წ. მან მოახდინა თავისი შესანიშნავი მოგზაუ-

რობა აღმოსავლეთ ციმბირის რაიონებში; ბარნაულიდან მან გაიარა ენისეის ქვემო დინება, იქიდან კი პიასინაზე, ხატანგაზე და ტაიმირზე (აქ მან მოახდინა მდინარე ტაიმირისა და ტბა ტაიმირის აგეგმვა).

1844 წ. მან მოახდინა გეოთერმიული დაკვირვებანი იაკუტსკში; აქედან გაიარა უდსკი ოსტროვთან და ზღვით მივიდა ტუგურის ყურემდე. ტუგურის ყურედან გადავიდა მდინარე ბურეის სათავეებში და აქედან კი ნერჩინსკში (და ირკუტსკში); შემდეგ უკან დაბრუნებისას გამოიკვლია საზღვარი ჩინეთთან, რომელიც დადგენილი იყო 1689 წლის ნერჩინსკის ხელშეკრულებით (ლ. ს. ბერგი).

1870 წ. მიდენდორფმა გამოიკვლია ბარაბის სტეპი; 1876 წელს კი მან ინახულა ფერგანა, რომლის შესახებაც მან დასწერა მშვენიერი გეოგრაფიული შრომა, „ფერგანის ველის მიმოხილვა“ (პეტერბურგი, 1822 წ.). მისი თხზულებებიდან ყველაზე უფრო ცნობილია „მოგზაურობა ციმბირის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ“ (ორ ნაწილად; პეტერბურგი, 1860—1878 წ.წ.).

**მიკლუხო-მაკლანი**, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე (1846—1888), რუსი განთქმული მოგზაური; სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში; შემდეგ საზღვარგარეთ. ლაიპციგის და იენის უნივერსიტეტებში; მუშაობდა ცნობილ ბუნებისმეტყველ ერნსტ ჰეკელის ხელმძღვანელობით; 1866 წელს ჰეკელი გაემგზავრა მადეირასა და კანარის კუნძულებზე და თან წაიყვანა ახალგაზრდა სტუდენტი მიკლუხო-მაკლანი. იმავე წელს მიკლუხო-მაკლანი ინახულა მაროკო; ესპანეთი და საფრანგეთი. სამი წლის შემდეგ დაბრუნდა იგი სამშობლოში და იქ აკადემიკოს კარლ ბერის ხელმძღვანელობით მუშაობდა. 1870 წ-

მიკლუხო-მაკლავი გაემგზავრა მაშინ ნაკლებად ცნობილ ახალი გვინეის კუნძულზე, სადაც მან თავისი გასაკვირველი თავშეკაფებით, მამაცობით, მოხერხებულებით, ხასიათის სიმტკიცით, ჰუმანურობითა და სიმართლით სულ მალე მოიპოვა ადგილობრივი მოსახლეობის—პაპუასების—ჯერ ნდობა, შემდეგ კი სიყვარული; პაპუასები მას სიყვარულით უწოდებდნენ „ტამო რუს მაკლავი“ — „რუსი ადამიანი—მაკლავი“. მოგზაური დაულაღვად სწავლობდა პაპუასების ცხოვრებას, ენასა და ზნეჩვეულებას; ახდენდა ჩახატვებს, მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს და ანთროპოლოგიურ გამოკვლევებს. მიკლუხო-მაკლავის დაულაღვი მუშაობის შედეგად ახალი გვინეის რუკაზე შეტანილი იქნა მაკლავის ნაპირი (კრუაზილის კონცხიდან მეფე ვილიამის კონცხამდე) და სხვა ადგილები. 1872 წელს მიკლუხო-მაკლავიმ, ავადმყოფობის გამო, დასტოვა ახალი გვინეა. 1874 წლის ბოლოს ის კვლავ გაემგზავრა ახალ ექსპედიციაში, სახელდობრ მცირედ გამოკვლეულ მალაკის ნახევარკუნძულის ნაწილში, სადაც მან მდინარე პაჰანის სათავეებში მოახერხა მოეძებნა და აეწერა თითქმის ამოწყვეტის პროცესში მყოფი სემანგის ტომი; აქ ამ დაბურულ ტროპიკულ ტყეების სიღრმეში მიკლუხო-მაკლავი სერიოზულად გახდა ავად მალარიით და, სნეულებისაგან ღონემიხდილი, წავიდა სინგაპურში. 1876 წლის თებერვალში ის კვლავ დაბრუნდა მაკლავის ნაპირზე თავის მეგობარ პაპუასებთან და იცხოვრა იქ 1877 წლამდე. 1881 წ. და 1883 წ. მან ინახულა შემდეგი კუნძულები: ახალი კალედონია, ახალი ჰებრიდის, სანტა-კრუსი, საადმირალოსი და შეაგროვა მნიშვნელოვანი რაოდენობის ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, ზოოლოგიური და გეოგრაფიული მასალები. 1883 წელს მესამეჯერ იყო მაკლავის ნაპირზე. 1887 წელს მიკლუხო-მაკლავიმ მეორე-

ჯერ ინახულა ავსტრალია და იმავე წელს დაბრუნდა რუსეთში. თავისი მოგზაურობის დროს ახალგაზრდა რუსი მეცნიერი ზედმიწევნით კარგად გაეცნო მიკრონეზიის ფერადი მოსახლეობის უსვინდისო ექსპლოატაციას; ევროპის „კულტურტრეგერები“—ვაჭრები, მეზღვაურები, მისიონერები და სხვები ყოველნაირად სძარცვავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას; განსაკუთრებით განავითარეს თავისი ენერგია ამ მიმართულებით გერმანიის იმპერიალიზმის აგენტებმა, რომლებიც ემზადებოდნენ ახალი გვინეის ხელში ჩაგდებისათვის.—1888 წელს გერმანიამ მაკლაის ნაპირი თავის სამფლობელოდ გამოაცხადა. მიკლუხო-მაკლავი სასტიკ პროტესტს უცხადებდა ამ ექსპლოატაციას. 1888 წ. 14 აპრილს ნ. ნ. მიკლუხო-მაკლავი გარდაიცვალა. „მიკლუხო-მაკლავის თავისებურება, ამბობს პროფესორი ლ. ს. ბერგი, მდგომარეობს მის მხურვალე სიყვარულში არა მარტო მეცნიერებისადმი, არამედ კაცობრიობისადმი, მის ურყევ რწმენაში, რომ ეგრეთწოდებული „ველურები“ ისეთივე ადამიანები არიან, როგორც თეთრები, აგრეთვე ის იყო გამსჭვალული უღრმესი ზიზღით იმ მეთოდებისადმი (მოტყუება და ძალდატანება), რომელსაც ჩვეულებრივად მიმართავდნენ ტროპიკებში ვაჭრობისა და გამდიდრების მიზნით მისული ევროპელები“.

**მუხამეტოვი**, ივანე ვასილის-ძე (1850—1902 წ.წ.), რუსი ცნობილი გეოლოგი, შუა აზიის მკვლევარი, რომლის შრომებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გეოგრაფიული მეცნიერებისათვისაც. 1874—1880 წ.წ. იმოგზაურა დასავლეთ თურქესტანში, საკვლევო მიზნით ინახულა ტიან-შანი, პამირი, ალტაი და ბუხარა. შუა აზიაში თავისი გეოლოგიური და გეომორფოლოგიური დაკვირვე-

ბანი და გამოკვლევეანი მან შეაერთა ერთ დიდ შრომაში ორ ტომად, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა თურქესტანის შესწავლის საქმეში („თურქესტანის გეოლოგიური და ოროგრაფიული აღწერა“; ტ. I, 1886 წ., მე-2 გამოცემა 1915 წ.; ტ. II, 1906 წ.). ი. ვ. მუშკეტოვი მუშაობდა აგრეთვე ურალზე და კავკასიაში. გარდა ზემოთ ნაჩვენები შრომისა, მას ეკუთვნის გამოკვლევა მყინვარების შესახებ, აგრეთვე სეისმოლოგიიდან, პეტროგრაფიიდან, მინერალოგიიდან და სხვ. ი. ვ. მუშკეტოვმა შეადგინა თავისი დროისათვის ძვირფასი „ფიზიკური გეოლოგიის“ კურსი. 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში მუშკეტოვი პეტერბურგის ისტორია-ფილოლოგიის ინსტიტუტში კითხულობდა ფიზიკური გეოგრაფიის ზოგად კურსს; მისმა ლექციებმა მაშინ დიდი წარმატება მოიპოვა.

---

ნანსენი, ფრიტიოფი (1861—1930 წ.წ.), არქტიკის გამოჩენილი მკვლევარი, ზოოლოგი, მოგზაური; 1888 წ. ხუთ თანამგზავრთან ერთად, რომელთა შორის იყო, შემდეგში ნანსენის მუდმივი თანამგზავრი, ოტო სვერდრუპი, ნანსენმა დაიწყო თავისი შესანიშნავი გადასვლა კუნძულ გრენლანდზე უმივიკის ფიორდიდან, რომელიც იმყოფებოდა ამ კუნძულის აღმოსავლეთ ნაპირზე. 1888 წლის 26 სექტემბერს გადასვლა დამთავრდა ამერალიკის ფიორდში გრენლანდის დასავლეთ ნაპირზე. ამ მოგზაურობის შემდეგ ნანსენი შეიქნა ნორვეგიის ნაციონალური გმირი და იქიდან დაწყებული თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დარჩა ნაციონალურ გმირად. საკუთარი დაკვირვებისა და საკითხის სპეციალურად შესწავლის საფუძველზე ნანსენი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღმოსავლეთ გრენლანდის დინება წარმოადგენს მძლავრი პოლარული დინების ბოლოს, რომელიც გადის ან თვით პოლუსზე ან მასთან ახლოს, — რომ ეს დინება იწყება აღმოსავლეთ ციმბირის ნაპირებთან და თავის დასავლეთისაკენ მოძრაობის დროს სკრის მთელ ჩრდილო ყინულოვან ოკეანეს. თავისი ჰიპოთეზის დასასაბუთებლად ნანსენს შემდეგი დამტკიცებანი მოჰყავდა: 1) ევროპის რაიონის ყინულებში მოხვედრილი გემები დაზამთრების შემდეგ მუდამ გაშლილ პოლარულ ზღვაში სცურავენ დასავლეთისაკენ და განსაზღვრულ დროის შემდეგ ყინულის ტყეობიდან თავისუფლდებიან; 2) ბერინგის სრუტის მხრიდან არქტიკაში მი-



მავალი გემები მათდა უნებურად პოლარული ზღვის შიგნით იჭრებიან; 3) შპიცბერგენის ნაპირებზე და გრენლანდში სხვა დანალექთა შორის გვხვდება ციმბირის ჯიშის ხეების ნამტვრევები („გამორიყული ხეები“); 4) გატალახიანებულ ყინულებში დინებათა მიერ შპიცბერგენის ნაპირებზე გამორიყულ შენარევთა შემადგენლობის გამოკვლევა უდავოდ ამტკიცებს, რომ იგი ციმბირის ნიადაგს შეიცავს; 5) გრენლანდის ნაპირებზე აღმოჩენილი იქნა დე-ლონგის ექსპედიციის მცირეოდენი ნაშთები. ეს ექსპედიცია დაიღუპა გემ „ჟანეტაზე“, რომელიც ყინულებმა გაიტაცეს პოლარული აუზის შიგნით კუნძულ ვრანგელის რაიონში. 21 თვის განმავლობაში „ჟანეტა“ ებრძოდა მძლავრ ყინულებს. მაგრამ ველარ გაუძლო ტოროსების მუდმივ შემოწოლას და დაიღუპა ახალი ციმბირის კუნძულების ჩრდილოეთით, ე. ი. გრენლანდიდან მოშორებით, და აქ რამდენიმე წლის შემდეგ ესკიმოსებმა იპოვეს ნივთები, რომლებიც დე-ლონგის ექსპედიციას ეკუთვნოდა.

ნანსენის აზრით, ყველა ეს ფაქტი დამამტკიცებელია, რომ ყინულები ადგილს მუდამ ინაცვლებენ და შესაძლებელია, რომ ზღვის დინება ჩრდილო პოლუსზე გადადიოდეს. 1893 წ. ნანსენი განსაკუთრებული კონსტრუქციის გემით „ფრამი“-თ („წინ“) გაემგზავრა ჩრდილო პოლუსისაკენ, რისთვისაც განზრახ გაყინა ეს გემი ახალი ციმბირის კუნძულების რაიონში. ყინულებმა ნანსენის ვარაუდის თანახმად გაიტაცეს „ფრამი“ ჩრდილოდასავლეთისაკენ; მხოლოდ სამი წლის შემდეგ განთავისუფლდა „ფრამი“ ყინულებისაგან შპიცბერგენის რაიონში. ამრიგად დამტკიცდა მძლავრი პოლარული დინების არსებობა. ვინაიდან გემის დრეიფი პოლუსზე არ გადადიოდა, ნანსენი თავის თანამგზავრ იოჰანსენთან ერთად შეეცადა მიეღწია პოლუსამდე მარხილებისა და

ძალლების საშუალებით. 1895 წლის 7 აპრილს მათ მოახერხეს ჩ. ს. 86° და 14'-მდე მიღწევა და ამის შემდეგ უკან გამობრუნდნენ (სანოვაგის შემოკლებისა და ოღრო-ოღრო ყინულებზე მგზავრობის სიძნელის გამო); დიდი წვალებით მიაღწიეს ფრანც-იოსების მიწას, სადაც ისინი შეხვდნენ ჯეკსონის ინგლისურ ექსპედიციას.

„ფრამის“ ექსპედიციამ მეტად მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა: ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში ნაპოვნი იყო დიდი სიღრმეები 3.800 მეტრამდე, დამტკიცებული იქნა დინების არსებობა, რომელიც ყინულოვან ოკეანეს სჭრის ციმბირის ნაპირებიდან გრენლანდამდე, დამტკიცებული იყო აგრეთვე, რომ ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე წარმოადგენს ვეებერთელა წყალსაცავს, რომელზედაც არ გვხვდება დიდი ხმელეთის ნაწილი, ამან საბოლოოდ შეარყია პეტერმანისა და ბერკატორის შეხედულებანი (უკანასკნელი, როგორც ცნობილია, თავის რუკებზე ჩრდილო ყინულოვან ოკეანეს ავსებდა მთელი რიგი მცირე და დიდი კუნძულებით); აღმოჩენილი იყო ახალი კუნძულები, მაგალითად, ნორდენშელდის არქიპელაგი და სხვ.

1913 წელს ნანსენმა მოახდინა მოგზაურობა ციმბირის ნაპირების გასწვრივ ენისეიმდე, რითაც დაამტკიცა ზაფხულის პერიოდში ჩრდილო საზღვაო გზით რეგულარული მიმოსვლის შესაძლებლობა. ნანსენი ღრმა სიმპატიით შეხვდა რუსეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას; ნანსენი სიტყვიერად და წერილობით ებრძოდა დასავლეთ ევროპაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ სიცრუის კამპანიას. ქ. მოსკოვის მშრომელებმა 1921 წ. ნანსენს მიანიჭეს მოსკოვის საბჭოს საპატიო წევრობის წოდება. 1923 წელს ნანსენმა მიიღო ნობელის მშვიდობიანობის ჯილდო (პრემია).

ნიკიტინი, ათანასე (XV ს.), რუსი ცნობილი მოგზაური, ქალაქ ტვერიდან, ვაჭარი. მან იმოგზაურა ინდოეთში ევროპელებზე (პორტუგალებზე) 25 წლით ადრე. თავისი მოგზაურობა ამ ქვეყანაში ნიკიტინმა აღწერა თავის თხზულებაში „მოგზაურობა სამი ზღვის იქით“; ეს თხზულება აღმოაჩინა ისტორიკოსმა ნ. მ. კარამზინმა. გამბედავმა ნიკიტინმა, მიუხედავად გზაში გავლილი გაჭირვებებისა, კასპიის ზღვით ბაქოს გავლით ირანს მიაღწია. გაიარა ამ ქვეყნის სამხრეთი ნაწილი და ინახულა ქალაქი ორმუზი („გურმიზი“), რომელმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავის გაცხოველებული ვაჭრობით. ორმუზიდან ათანასე ნიკიტინი „წავიდა ინდოეთის ზღვის იქით“ („пошел за море индейское“) და მიაღწია ინდოეთს, სადაც მან სამ წელიწადს იცხოვრა და, ბოლოს, დაბრუნდა უკან შავი ზღვის ნაპირებისაკენ ირანზე და თურქეთზე გავლით. ათანასე ნიკიტინს არ დასცალდა სამშობლოში დაბრუნება; ის გარდაიცვალა გზაზე ქალაქ სმოლენსკის ახლოს. თავის აღწერებში ა. ნიკიტინი ახსენებს ყველა იმ ქალაქებს და ადგილებს, რომელიც მან ინახულა და აღნიშნავს ყველა იმას, რამაც მისი ყურადღება მიიპყრო.

ნიკოლაძე, გიორგი ნიკოს-ძე (1888—1931 წ.წ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ინჟინერ-მეტალურგი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების და ამ საზოგადოებაში მთავლა-მგზავროსნული განყოფილების ერთ-ერთი მთავარი დამაარსებელი, ალპინისტურ-ტურისტული მოძრაობის დამწერგავი საქართველოში. 1923 წელს გიორგი ნიკოლაძემ მოაწყო პირველი ქართული ალპინისტური ასვლა კავკასიონის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე—მყინვარწვერზე (ყაზბეგ-

ზე) და ამით ჩაეყარა მტკიცე საფუძველი საბჭოთა ალპინიზმის განვითარების საქმეს საქართველოში; 1923—1931 წლების მანძილზე გ. ნიკოლაძე ალპინისტური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი იყო ჩვენში. ამავე პერიოდში გამოიწროთა ქართველ ალპინისტთა და ტურისტთა სახელოვანი კადრი, რომლის რიგები მომდევნო წლებში ახალი და ახალი ძალებით ივსებოდა. მოწინავეთა რიგებში უნდა მოვიხსენიოთ: **ალექსანდრა ჯაფარიძე**—ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იმ პირველი ქართული მეცნიერული ექსპედიციისა მყინვარწვევრზე, რომელიც მოეწყო 1923 წელს პროფ. ა. ი. დიდებულიძის ხელმძღვანელობით; ამ დროიდან დღემდე ალექსანდრა ჯაფარიძე დიდი წარმატებით აწარმოებს კავკასიონის მწვერვალების დაპყრობას და მათს შესწავლას; ალექსანდრა ჯაფარიძეს მინიჭებული აქვს სსრ კავშირის ალპინიზმის ოსტატის წოდება; **სიმონ ჯაფარიძე**—საქართველოს ალპინისტური მოძრაობის სარბიელზე პირველად გამოვიდა 1926 წელს, მისი მოღვაწეობით ამ დარგში იწყება კავკასიონის მაღალმთიანი ზონის შესწავლის, მწვერვალებზე ასვლის, მათკენ ახალი გზების აღმოჩენის ახალი პერიოდი; სიმონ ჯაფარიძის, როგორც ალპინისტის, სახელი განთქმულია მთელ საბჭოთა კავშირში. თეთნულდზე 1929 წელს მისი დაღუპვის გამო მისი ხსოვნის აღსანიშნავად მყინვარწვევრზე დაარსდა „ჯაფარიძის სადგომი“, თეთნულდზე დაწესდა სახელი „ჯაფარიძის მოწმეები“, მის სიცოცხლეშივე დაწესებული იყო მყინვარწვევრზე მის მიერ ახალი მისასვლელის აღმოჩენის გამო სახელი „ჯაფარიძის გზა“ და. ა. შ.; **ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძე**—პირველი ალპინისტური ასვლა მოაწყო მისი ძმის—სიმონ ჯაფარიძის ხსოვნის აღსანიშნავად. თეთნულდზე თავის დასთან ალექსანდრა ჯაფა-

რიძესთან ერთად; ამის შემდეგ ალიოშა ჯაფარიძე სა-  
 ხელს იხვექს, როგორც გამოჩენილი ალბინისტი, სა-  
 კავშირო მასშტაბით თავისი ბრწყინვალე ასვლებით კავ-  
 კასიონისა და პამირის მაღალმთიან ზონაში; მის კალამს  
 ეკუთვნის რამდენიმე შესანიშნავი თხზულება—„უშბა“,  
 „თეთნულდი“ და სხვ. ალიოშა ჯაფარიძეს მინიჭებული  
 აქვს სსრ კავშირის ალბინიზმის დამსახურებული ოსტატის  
 წოდება. ქართველ ალბინისტთა შორის ბევრია ისეთი,  
 რომელთაც გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი საქარ-  
 თველოს ალბინისტური მოძრაობის განვითარების საქ-  
 მეში. ამათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ: დევი  
 მიქელაძე, შოთა მიქელაძე, იოსებ (სოსო) ასლანიშვი-  
 ლი, გახა წიკლაური, იაგორ კაზალიკაშვილი, გიტო  
 გიორგაძე, სანდრო გვალია, დავით წერეთელი, ლევან  
 მარუაშვილი, ივანე (კაკო) მარჩი, მელენტი სანებლიძე,  
 ასმათ ნიკოლაიშვილი და სხვ. და სხვ. (იხ. გ. ნიკოლაძე  
 „პირველი ქართული ასვლა ყაზბეგზე“, მოთავსებულია  
 საქ. გეოგრაფ. საზ-ბის „მოამბეში“, № 1, 1924 წ.;  
 И. Асланишвили — „Альпинизм в Грузии“, თბ. 1935 წ.).

**ნორდენშელდი**, ადოლფ ერიკი (1832—1901 წ.წ.),  
 შვედეთის მეცნიერი, მოგზაური, არქტიკის მკვლევარი. ის  
 იყო ხუთი ექსპედიციის მონაწილე შპიცბერგენზე, სადაც  
 მან აღმოაჩინა ქვანახშირის საბადო. 1875—1876 წ.წ.  
 მან ორჯერ იმოგზაურა კარის ზღვაში ენისეის შესართა-  
 ვისაკენ და ორჯერ მოაწყო ექსპედიცია გრენლანდში.  
 1878—1879 წ.წ. ნორდენშელდმა ერთი დაზამთრებით  
 პირველად გაიარა გემ „ვეგაზე“ ძნელი გზა ჩრდილო-  
 აღმოსავლეთის გასასვლელით. ეს ექსპედიცია მოწყობი-  
 ლი იყო შვედეთის მეფე ოსკარის, გოტენბურგის ვაჟარ  
 ოსკარ დიქსონისა და ირკუტსკის ვაჟარ ალექსანდრე სი-

ბირიაკოვის სახსრებით. 1878 წ. 25 ივლისს (ახალი სტილით 6 აგვისტოს) „ვეგა“ მეორე გემ „ლენას“ თანხლებით გამოვიდა ტრომსედან; 19 (31) აგვისტოს გემებმა მიაღწიეს ჩელუსკინის კონცხს, 27 აგვისტოს (8 სექტემბერს ახ. სტილით) ორივე გემი შევიდა მდინარე ლენის შესართავში. 28 სექტემბერს კი (ახ. სტილით 10 ოქტომბერი) „ვეგა“ მივიდა კოლუჩინის ყურესთან, მაგრამ მთლიანმა ყინულმა გემს გადაუღობა გზა; ბერინგის სრუტის თითქმის შესასვლელთან „ვეგა“ დადგა დასაზამთრებლად. დიდხანს არ იცოდნენ თუ რა ბედი ეწია ნორდენშელდს. გადაწყვეტილი იყო მოეწყოთ. მეორე ექსპედიცია მის საძებრად. ა. სიბირიაკოვმა მალმეში შეუკვეთა ყინულებში სამოგზაუროდ გამოსადეგი გემი; ერთ რუსეთის კრეისერს ნაბრძანები ჰქონდა წასულიყო ბერინგის სრუტით ჩუკოტკის ზღვაში, რათა მას მოეძებნა ნორდენშელდის ექსპედიცია. ნიუ-იორკის გაზეთ „New-York Herald“ გამომცემელმა გორდონ ბენეტმა აგრეთვე თავის სახსრებით მოაწყო ორჩხომელი (ЯХТА) „ჯანეტა“ ამერიკის ფლოტის ლეიტენანტ დე-ლონგის მეთაურობით, რათა დახმარება გაეწია „ვეგა“-სათვის; მაგრამ „ვეგამ“ მშვიდობიანად გაითავისუფლა თავი ყინულების ტყვეობისაგან და გამოვიდა წყნარ ოკეანეში. ამნაირად ნორდენშელდმა აღმოაჩინა ჩრდილო-აღმოსავლეთის გასასვლელი ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში.

---

## მ

**ოპრუჩენი**, ვლადიმერ ათანასეს-ძე (დაიბ. 1863 წ.), აკადემიკოსი, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ციმბირის მკვლევარი, გეოლოგი და გეოგრაფი. 1888 წლიდან დაწყებული მან თავისი „ექსპედიციებით გამოიკვლია ჩინეთი, მონღოლეთი, შუა აზია, ზაბაიკალიე, პრიბაიკალიე, ლენა-ვიტიმის რაიონი, ალტაი, კახახეთის აღმოსავლეთი მოსაზღვრე ნაწილი, მოსაზღვრე ჯუნგარია და მოახდინა მთელი რიგი ცალკეული მოგზაურობანი კუზნეცკის ალატაუზე, კავკასიასა და ამიერკავკასიონი, ყირიმში, დონბასში, კრასნოიარსკის რაიონში და სხვა ადგილებში“. ოპრუჩენმა თავისი მნიშვნელოვანი კვლევითი მუშაობის პროცესში გაიარა 14.000 კმ დააგროვა მდიდარი მასალა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც გეოლოგიისათვის, ისე გეოგრაფიისათვის. ამ მასალებმა ოპრუჩენს მისცა საშუალება გაერკვია ციმბირის არა მარტო ტექტონიკა, არამედ სასარგებლო მთაწარმეულის გავრცელება და ჩაწოლაც.

ვ. ა. ოპრუჩენი მრავალი ძვირფასი შრომების ავტორია, რომელთაგან საპატიო ადგილი უკირავს მრავალტომიან „ციმბირის გეოლოგიას“. ოპრუჩენი ცნობილია აგრეთვე, როგორც მწერალი-პოპულარიზატორი. მის კალამს ეკუთვნის მეტად საინტერესო მეცნიერულ-პოპულარული წიგნი „კიახტიდან კულჯამდე. მოგზაურობა ცენტრალურ აზიასა და ჩინეთში“ (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა. მ.-ლ. 1940 წ.).

**ობრუჩევი,** სერგი ვლადიმერის-ძე; პროფესორი, გეოლოგი, გეოგრაფი და მოგზაური. 1926 წ. ის ხელმძღვანელობდა ექსპედიციას მდინარე ინდიგირკის აუზში; 1932—1933 წ.წ. კი მან თვითმფრინავით ინახულა ჩუკოტკა და კუნძული ვრანგელი. 1926 წლამდე სსრკ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაკლებად შესწავლილი რაიონი იყო, და მხოლოდ ჩუკოტკისა და იაკუტიის ცივ, უდაბურ და თითქმის დაუსახლებელ ჩრდილო-აღმოსავლეთის სივრცეებში ქეშმარიტად გმირული მოგზაურობის შედეგად ს. ვ. ობრუჩევმა შესძლო პირველად აღმოეჩინა სსრ კავშირის ის ნაწილი, რომელიც გეოგრაფიული მეცნიერებისათვის ნაკლებად იყო ცნობილი, და, რაც მთავარია, ობრუჩევმა აღმოაჩინა ვეებერთელა ჩერსკის ქედი; ეს ქედი გაჭიმულია 1000 კმ მანძილზე ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მისი სიგანეა 150—300 კმ-მდე., სიმაღლე კი 3000 მეტრამდე აღწევს. ს. ვ. ობრუჩევის გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ვერხოიანსკისა და ჩერსკის ქედები, აგრეთვე ოიმეკონის ზეგანი შეადგენენ ერთ დიდ ოლქს, რომელიც დანაოჭებულია მეზოზოურ პერიოდში.

**ობრელიანი,** სულხან-საბა (1658—1725 წ.წ.), საქართველოს გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწე, უდიდესი მეცნიერი, ლიტერატორი, მოგზაური—ირანსა და დასავლეთ ევროპაში; დიპლომატიური ხასიათის დავალების გამო იყო იტალიასა და საფრანგეთში. მეფე ვახტანგ VI-სთან ერთად იმყოფებოდა ემიგრაციაში რუსეთში, სადაც ის გარდაიცვალა სოფელ ვსესვიატსკში.

მისი ნიჭიერად დაწერილი თხზულება—„მოგზაურობა ევროპაში“ მოწმობს ავტორის დიდ დაკვირვების



უნარს და მის დიდ კულტურას. თავისი მოგზაურობა ევროპაში (1713 წ.) სულხან-საბა ორბელიანმა მოახდინა კათოლიკურ ეკლესიის მისიონერ რიშართან ერთად. იტალიაში ყოფნის დროს ორბელიანმა ინახულა რომი, სადაც დიდი ყურადღებითა და ინტერესით დაათვალიერა „მარადიული ქალაქი“-ს ღირსშესანიშნავი ადგილები (ანტიკური პერიოდისა და საქრისტიანო ძეგლები, ვატიკანი და მისი ბიბლიოთეკა, სკოლები, საავადმყოფოები და თავშესაფარები); ქალაქების გარდა, მას ცხოვლად აინტერესებდა ქვეყნის ბუნება; ის ალტაცებაში მოვიდა ლამაზი პეიზაჟით რომსა, ფლორენციასა და ტოლენტინოს შორის; ნეაპოლმა და მისმა მიდამოებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოგზაურზე. „ევროპაში მოგზაურობის“ დაკვირვებული ავტორი ახსენებს პალერმოს, მესინას, ეტნას, გენუას, ნიცას, მონაკოს, სავოიას, ლივორნოს (ალიკარნასს) და მალტას. პარიზში მას ყველაფერი აინტერესებდა: ხალხი, ზნე-ჩვეულება, არქიტექტურის ძეგლები, საფრანგეთის დედაქალაქის მიდამოები, ვერსალი თავისი ხეივნებით, პარკებითა და ბაღებით, ხელოვნების ძეგლები, საეკლესიო და პოლიტიკური საკითხები. მკითხველს ავტორი გაკვირვებით აცნობს აგრეთვე ალჟირსა და მაროკოს. უკან დაბრუნებისას ორბელიანმა ინახულა კუნძული ევბეა, მიტილენა, კ. კრეტა, ბითლიმი, გაიარა დარდანელი და ინახულა კონსტანტინეპოლი (სტამბოლი), შემდეგ კი ტრაპიზონი, მოხვდა ჭანების (ლაზების) ქვეყანაში, რომლებმაც ორბელიანი მიიყვანეს ქობულეთში, იქიდან ის დაბრუნდა სამშობლოში.

---

პალასი, პეტერ-სიმონი (1741—1811 წ.წ.), გამოჩენილი მეცნიერი, ენციკლოპედიური ცოდნისა და მრავალმხრივი ინტერესების მქონე. 1768—1773 წ.წ. ზანინახულა ყირიმი, პოვოლჟიე, ასტრახანის ზავოლჟიე, მდინარე ურალის რაიონი (ყოფილი ურალის ოლქი), დასავლეთი ციმბირი, ალტაი, ტბა ბაიკალი, ზაბაიკალიე.

პროფ. ლ. ს. ბერგის სამართლიანი შენიშვნით— „მასი (ე. ი. პალასის) ანგარიშები, რომელიც იძლევა აუარებელ ცნობებს რუსეთის გეოგრაფიისათვის, ზოოლოგიისათვის, ბოტანიკისათვის, გეოლოგიისათვის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიისათვის, აქამდე დიდ სავანძურს წარმოადგენს. საიდანაც შემდეგი მკვლევარები ნუღმივ სესხულობენ მასალებს“. თავისი მოგზაურობანი პალასმა აღწერა (გერმანულ ენაზე) სამტომიან თხზულებაში „მოგზაურობანი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა პროვინციებში“ (პეტერბურგი; 1773 წ., 1786 წ., 1788 წ.); გერმანულიდან რუსულ ენაზე ეს შრომა გადათარგმნა თევდორე ტომანსკიმ და ვასილ ზუევმა შემდეგი სათაურით: „მოგზაურობა რუსეთის სახელმწიფოს სხვადასხვა პროვინციებში 1768, 69, 70, 71, 72 და 1773 წლებში“ (5 ნაწილად; პეტერბურგი; 1773—1788 წ.წ.).

პაპანინი, ივანე დიმიტრის-ძე (დაბ. 1894 წ.), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი პოლარული მკვლევარი; 1931 წ. იყო ფრანც-იოსების მიწაზე;

1932 წ. ის იყო ყურე ტიხაიას პოლარული სადგურის დაზამთრების უფროსი; 1933 წ. ჩელუსკინის კონცხის პოლარული სადგურის უფროსი. პაპანიჩმა მოამზადა ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიცია და იყო ყინულზე მოდრეიფე სადგურის უფროსი, სადაც ის თავის თანამგზავრებთან აკადემიკოს ჰილრობიოლოგ პეტრე პეტრეს-ძე შირშოვთან, გეოფიზიკოს ევგენი კოსტანტინეს-ძე ფედოროვთან და სწავლულ რადისტ ერნსტ თეოდორეს-ძე კრენკელთან ერთად აწარმოებდა მეცნიერულ დაკვირვებებს თერთმეტი თვის განმავლობაში. მოდრეიფე სადგურის დაკვირვებათა შედეგებისა და მეცნიერული ანგარიშის პირველი ტომი გამოცემული იქნა „გლავსევძორპუტი“-ს მიერ შესრულებული „მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ შრომები“ (1940 წ.). ი. დ. პაპანიჩმა მოამზადა დასაბეჭდად თავისი დღიური შემდეგი სათაურით: „ცხოვრება ყინულზე“; ეს დღიური გამოიცა „პრავდის“ რედაქციის მიერ 1938 წ.

**პასარკვი, ზიგფრიდი** (დაბ. 1867 წ.), გერმანელი ცნობილი გეოლოგი, გეოგრაფი, მოგზაური, უდაბნოების მკვლევარი. მან ფართოდ განავითარა მოძღვრება ლანდშაფტების შესახებ; პასარკეს აზრით ლანდშაფტთა მცოდნეობა წარმოადგენს დედამიწის მცოდნეობის და იმავე დროს ქვეყანათმცოდნეობის დამოუკიდებელ ნაწილს. მისი შრომებიდან აღსანიშნავია 1) „ლანდშაფტთა მცოდნეობის საფუძვლები“ (ოთხ ნაწილად) და 2) „დედამიწის ლანდშაფტური ზონები“ (ბრესლავლი; 1923 წ.).

**პახტუსოვი, პეტრე კუზმას-ძე** (1800—1835 წ.წ.), პოლარული მკვლევარი. პირველი პოლარული მოგზაურობა მან მოახდინა 1824 წ., როდესაც მან მიიღო მო-

ნაწილეობა ექსპედიციაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის ნაპირების აღწერა პეჩორიდან კუნძულ ვაიგაჩამდე; 1826 წელს—პეჩორიდან თეთრ ზღვამდე. 1827—1831 წ.წ. რეინეკეს ხელმძღვანელობით გამოიკვლია თეთრი ზღვა. 1832—1833 წ.წ. მან იმოგზაურა ორანძა ნავით „ნოვაია ზემლია“-თი, რათა მოეხდინა ახალი მიწის სამხრეთი კუნძულის სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაპირების აღწერა. 1834 წ. ორანძა ხომალდზე (ШХУНА) „კროტივ“ და „კაზაკოვ“-ზე იმოგზაურა მატოჩკინ-შარის რაიონში და ახალი მიწის აღმოსავლეთ ნაპირებთან და მიაღწია კონცხ „დალნი“-ს.

პეველი, მიხეილ ვასილისძე (1843—1902 წ.წ.), მოგზაური, გეოგრაფი; ნ. მ. პრევევალსკის თანამშრომელი; გამოიკვლია აღმოსავლეთი ტიან-შანი, კაშგარია, კუენ-ლუნის დასავლეთი რაიონი და ტიბეტის ჩრდილო-დასავლეთი განაპირა ნაწილი. მისი უმთავრესი შრომებია: 1) „ჯუნგარიის მიმოხილვა მგზავრობის დროს“ (1879 წ.); 2) „მონღოლეთსა და შიდა ჩინეთის ჩრდილო პროვინციებში მოგზაურობის მიმოხილვა“ (1883 წ.); 3) „მოგზაურობა აღმოსავლეთ თურქესტანში, კუენ-ლუნზე, ტიბეტის მთიანეთის ჩრდილო განაპირა მხარეში და ჯუნგარიაში 1889 და 1890 წ.წ.“ (პეტერბურგი; 1895 წ.).

პენკი, ალბრეხტი (დაბ. 1858 წ.), გერმანელი ცნობილი გეოლოგი და გეოგრაფი. თოთხმეტ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში აწარმოებდა სავლელ გამოკვლევას საქსონიასა და გერმანიის ალპებში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პენკმა ევროპის უძველესი გამყინვარების

საკითხს. მან შეისწავლა ამ მოვლენის კვალი შვეიცარიის, ავსტრიისა და გერმანიის ალპებში, პირენეებსა და შოტლანდიაში. ამ დარგში მისი სერიოზული კვლევითი მუშაობის შედეგად გამოვიდა სამტომიანი შრომა: „ალპების გამყინვარების პერიოდში“, რომელიც დაწერილი იყო გეოლოგ ბრიუენერის თანამშრომლობით და რომელიც დამთავრდა 1908 წ. ამ შრომაში პენკმა დაადგინა ალპებისათვის გამყინვარების ოთხი ეპოქა, რომელიც გამოცალკეებული იყო ერთმანეთისაგან სამი გამყინვარებათაშორისი პერიოდით, რომელთა განმავლობაში ჰავე უფრო თბილი იყო და ყინულებიც საგრძნობლად იკლებდა; გამყინვარების ეპოქის სახელწოდება, რომელიც შემოიღო პენკმა და ბრიუენერმა (გიუნცი, მინდელი, რისი და ვიურმი), მტკიცედ დაინერგა გეოლოგიისა და გეოგრაფიის მეცნიერებაში. პენკმა გამოარკვია, რომ მყინვარების განვითარების მიზეზი იყო არა ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ზრდა, არამედ ტემპერატურის საერთო დაწევა.

გარდა ზემოთ დასახელებული შრომისა, პენკის კალამს ეკუთვნის შემდეგი შრომები: 1) სერიოზული ორტომიანი შრომა „დედამიწის ზედაპირის მორფოლოგია“; 2) მთელი რიგი ძვირფასი შრომები უდაბნოთა მორფოლოგიის შესახებ; 3) გერმანიის, ავსტრიის, ბელგიისა და ჰოლანდიის მკვეთრი ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება კოლექტიურ ნაშრომში „ევროპის დედამიწისმცოდნეობა“, რომელიც გამოვიდა პროფესორ კირხ-ჰოფის რედაქციით. პენკმა სერიოზული ყურადღება მიაქცია ლანდშაფტის პრობლემასაც.

პენკს ეკუთვნის აგრეთვე კლიმატების მორფოლოგიური კლასიფიკაცია; ამ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს კლიმატის დაყოფა ჯგუფებად მოცემული კლიმა-

ტის ეგზოგენურ პროცესებზე და რელიეფის ფორმებზე გავლენის მიმართებაში. ა. პენკის აზრით შეიძლება განიოიყოს—ჰუმიდური, არიდული და ნივალური კლიმატები, რომლებიც თავის მხრივ იყოფიან ქვეჯგუფებად.

**პმტრი,** ელუარდი იულის-ქე (1854—1899 წ.წ.), განათლებით ბიოლოგი და ექიმი; 1837 წლიდან გეოგრაფიის და ანთროპოლოგიის პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში. მას ეკუთვნის შემდეგი შრომები: 1) „ანთროპოლოგიის საფუძვლები“ (პეტერბურგი; 1890 წ.); 2) „გეოგრაფიის მეთოდები და პრინციპები“ (პეტერბურგი, 1892 წ.); 3) „სომატიკური ანთროპოლოგია“ (პეტერბურგი; 1895—1897 წ.წ.). გარდა ამისა, ე. პეტრი იყო ა. ფ. მარქსის „შოფლიო სამაგიდო ატლასის“ და „საშუალო სკოლის სასწავლო ატლასი“-ს პირველი გამოცემის რედაქტორი.

**პეშელი,** ოსკარი (1826—1875 წ.წ.), გერმანელი ცნობილი გეოგრაფი; მას ეკუთვნის შემდეგი ნიშნულთვანი შრომები: 1) „საშუალო საუკუნეების აღმოჩენათა ისტორია“ (პირველი გამოც. 1859 წ.); 2) „დედამიწისმცოდნეობის ისტორია“ (მეორე გამოც. 1877 წ.); 3) „დედამიწისმცოდნეობის ახალი ზრობლემები“ (პირ. გამოც. 1870 წ.); 4) „ხალხთამცოდნეობა“ (პირველი გამოც. 1874 წ.). პეშელის აზრით, დედამიწისმცოდნეობის ამოცანა მდგომარეობს ხმელეთის სხვადასხვა ფორმების წარმოშობის ახსნაში მათი გარეგნული მოხაზულობისა და ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლის მიხედვით, რაც განსაკუთრებულად ნათლად შესაძლებელია შესწავლილი იქნას რუკაზე. კარგი რუკა, რომელიც ეყრდნობა წინასწარ გაზომვებს, წარმოადგენს ბუნების სწორ

სახეს. განსაკუთრებით გარკვეულად არის განოვლინებული პეშელის შეხედულებანი და კვლევის მნიშვნელოვანი ნოდვრებაში ფიორდების შესახებ, სადაც ის იძლევა ამ ბუნებრივი მოვლენის მშვენიერ ახსნას.

**პირი, რობერტი** (1856—1920 წ.წ.), ამერიკელი პოლარული მოგზაური; საზღვაო ინჟინერი; დაიბადა პენსილვანიაში. პოლარულ ქვეყნებში მოგზაურობა დაიწყო 1886 წელს, როდესაც ის თავის მეუღლესთან ერთად გაემგზავრა გრენლანდში და ყინულზე, რომელიც კუნძულს ფარავდა, გაიარა 160 კმ; იმ დროს ეს იყო გრენლანდის შიდა ნაწილებში მიღწევის რეკორდი.

1891—1892 წ.წ. პირიმ ხელახლა გამოიკვლია გრენლანდი და მიაღწია „დამოუკიდებლობის“ ყურბმდე, რომელიც მის მიერ იქნა აღმოჩენილი 1892 წლის 4 ივლისს აშშ-ის დამოუკიდებლობის წლისთავზე. 1893—1895 წლებში ის თავის მეუღლესთან ერთად განაგრძობდა გრენლანდის კვლევას. 1898—1902 წ.წ. პირის ექსპედიციამ დაამტკიცა, რომ გრენლანდი წარმოადგენს კუნძულს და განსაზღვრა დაახლოებით ზუსტად გრენლანდის ჩრდილო ნაპირის სიდიდე და მოხაზულობა. პოლუსამდე მიღწევის პირველი ცდის დროს (1902 წ.) მიაღწია მხოლოდ ჩ. ს. 84°17'. შემდეგში პოლუსამდე მიღწევა პირიმ სცადა 1905—1906 წ.წ. და მიაღწია ჩ. ს. 87°6'-მდე. იმ ხანებში ამ სიგანეამდე არაუფერხად მიუღწევია. ბოლოს 1908 წ. პირი კვლავ გაემგზავრა გემ „რუზველტზე“ გრანტის მიწის ჩრდილო ნაპირისაკენ და იქიდან ყინულზე ძალღებით პოლუსისაკენ, რომელსაც ამ ჯერად კიდევ მიაღწია 1909 წლის 6 აპრილს. „პირიმ პოლუსთან დაყო ოცდაათი საათი და ყოველთვის ახდენდა დაკვირვებებს, ახდენდა ფოტოგადაღებებს, გამოიკვლია გარშემო მყოფი

ყინულიანი არე, სინჯა ყინულის ჩამტვრევა, რათა გაეზომა ზღვის სიღრმე. პირის მიერ პოლუსზე გატარებული საათები იყო მისი შეუპოვარი შრომის დაბოლოება, რომელსაც მან შესწირა საუკუნის მეოთხედზე მეტი დრო... პირის აზრით მისი წარმატება ოთხმა გარემოებამ შეაპირობა: ჯერ ერთი მოხერხებულად იყო არჩეული კოლუმბიას კონცხი ბაზად, როგორც ხმელეთის ყველაზე უფრო ჩრდილო კონცხი; მეორე—მოხერხებულად იყვნენ გამოყენებული ესკიმოსები, მათი ძაღლები და მარხილები; მესამე—სწორად იყო გათვალისწინებული, რომ ყინული დრეიფობს აღმოსავლეთისაკენ; ამ დრეიფის დასაძლევად ექსპედიციამ თავიდანვე მიმართულება აიღო პოლუსის დასავლეთით; მეოთხე—ექსპედიციის წარმატება უნდა მიეწეროს მონაწილეთა განსაკუთრებული მზრუნველობით შერჩევას... ამ ოთხ პუნქტს უნდა დაემატოს, რასაკვირველია, თვით პირის ტალანტი, მის მიერ სამუშაო გეგმის გულდასმით მოფიქრება და, კერძოდ, დამხმარე ჯგუფების სამოქმედო გეგმის დასახვა“ (ლ ე ო ნ ა რ დ ა უ ს ვ ე ი ტ ი: „Как открывали земной шар“; თარგმნილი ინგლისურიდან დ. ლ. არამანდის მიერ; კ. ი. კუნინის რედაქცია და დამატებანი; მ.-ლ.; 1939 წ.; გვ. 265; 266).

პისარო (პიზარო), ფრანცისკო (1471—1541 წ.წ.), ერთ-ერთი ესპანელი დამპყრობელ-ავანტიურისტი (კონკისტადორი); 1531—1532 წ.წ. ის გაემგზავრა პერუს დასაპყრობად. 1535 წ. დააარსა ქალაქი ლიმა, პერუს რესპუბლიკის თანამედროვე დედაქალაქი. 1541 წ. პისარო მოკლულ იქნა მისი მეტოქის ალმაგროს მომხრეების მიერ..



**პლანო-კარპინი**, (უფრო სწორად—**ჯიოვან-დე-ლ-პიანო-კარპინე**); 1182—1252 წ.წ.; წარმოშობით პერუჯიიდან, ცნობილი მოგზაური, რომელიც რომის პაპმა ინოკენტი IV-მ გაგზავნა მონღოლეთის ყაენთან ბათოსთან, იქიდან ის უნდა წასულიყო დიდი ყაენის დედაქალაქ ყარაყორუმში. პლანო-კარპინი ბრესლავლისა და კრაკოვის გავლით თავის თანამგზავრ ფრანცისკოელ ბერთან ლავრენტისთან ერთად (პორტუგალელი) ჩავიდა კიევში, იქიდან ექვსი დღის შემდეგ მიაღწია თათართა სამეფოს; აქედან რამდენიმე დღის შემდეგ ცხენით ჩავიდა ბათოს სატახტო ქალაქში. ბათომ გასცა განკარგულება, რათა პლანო-კარპინი მიეცილებინათ დიდ ყაენთან შემდეგი მარშრუტით: ხვარაზმი—სემირეჩიე—ტარბაგათაი—მონღოლეთი. სამ თვენახევარს გრძელდებოდა ეს მოგზაურობა, რომლის დროს მათ დიდი გაკვირვება გადაიტანეს; რომ უფრო ჩქარა მისულიყვნენ და მიესწროთ დროზე ახალი ყაენის გუიუკას (კაიუკას), ყაენ უკედეს შვილის, გამეფებისათვის, ყოველდღე ხუთჯერ იცვლიდნენ ცხენებს. 1246 წ. ივლისში პლანო-კარპინი და ბერი ლავრენტი ჩავიდნენ ყაენის დროებით სატახტო ქალაქში, რომელიც დაშორებული იყო ყარაყორუმიდან ნახევარი დღის სავალზე. თავის წიგნში „*Libellus Historicus*“ (დღიური) პლანო-კარპინი აღწერს გზას და იძლევა დიდი ყაენის სხვადასხვა ქვემეგრდომის ზნე-ჩვეულებების დაწვრილებით აღწერას; განსაკუთრებით დაწვრილებით ლაპარაკობს იგი მონღოლების შესახებ. XIII საუკუნის იტალიელი მემატიანე—სალიმბენე, რომელსაც პლანო-კარპინი 1247 წ. უნახავს, ახასიათებს მას შემდეგნაირად: „ეს იყო ადამიანი ღირსეული, გონებამახვილი, განათლებული, მკვერმეტყველი და დიდი ნიჭის პატრონი; მან დასწერა დიდი წიგნი იმის შესახებ,

თუ რა ნახა შესანიშნავი თათრებთან და სხვა ადგილებში. როდესაც მას ლლიდნენ შეკითხვებით ანის შესახებ, ის იწყებდა თავისი წიგნის კითხვას, რაც მე მრავალჯერ მინახავს და მომისმენია“ (პ. მ. ბ ი ც ი ლ ი. „სალიმბენე. იტალიის ცხოვრების მიმოხილვა XIII საუკუნეში“. ოდესა. 1916 წ.; გვ. 250).

**პლინიუსი**, უფროსი, ძველი რომის ცნობილი ნატურალისტი და მოგზაური (ჩ. ე. 23—79 წ.წ.); მას ეკუთვნის დიდი შრომა „ბუნებისმეტყველება“ 37 წიგნად, რომელთაგან პირველი რამდენიმე წიგნი მიძღვნილია გეოგრაფიისადმი. მეორე წიგნში ის იძლევა ცნობებს ასტრონომიიდან. ფაზიკური გეოგრაფიიდან და მეტეოროლოგიიდან. მესამე წიგნიდან მოყოლებული კი იწყება ტერიტორიალურ-პოლიტიკური გეოგრაფია, სადაც ავტორს შეგროვილი აქვს მდიდარი ფაქტიური მასალა, რომელიც ზოგჯერ ფანტასტიური ხასიათისაა. პლინიუსის თხზულებაში მოცემულია ძვირფასი ცნობები სხვადასხვა კლიმატური ზონის მცენარეულობის შესახებ და მათი საკმაოდ მკაფიო და ზუსტი აღწერა. მისსავე თხზულებებში გვხვდება პირველად ჩვენს დროში საყოველთაოდ ცნობილი არასავსებით დამაკმაყოფილებელი დასაზღუთება დედამიწის ბურთისებრიობის შესახებ; სახელდობრ, როდესაც ხომალდი სცილდება ნაპირს, მისი ანტიბი ჯერ კიდევ რამდენიმე ხანს ჩანს, მაშინ, როდესაც მისი ტანი დამალულია ჰორიზონტს იქით. პლინიუსი, დიდად შრომისმოყვარე და გასაოცარი ცნობისმოყვარე ადამიანი, იმ აზრისაა, რომ ადამიანი ბუნებით „მოგზაურობის მოყვარულია და ყოველივე ახალს ეტანება“. თავისი ცნობისმოყვარეობის გამო პლინიუსი კიდევაც დაიღუპა, როდესაც ის სასწრაფოდ გაემგზავრა

ვულკან ვეზუვზე, რათა იქ ეწარმოებია დაკვირვება, რადგან მრავალი წლის განმავლობაში თქრობდნენ, რომ ვეზუვი იყო ჩანქრალი, და 79 წელს კელავ მოხდა მისი ამოფრქვევა, რომლის დროსაც დაიღუპა რომის სამი ქალაქი: სტაბია, ჰერკულანუმი და პომპეა. გერმანიის ცნობილი მეცნიერი გეოგრაფი და ნატურალისტი—ალექსანდრე ჰუმბოლდტი შემდეგნაირად ახასიათებს პლინიუსის შრომას „ბუნებისმეტყველებას“: პლინიუს უფროსის „ბუნებისმეტყველება“ არის ნაყოფი შეუქავებელი მისწრაფებისა ყოვლის შემცველისადმი, ხშირად მასალების ნაჩქარევად შეგროვებისადმი; მისი გადმოცემა თანახომიერი არ არის: ხან უბრალოა და მწრალად ჩამოთვლის დაწერილებით ცნობებს, ხან კიდევ აზრებით მდიდარია, ხალისიანი და რიტორიკულად შემკული; თავისი ფორმით ის ღარიბია ბუნების დამახასიათებელი აღწერებით. მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, ჰუმბოლდტი მაინც თქვამს, რომ პლინიუსის დიად ენციკლოპედიურ ნაშრომს „შინაარსის სიმდიდრით ძველი დროის ვერც ერთი სხვა ნაწარმოები ვერ შეედრება“.

**პოლო, მარკო (1254—1324 წ.წ.):** ვენეციის მცხოვრები, საშუალო საუკუნეთა დიდი მოგზაური, რომელიც თავის მამა ნიკოლოსთან და ბიძა მათეო პოლოსთან ერთად შეუდგა მგზავრობას შორეულ აღმოსავლეთში. დიდი მონღოლ-ჩინეთის ყანის ხუზილას (ყუბილას) სამეფოში. პოლოს ოჯახმა გადასჭრა მცირე აზია და ირანი და მიადწია ვაქრობით განთქმულ ნავსადგურ ორმუხს, სპარსეთის ყურის ნაპირას. აქედან პოლოს ოჯახს სურდა წასულიყო აღმოსავლეთისაკენ საზღვაო გზით, მაგრამ გადაიფიქრეს, რადგან აღვილობრივ მუხლავურთა „ხონაღდები... ცუდია, და ბევრი მათგანი

იღუპება, რადგან ხომალდი შეკრულია არა რკინის ლურ-სმნებით, არამედ ბაწრით, რომელიც დამზადებულია ინდოეთის ნიგვზის ხის ქერქისაგან... ასეთი ხომალდით მგზავრობა საშიშია“. ძმებმა პოლოებმა ხმელეთის გზით წასვლა ამჯობინეს და გაუხვიეს ჩრდილოეთისაკენ; ხელახლა გადასჭრეს ირანი და გადაიარეს დღევანდელი ავღანისტანი, იქიდან ისინი ავიდნენ პამირზე; ესენი იყვნენ პირველი ევროპელები, რომლებმაც ინახულეს ეს დიდი მთიანი ქვეყანა. „მიდიხარ სულ ჩრდილო-აღმოსავლეთით, გვაუწყებს მარკო პოლო, სულ მთა-მთა და ადიხარ, როგორც ამბობენ ხოლმე, მსოფლიოში უმაღლეს ადგილზე... თორმეტ დღეს მიდიხარ იმ ვაკეზე, ეწოდება მას პამირი, და მთელი ამ თორმეტი დღის განმავლობაში არ გვხვდება არც საცხოვრებელი ბინა და არც ბალახი, საკმელი თან უნდა წაიღო...“ ჩამოვიდნენ თუ არა პამირიდან, პოლოს ოჯახი გაემგზავრა დიდი სავაქრო გზით, რომელსაც ჩინელი ვაჭრები უწოდებდნენ „აბრეშუმისა და ნეფრიტის გზას“. ამ გზით ჩინეთის ქარავნებს მოქონდათ დასავლეთისაკენ აბრეშუმი, და უკან დაბრუნებისას—აღმოსავლეთისაკენ — ჩინელებისათვის ძვირფასი ქვა-ნეფრიტი. ამ გზაზე მდებარეობდა ოაზისები მსხვილი სავაქრო ცენტრებით—კაშგარი, იარკენდი, ხოტანი, ლობი (ლობი), შაჯოუ, ხამი. მარკო პოლო აგვიწერს ლობ-ნორის ოლქს უდაბნო გობის განაპირას; ეს რაიონი არც მარკო პოლომდე და არც მის შემდეგ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არ უნახავს არცერთ ევროპელს; და მხოლოდ 1871 წელს ეს ადგილი ინახულა და გამოიკვლია რუსეთის დიდმა მოგზაურმა ნ. მ. პრევევალსკიმ. პოლოს ოჯახმა გადასჭრა უდაბნო გობი და ბოლოს მიაღწია ყუბილას ყაენის რეზიდენციას. უკანასკნელმა ისინი მიიღო გულთბილად; ყუბილას ყაენს

ძალიან მოეწონა ახალგაზრდა მარკო. მაშინ, როდესაც  
ნისი მამა და ბიძა ჩინეთში გართული იყვნენ სავაჭრო  
ოპერაციებით, ახალგაზრდა მარკომ მცირე ხანში შეის-  
წავლა ადგილობრივი ენები და ყაენის მიერ აყვანილ  
იქნა სამსახურში. როგორც ყაენის მსახურს (მოხელეს), მას  
მოუხდა მრავალი მოგზაურობა მონღოლეთ-ჩინეთის იმ-  
პერიაში; მან ინახულა ჩინეთის შორეული ჩრდილო-  
დასავლეთი განაპირა ნაწილი, როგორც ვარაუდობენ ის  
იყო აგრეთვე მონღოლების ყაენების ძველ სატახტო ქა-  
ლაქ ყარაყორუმშიაც; ინახულა ტიბეტიც, აგრეთვე პრო-  
ვინცია იუნანი და კოხინჩინა; იყო ზღვით ინდოეთშიაც.  
ყველა ნახული ქვეყნის შესახებ (მან კი ბევრი რამ ინა-  
ხულა) მარკო პოლომ თავის თანამედროვეებს მეტად კაზ-  
მული ენით მოუთხრო. მის მემუარებში მოცემულია  
უხვი მასალა, რაც მის დრომდე ევროპელებისათვის უც-  
ნობი იყო—გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ხასიათის  
ცნობები, აგრეთვე აღწერილია აღმოსავლეთ ქვეყნების  
ფლორა და ფაუნა. მარკო პოლო პირველად იძლევა  
ცნობებს ზებუს, იაკის, თეთრი დათვის, სიასამურის,  
მარტორქისა და გეპარდის შესახებ და აგრეთვე დღეს  
უკვე ამოწყვეტილ მადაგასკარის ბუმბერაზ ფრინველის  
შესახებ, რომლის ძალიან დიდი კვერცხები ნაპოვნი იყო  
უფრო გვიან, ცნობებს იძლევა აგრეთვე სპილოს შესა-  
ხებ, სხვადასხვა ცხენების ჯიშების, ღუმიანი ცხვრების,  
სხვადასხვა სახეობის მაიმუნების, ვეებერთელა გველების  
შესახებ სამკურნალო და სურნელოვანი ბალახების შესა-  
ხებ, ბამბისა და ბამბუკის შესახებ; მარკო პოლო იძლევა  
აგრეთვე ცნობებს ძვირფასი ქვების, სხვადასხვა ქანების,  
ქვანახშირისა და ნავთობის შესახებ და ა. შ. სამშობლო-  
დან გასვლის ოცდა ოთხი წლის (1271—1295 წ.წ.) შემ-  
დეგ პოლოს ოჯახი დაბრუნდა უკან თავის ქვეყანაში

შემდეგი ნარშრუტით: ნავსადგური ზაიტუნნი—ინდოჩინეთი—იავა — მალაკის სრუტი—სუმატრა — ინდოეთი—ციელონი—აღმოსავლეთ აფრიკისა და არაბეთის სანაპირო, ნავსადგური ორმუზი.—უკან დაბრუნებისას მოგზაურობის დროს მარკო პოლომ ინახულა და აღწერა ბევრი რამ საინტერესო: სუმატრის ტროპიკული ტყეები, ნადირობა მარტორქანზე, ანდამანის კუნძულებზე კაცისკამია ხალხის ზნე-ჩვეულება, მარგალიტების ქერა ცეილონის ნაპირებთან, კაშალოტზე ნადირობა, ინდოეთის ოკეანის ზეკობრეები და სხვ. 1298 წელს იტალიის რესპუბლიკების—ვენეციისა და გენუის ორი ზეტოქე ფლოტის შორის მოხდა საზღვაო შეტაკება, და მარკო პოლო, რომელიც მეთაურობდა ერთ-ერთ ვენეციის ხომალდს, 7.000 თავის თანამემამულით მოხედა ტყვედ და დამწყვდეულ იქნა საპყრობილეში. აქ ის შეხვდა ერთ-ერთ ტყვეს, პიზის მოქალაქე რუსტიჩიანოს, რომელსაც მთელი თავისი მოგონებანი უკარნახა. ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ მარკო პოლომ იცოცხლა 1324 წლამდე და გარდაიცვალა 70 წლის. მარკო პოლოს „მოგონებანი“ განსაკუთრებით დიდი წარმატებით სარგებლობდა დიადი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში, როდესაც ეს წიგნი სამაგიდო წიგნად გახდა ისეთი პიროვნებებისათვის, როგორც იყვნენ პორტუგალიელი პრინცი ჰენრიხ მეზღვაური, ვასკო-და-გამა, კოლუმბი და მაგელანი. მარკო პოლოს თხზულება გადათარგმნილია თითქმის ყველა ევროპულ ენაზე. რუსულ ენაზე ის იყო გადმოთარგმნილი რამდენიმეჯერ. საუკეთესო რუსული თარგმანი ეკუთვნის პროფესორ დ. ი. მიხაევს. საუკეთესო რუსული გამოცემაა 1940 წლისა, შესაფასი სტატიით და კომენტარებით, კ. ი. კუნიჩის რედაქციით (სახ. გამომც. „მხატვრული ლიტერატურა“).

**პოტანიანი**, გრიგოლი ნიკოლოზის-ძე (1835—1920 წ.წ.), რუსი ცნობილი მოგზაური და ეთნოგრაფი. 1876—1877 წ.წ. თავის მეუღლესთან (მამით ლავროვსკაია) ა. ვ. პოტანიანთან ერთად გამოიკვლია რაიონები, რომლებიც მდებარეობენ ულუნგურისა და კოსგოლის ტბებს შორის, ერთის მხრივ, და ტანუ-ოლას ქედსა და ტიან-შანის ქედს შორის—მეორე მხრივ. ამ მანძილზე შეისწავლა და რუკაზე გადაიტანა ისეთი ადგილები, რომლებიც წინად არასოდეს არ უნახავს არცერთ ევროპელს. 1879—1880 წ.წ. ექსპედიციის დროს პოტანიანმა გამოიკვლია მომთაბარე მონღოლების დიურბიუტების ყოფა-ცხოვრება, შემდეგ ტბა ყირგიზ-ნორის უდაბური ნაპირები, მდინარე ჩონ-ხაროხი, რომელიც მოედინება ტბა ხარა-უსუდან, და ტბა ხარა-ნორი; ამის შემდეგ მან გაიარა მდინარე ბურეის ხეობა, ქედები ტულუკი და ანჯან-ხორუმი და მიაღწია ტბა ტერკულს („ცის ტბას“), რომლის შუაში მდებარეობს კუნძული სასახლის ნანგრევებით. 1883 წელს გ. ნ. პოტანიანი გაემგზავრა ექსპედიციაში ჩინეთში, მონღოლეთსა და ტიბეტში, 1885 წელს კი მან გამოიკვლია ტიბეტის აღმოსავლეთი განაპირა ნაწილი, საიდანაც ენერგიული მოგზაური ნან-შანის ქედის გავლით ცენტრალურ მონღოლეთში შევიდა. ამ ექსპედიციის აღწერა პოტანიანმა მოგვცა თავის ნაშრომში „ჩინეთის ტანგუტო-ტიბეტის განაპირა მხარე და ცენტრალური მონღოლეთი“. 1892 წლის შემოდგომაზე გ. ნ. პოტანიანმა კვლავ მოაწყო ექსპედიცია ჩინეთში, მას სურდა სუ-ჩუანის გავლით მოხვედრილიყო ტიბეტის ზეგანზე, მაგრამ მეუღლის მძიმე ავადმყოფობამ, რომელიც მისი ერთგული თანამოღვაწე იყო, აიძულა პოტანიანი დაბრუნებულიყო უკან ბეიპინში. თავისი გამოკვლევების შედეგები გ. ნ. პოტანიანმა გადმოგვცა შემდეგს შრომებში: 1) „ჩრდილო-

დასავლეთი მონღოლეთის მიმოხილვა“ (I—II ტ.; 1881 წ.; III—IV ტ.; 1883 წ.); 2) „ჩინეთის ტანგუტო-ტიბეტის განაპირა მხარე და ცენტრალური მონღოლეთი“ (I—II ტ.; 1893 წ.) და 3) „დიდი ხინგანის შუა ნაწილში გამგზავრება 1899 წლის ზაფხულში“ (1901 წ.).

**პრუშვალსკი, ნიკოლოზ მიხეილის-ძე** (1839—1888 წ.წ.), რუსეთის დიადი მოგზაური და ცენტრალური აზიის მკვლევარი. ლ. ს. ბერგის სამართლიანი შენიშვნით ის წარმოადგენს „ყველა დროისა და ყველა ხალხის ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ მოგზაურს“. ჰიმალაის მთების ცნობილი მკვლევარი ჰუკერი სწერდა პრუშვალსკის შესახებ: „სტენლი და ლივინგსტონი გაბედული პიონერები იყვნენ, მაგრამ მათ იცოდნენ მხოლოდ გავლილი გზის ჩვენება რუკაზე, ბუნების შესწავლისათვის მათ არაფერი არ გაუკეთებიათ, მხოლოდ ერთმა პრუშვალსკიმ შესძლო შეეერთებინა თავის თავში გაბედული მოგზაური გეოგრაფთან და ნატურალისტთან“. თავისი პირველი მოგზაურობა ნ. მ. პრუშვალსკიმ მოახდინა უსურის მხარეში (1867—1869 წ.წ.); ამ მოგზაურობის შემდეგ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების დავალებით მან მოახდინა ოთხი მოგზაურობა ცენტრალურ აზიაში: 1) 1870—1873 წ.წ. პრუშვალსკიმ თავის თანამგზავრებთან ერთად გაიარა 11.000 კმ ცენტრალური აზიის მიმართულებით და გამოიკვლია შემდეგი ადგილები: მონღოლეთი, ჰან-სუ, კუ-კუ-ნორი, ცაიდამი და ჩრდილო ტიბეტი; ამ მოგზაურობის დროს თავისი კვლევის შედეგები პრუშვალსკიმ მოგვცა წიგნში: „მონღოლეთი და ტანგუტთა ქვეყანა“ (პეტერბურგი; I ტ. 1875 წ.; II ტ. 1876 წ.); 2) 1876—1877 წწ. მან მოახდინა მეორე მოგზაურობა კულჯიდან ტიან-შანს იქით და ლობ-ნორზე; 3) 1879—1880 წ.წ.



პრევეალსკი შეუდგა მესამე მოგზაურობას ზაისანიდან ზამის გავლით ტიბეტში და ყვითელი მდინარის (ხუან-ხე) სათავეებისაკენ; 4) თავის მეოთხე მოგზაურობის დროს 1883—1885 წ.წ. მან 7.325 კმ-ზე მეტი გაიარა კიანტიდან ყვითელი მდინარის სათავემდე, მოახდინა ტიბეტის ჩრდილო განაპირა მხარის გამოკვლევა და უკან დაბრუნდა ლობ-ნორით მდინარე ტარიმის აუზზე გავლით. 1888 წ. ნ. მ. პრევეალსკი გაემგზავრა ექსპედიციაში მეხუთეჯერ, რომელიც მისი გარდაცვალების გამო არ დამთავრებულა (პრევეალსკი დასაფლავებულია ქალაქ ყარაკოლში—ამჟამად ქ. პრევეალსკი, ისიკ-ყულის ტბის ნაპირას). ცხრა წლისა და სამი თვის განმავლობაში ნ. მ. პრევეალსკის მიერ გავლილი იყო და რუკაზე გადატანილი დაახლ. 30 ათასი კმ; აღმოჩენილი იქნა ქედები: ალტინი ნან-შანის ოლქში, ჰუმბოლდტისა და კარლ რიტერის ქედი, და ქედი, რომელსაც შემდეგ ეწოდა პრევეალსკის სახელი; აღმოჩენილი იქნა ტიბეტის ზეგანზე ორი ტბა „რუსკოე“ და „ექსპედიციისა“. გარდა ამისა, პრევეალსკის მიერ აღმოჩენილია გარეული აქლემი, გარეული ცხენი (პრევეალსკის ცხენი), ტიბეტის დათვი; შეგროვილი იქნა მდიდარი ბოტანიკური და ზოოლოგიური კოლექციები. „საბჭოთა ხალხი, ამბობს ი. მ. შოკალსკი, მზრუნველობით ინახავს დაუღალავი მოგზაურის, მეცნიერების კეთილშობილ რაინდის, პრევეალსკის ხსოვნას. მისი ცხოვრება, რომელიც სავსეა მოღვაწეობითა და გმირობით, ჩვენთვის ყველაზე ახლო და გასაგებია, რადგან გმირობა საბჭოთა ხალხის ყოფა-ცხოვრების ნიშანდობლივ თვისებად იქცა“.

**პატრონზე, კლავდიუსი (ჩ. ე. II საუკუნე) რომლის დიდება და სახელოვნება ემყარება უმთავრესად მის ას-**

ტრონომიულ თხზულებებს, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილი იყო მრავალი საუკუნის განმავლობაში „დიდი თხზულება“ („მეგალე სიუნტაქსი“); პტოლომეს ეს მათემატიკურ-ასტრონომიული შრომა, რომელიც შედგებოდა 13 წიგნისაგან, არაბეთის ხალიფ ალ-მამუნის (IX ს.) ბრძანებით გადაითარგმნა არაბულ ენაზე; არაბულად ეს თხზულება იყო შემდეგი სათაურით; „ტაბრირ-ალ-მაჰესტი“ ან შემოკლებულად „ალმაჰესტი“ („უდიადესი“). „ალმაჰესტი“ ადამიანის გონების ყველაზე შესანიშნავ ნაწარმოებად ითვლებოდა და ამ ნაწარმოებში მოცემული თეორიები სამყაროს აღნაგობის შესახებ თითქმის მთელი ათასი წლის მანძილზე კეშმარიტებად ითვლებოდა. პტოლომეს მოძღვრების თანახმად, დედამიწა უძრავ მდგომარეობაშია; იგი შეადგენს სამყაროს ცენტრს, რომლის გარშემო ტრიალებს მზე, მთვარე და ვარსკვლავები (გეოცენტრული სისტემა). პტოლომეს სამყაროს სისტემამ კოპერნიკამდე იარსება.

---

## რ

კ რატცელი, ფრიდრიხი (1844—1904 წ.წ.), გერმანელი ცნობილი გეოგრაფი და ეთნოგრაფი. მან იმოგზაურა სამხრეთ ევროპაში, აშშ-ში, მექსიკასა და კუბაზე. 1876 წლიდან იყო მიუნხენის უმაღლესი ტექნიკური სკოლის გეოგრაფიის პროფესორი და 1886 წლიდან კი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე — ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი. მას ეკუთვნის ძალიან ბევრი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული შრომები, რომელთაგან დავასახელებთ შემდეგს: 1) „ანთროპოგეოგრაფია“ (ტ. I და II; შტუტგარტი, 1882—1891 წ.წ.); 2) „პოლიტიკური გეოგრაფია“ (მიუნხენი; 1897 წ.; მე-3 გამოცემა გამოვიდა 1923 წ.); 3) „დედამიწა და სიცოცხლე“; ტ. 1 და 2 (ლაიპციგი — ვენა; 1901—1902 წ.წ.; არსებობს რუსული თარგმანიც); 4) „ხალხთამცოდნეობა“ (არსებობს რუსული თარგმანიც). დასახელებულ შრომებში მოგროვილია აუარებელი ფაქტიური მასალა.

თავისი შეხედულებებით რატცელი პრიმიტიული გეოგრაფიული მატერიალიზმისა და მეტაფიზიკური „ბიოლოგიზმის“ ტიპური წარმომადგენელია; მისი აზრით, ეკონომიური განვითარების დონე და ხასიათი, პოლიტიკური წყობის თავისებურებანი და ცალკეული ქვეყნებისა და ხალხების კულტურა დამოკიდებულია, ერთის მხრივ, ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებისაგან, მეორე მხრივ კი, — რასის საინდაყოლილი მიდრეკილებისაგან. ამ

შეხედულებების რეაქციურობა და ფსევდომეცნიერულობა რატცელის შრომებს ღირებულებას უკარგავს.

**ჩამლიუ**, ეაკ-ელიზე (1830—1905 წ.წ.), საფრანგეთის ცნობილი გეოგრაფი; ძალიან ბევრი იმოგზაურა ევროპასა და ამერიკაში, გამოიკვლია კოლუმბია (სამხრეთ ამერიკაში). თავის ერთ-ერთ წერილში დედასთან რეკლიუ სწერს „...მარტო უბრალო ცნობისმოყვარეობა არ მიკარნახებს, როდესაც მინდა ვიმოგზაურო. როდესაც ახალ ქვეყნებს ვხედავ, მე მეძლევა შესაძლებლობა შევისწავლო დედამიწა, ეს კი აუცილებელია ჩემთვის. ერთადერთი შესწავლა, რასაც სერიოზულად ვეძლევი—ეს გეოგრაფიის შესწავლაა და, მე ვფიქრობ,—უმჯობესია ადამიანმა თვით აწარმოოს ბუნებაზე დაკვირვება, ვიდრე წიგნების მიხედვით შეადგინოს მასზე წარმოდგენა. არავითარი აღწერა, რაც უნდა საუცხოო იყოს იგი, არ შეიძლება იყოს კეშმარტი, ვინაიდან იგი ვერ გადმოსცემს სიცოცხლის პეიზაჟს, ფოთოლთა კრთომას, ფრინველთა გალობას, ყვავილთა სურნელებას, ღრუბლების ცვალებად ფორმებს და სხვ. თუ გინდა იცოდე—საჭიროა ინახულო“. 1866 წ. რეკლიუმ გამოაქვეყნა საინტერესო წერილი „ნაკადულის ისტორია“; 1867—1868 წ.წ. მან დაბეჭდა თავისი მნიშვნელოვანი შრომა „დედამიწა“; 1872 წ. გამოქვეყნდა მისი „მთის ისტორია“; 1875—1894 წლების მანძილზე კი გამოვიდა ე. რეკლიუს მონუმენტალური შრომა: „მსოფლიო გეოგრაფია; დედამიწა და ხალხი“. მასვე ეკუთვნის არა ნაკლებ მნიშვნელოვანი შრომა „ადამიანი და დედამიწა“. 1893 წლიდან ე. რეკლიუ იყო ბრიუსელის ახალი უნივერსიტეტის შედარებითი გეოგრაფიის პროფესორად; ამ უნივერსიტეტში ბრწყინვალედ გაიშალა რეკ-

ლიუს მოღვაწეობა, როგორც პროფესორისა და როგორც „გეოგრაფიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელისა.

**რიტერი, კარლი (1779—1859 წ.წ.),** გერმანიის ცნობილი გეოგრაფი, ბევრი იმოგზაურა ევროპაში. მან პირველად გამოსთქვა ახალი შეხედულებანი გეოგრაფიის მეცნიერების შესახებ თავის შრომის „ევროპა“-ს პირველი ტომის წინასიტყვაობაში. „ჩემი მიზანია, სწერს რიტერი, გადავცე მკითხველს ცოცხალი შეხედულება მთელ ქვეყანაზე, მის ბუნებრივ და ხელოვნურ ნაწარმოებებზე, ბუნებისა და ადამიანის სამყაროზე და ყველაფერი ეს წარვუდგინო მთლიანად დალაგებული სახით ისე, რომ უმნიშვნელოვანესი შედეგები ბუნებისა და ადამიანთა შესახებ გამოსქვიოდეს თავისთავად, ან დაპირისპირებული შედარებით... მე ვცდილობდი... ყველაფერი ეს ურთიერთ კავშირში მომეყვანა და მიზნითა და შედეგთა სახით წამომეყენებინა. მე ვცდილობდი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პრაგმატულად გადმომეცა აზრები... ისევე, როგორც ქრონოლოგია ისტორიის საფუძველს წარმოადგენს და უიშისოდ ყველა ფაქტი არეულ-დარეული იქნება, ფიზიკური თვისებებიც გეოგრაფიის საფუძველს უნდა შეადგენდნენ; ეს თვისებები ის ჩონჩხია, რომლის გარშემო სხვა ყველაფერი თავს იყრის...“ საბუნებისმეტყველო ელემენტებთან ერთად კ. რიტერი გეოგრაფიის მეცნიერებაში აყენებდა აგრეთვე ისტორიული და კულტურული ელემენტების მნიშვნელობას. კარლ რიტერის ყველაზე მნიშვნელოვან შრომას წარმოადგენს: „დედამიწისმცოდნეობა, მის დამოკიდებულებაში ბუნებასთან და კაცობრიობის ისტორიასთან, ან მსოფლიო შედარებითი გეოგრაფია, როგორც ფიზიკურ და ისტორიულ მეცნიერებათა შესწავლისა და სწავლების ნამდვილი საფუძ-

ველი“ (ამ თხზულების პირველი ორტომიანი გამოცემა გამოვიდა 1818 წ.; მეორე—19 ტომად 1822—1859 წ.წ. პერიოდში). თავისი შეხედულებანი გეოგრაფიულ მოვლენებზე რიტერმა ყველაზე უფრო ნათლად გამოხატა თხზულებაში: „შედარებითი დედამიწისმცოდნეობის იდეები“. ამ თხზულების შესავალში კარლ რიტერი იძლევა განმარტებას, რატომ დაარქვა თავის დედამიწისმცოდნეობას „ფიზიკური, საყოველთაო და შედარებითი დედამიწისმცოდნეობა“: „ფიზიკურია იგი იმიტომ, რომ ლაპარაკია ბუნების ძალთა შესახებ, რამდენადაც ეს უკანასკნელნი სივრცეში მოქმედებენ; საყოველთაო, ვინაიდან იკვლევს მსოფლიოს ყველა ნაწილს და არა სპეციალურად რომელიმე ქვეყანას; დასასრულ, შედარებითია, რადგანაც ავტორი დასკვნებს ყოველთვის შედარების საფუძველზე აშენებს“. კარლ რიტერის მთავარი მისწრაფებაა აჩვენოს, რომ ადამიანი ვერ აიცილებს თავიდან ადგილობრივი ბუნებისა და გარემოს გეოგრაფიული პირობების გავლენას. ამა თუ იმ ქვეყნის ბუნება, ნიადაგის თვისებები, მთების, ხეობების და ვაკის ფორმები, კლიმატი, ბუნებრივ ნაწარმოებთა ხასიათი დიდ გავლენას ახდენს ადამიანზე. მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარება ღრმად ჩანერგილია მშობლიური ნიადაგის წიაღში, რომ კაცობრიობის, ისტორიული განვითარების მსვლელობა განისაზღვრება ბუნებრივი პირობების თავისებურებით და ა. შ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კარლ რიტერის შრომების დიდმა უმრავლესობამ, გამსჭვალულმა თელეოლოგიისა და მეტაფიზიკის სულისკვეთებით, ხელი შეუწყო გეოგრაფებისა, ისტორიკოსებისა, სოციოლოგებისა და ეკონომისტების შორის ეგრეთწოდებული „ვეულგარული გეოგრაფიული მატერიალიზმის“ ფართო გავრცელებას.

**რიხტჰოფენი**, ფერდინანდი (1833—1900 წ.წ.), გერმანელი გამოჩენილი გეოლოგი და გეოგრაფი; ბევრი მოგზაურა; ჯერ, როგორც გეოლოგი, ის მუშაობდა ავსტრიის ალპებში, შემდეგ გაემგზავრა ოსტ-ინდოეთში (1860 წ.), საიდანაც მან მოახდინა მოგზაურობა ინდოჩინეთში, იაპონიასა და ინდონეზიაში (იავაზე). ამის შემდეგ მან მოახდინა გეოლოგიური გამოკვლევა კორდილერების მთებისა ჩრდილო ამერიკაში. 1866 წლიდან 1872 წლამდე რიხტჰოფენმა შემოიარა თითქმის მთელი ჩინეთი; ამ მოგზაურობის შედეგად გამოვიდა მისი ცნობილი ხუთტომიანი შრომა „ჩინეთი“ (ბერლინი, 1877 — 1912 წ.).

შეტად საინტერესოა აგრეთვე რიხტჰოფენის თეორიული და მეთოდოლოგიური ხასიათის შრომა „თანამედროვე გეოგრაფიის ამოცანები და მეთოდები“. რიხტჰოფენმა პირველმა დაასაბუთა და განავითარა ლიოსური ნიადაგის გაჩენის ეოლური თეორია.

**როზნოვსკი**, ვსევოლოდ ივანესძე (1856—1910 წ.წ.), რუსი მოგზაური და ცენტრალური აზიის მკვლევარი, ნ. მ. პრეველსკის ორი ექსპედიციის თანამშრომელი; დამოუკიდებლად გამოიკვლია 1893—1895 წ.წ. ცენტრალური ტიბეტის მთიანეთი, ლიუჩუნის ღრმული და ნან-შანი.

**როსი**, ჯემს კლარკი (1800—1862 წ.წ.), ინგლისელი პოლარული მკვლევარი, ჯონ როსის ძმის შვილი. 1829—1835 წ.წ. ის მონაწილეობას იღებდა თავის ბიძის ჯონ როსის პოლარულ ექსპედიციაში. 1839—1843 წ.წ. ჯემს „ერებუსზე“ და „ტერორზე“ გაემგზავრა ანტარქტიკის ექსპედიციის ხელმძღვანელად; 1841 წლის 5 იან

ვარს ჯემს როსმა აღმოსავლეთის სიგრძედის 174°-ზე მიაღწია პაკს, ოთხი დღის შემდეგ გამოვიდა ზღვის წმინდა წყალზე, რომელსაც შემდეგ მის პატივსაცემად ეწოდა—როსის ზღვა. ანტარქტიკაში მან აღმოაჩინა ვიქტორიას მიწა და ვულკანი „ერებუსი“; აქ ჯემს როსმა მიაღწია სამხრეთის სიგანედის 78°4'; შემდეგ წინსვლას ეღობებოდა ყინულის ზღუდე, რომელსაც ეწოდა „როსის ბარიერი“. როსი ვარაუდობდა სამხრეთ პოლარული კონტინენტის არსებობას.

როსი, ჯონი (1777—1856 წ.წ.), ინგლისელი მეზღვაური და არქტიკის მკვლევარი. თავისი მეორე მოგზაურობის დროს (1829—1833 წ.წ.), რომელიც მან დაიწყო ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელის აღმოსაჩენად, როსმა აღმოაჩინა ჩრდილო მაგნიტური პოლუსი, რომელიც, ამუნდსენის მიერ დაზუსტებული მონაცემების თანახმად, მდებარეობს ჩრდილო სიგანედის 70°30' და დასავლეთის სიგრძედის 95° და 30' შორის.

რუბრუკვისი (რუბრუკი), ვილჰელმი (ჰილიომი) (1215—1270 წ.წ.), XIII საუკუნის ცნობილი მოგზაური რუბრუკვისი შორეულ მოგზაურობაში გაემგზავრა 1252—1253 წ. ზამთარში; ჯერ გაემგზავრა კონსტანტინეპოლში, სადაც კარგა ხანს იცხოვრა, იქიდან წავიდა ყირიმში; იქიდან 1253 წ. მაისში დაიწყო თავისი მოგზაურობა მონღოლ-თათართა ქვეყანაში. მისი გზა იყო შემდეგი: პერეკოპის გავლით მიაღწია ვოლგის შესართავს და ინახულა ბათო ყაენი; 1253 წლის ბოლოს რუბრუკვისი უკვე იყო მაშინდელი მონღოლეთის დედაქალაქ ყარაყორუმში. გზაში ცნობისმოყვარე ბერ-მოგზაურმა მკოდნე ხალხის, განსაკუთრებით ვაქრების,



გამოკითხვით, შეაგროვა სხვადასხვა ცნობები; ასე, მაგალითად, ამ ცნობების საფუძველზე მან მოგვცა მეტად საინტერესო და თავის დროისათვის ძვირფასი აღწერა. შავი ზღვისა. პონტოს „როგორც მე ვაჭრებისაგან გავიგე, სწერს რუბრუკვისი..., აქვს სიგრძე 1400 მილი და თითქოს იყოფა ორ ნაწილად. სწორედ მის შუა ადგილას არის მიწის ორი შვერილი: ერთი ჩრდილოეთით, ხოლო მეორე სამხრეთით. მას, რომელიც იმყოფება სამხრეთით, ეწოდება სინოპოლი, და ეს არის თურქეთის სულთანის ნავსადგური და ციხე-სიმაგრე; ის, რომელიც იმყოფება ჩრდილოეთით, უჭირავს რომელიღაც ოლქს, რომელსაც ლათინები უწოდებენ გაზარიას; ბერძნები კი, რომლებიც ცხოვრობენ მასზე ზღვის ნაპირას, უწოდებენ კასარიას; ე. ი. ცეზარიას, და იქ არის რაღაც კონცხები, რომლებიც გამოშვერილია ზღვისაკენ, სახელდობრ სამხრეთიდან სინოპოლის მიმართულებით; სინოპოლსა და კასარიას შორის სამასი მილია, ისე, რომ ამ შვერილებისაგან კონსტანტინეპოლის მიმართულებით ანგარიშობენ შვიდას მილს სიგრძით და სივანით და შვიდასს აღმოსავლეთის მიმართულებით, ე. ი. ივერიისაკენ, რომელიც არის გეორგიის (ე. ი. საქართველოს — გ. ნ. გ.) ოლქი“. გზაზე ვოლგისაკენ რუბრუკვისი გაცნობს სტეპების მომთაბარე ხალხს და მოგვცა მათი ზნე-ჩვეულების აღწერა. შემდეგ ის მოგვითხრობს კასპიის ზღვის შესახებ და იმ ქვეყნების შესახებ, რომლებიც მდებარეობს მის ნაპირას. რუბრუკვისის მიერ ხელახლა იქნა დადგენილი გეოგრაფიული ფაქტი, რომელიც უკვე ცნობილი იყო ჰეროდოტესათვის და შემდეგ ახლად დადგენილი პტოლომეს მიერ, მაგრამ საშუალო საუკუნეების პირველ ნახევარში დავიწყებული, — რომ კასპიის ზღვა არ უერთდება ოკეანეს.

ბათო ყაენისაგან რუბრუკვისი გაემგზავრა ყირგიზეთის სტეპებით და ექვისი კვირის შემდეგ მოხვდა არალის ზღვის ნაპირებზე, შემდეგ კი ალა-ყულის ნაპირებისაკენ, აქედან კი ჯუნგარიაში—ყარაყორუმში დიდ ყაენ მანგუს (მენკე) რეზიდენციაში. ყარაყორუმში ყოფნის დროს რუბრუკვისმა შეაგროვა თავისი დროისათვის მეტად საანტერესო ცნობები უიგურების (ვიგურების, იუგურების), ტანგუტების, ტიბეტელების, ჩინელების საცხოვრებელი ადგილის შესახებ, მათ გარეგნობაზე, ზნე-ჩვეულებაზე და ადათებზე. თათრებისა და მონღოლების ზნე-ჩვეულების აღწერის დროს რუბრუკვისი დაწერილებით ლაპარაკობს მათს ჩარდახებზე, ამ ჩარდახების მორთულობაზე. ამასთანავე ევროპის მოგზაურთა შორის რუბრუკვისმა პირველმა დასწერა ცნობები კორეელებისა და მანჯურელების შესახებ.

უკან დაბრუნებისას რუბრუკვისმა გაიარა კავკასია და სომხეთი (კილიკია), ხმელთაშუა ზღვის ნაპირები; აქედან 1255 წელს ის ჩამოვიდა სირიის ქალაქ ანტიოქიაში, რომ მოხსენება ჩაებარებია საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო IX-სათვის, რომლის განკარგულებითაც ის იყო გაგზავნილი შორეულ აღმოსავლეთში. ლუდოვიკო IX რუბრუკვისმა აქ ვერ ნახა, რადგან ის უკვე წასულიყო საფრანგეთში. რუბრუკვისი დარჩა აკკას მონასტერში და იქ დასწერა წიგნი თავისი მოგზაურობის შესახებ და გაუგზავნა საფრანგეთის მეფეს.

რუსანოვი, ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე (1875—1913 წ.წ.), რუსეთის არქტიკის ცნობილი მკვლევარი. მას ეკუთვნის შემდეგი საინტერესო შრომები: 1) „შესაძლებელია თუ არა სწრაფი ნაოსნობა არხანგელსკსა და ციმბირს შორის ყინულიანი ოკეანით?“ (იხ. „Матери-

ათს по исследованию Новой Земли“: გამ. I; პეტერბურგი; 1910 წ.); და 2) „ციმბირისაკენ ჩრდილოეთის საზღვაო გზის საკითხისათვის“ („Материалы по исследов. Новой Земли“; გამ. II; პეტერბურგი; 1911 წელი); 3) „ციმბირისაკენ ჩრდილოეთის საზღვაო გზის ეკონომიური მნიშვნელობა“ (იხ. „Известия Архангельского общества изучения Русского Севера“; №№ 15—16).

1912 წელს რუსანოვი გემ „ჰერკულესზე“ გაემგზავრა ბარენცის ზღვაში იმ მიზნით, რათა გასულიყო ახალი მიწის ჩრდილოეთით ახალი ციმბირის კუნძულებისაკენ და შემდეგ უფრო შორს—ბერინგის სრუტემდე. ჯერ მან ინახულა შპიცბერგენი, სადაც მრავალადგილას იპოვა ქვანახშირის საბადოები და აღმართა 20-ზე მეტი საგანაცხადო სვეტი. შპიცბერგენიდან რუსანოვი გაემგზავრა ახალი მიწის ჩრდილო სანაპიროებისაკენ, მაგრამ ამოვარდნილმა ქარიშხალმა გემი წაიყვანა მატოჩკინ-შარის სრუტის სამხრეთით. აქ შეხვედრილ ნენცების საშუალებით წერილებით აცნობა მთავრობას შემდეგი: „შპიცბერგენის სამხრეთი ნაწილი და იმედის („ნადეჟდა“) კუნძულები გარემოცულია ყინულებით. ვაწარმოეთ ჰიდროგრაფიული სამუშაოები. ქარიშხალმა მატოჩკინ-შარის სამხრეთით მოგვიყვანა. მივემგზავრები ჩრდილო-დასავლეთით ახალი მიწის განაპირა ადგილისაკენ, იქედან აღმოსავლეთისაკენ. თუ გემი არ დაიღუპა, გავემგზავრები უახლოესი კუნძულებისაკენ, როგორცაა—განმარტოების („უედინენია“), ახალი ციმბირის და და ვრანგელისა. მარავი წლისაა. ყველანი ჯანმრთელადა ვართ“. ეს იყო უკანასკნელი ცნობა რუსანოვისაგან. ამის შემდეგ რუსანოვის შესახებ არაფიზიკური ცნობა აღარ მოსულა. ცხადია, რომ გემი და მთელი

ეკიპაჟი რუსანოვთან ერთად დაიღუპა არქტიკის ყინულებში.

თავის შრომებში რუსანოვმა გამოსთქვა მთელი რიგი საინტერესო აზრები ჩრდილო ყინულოვან ოკეანეზე სასწრაფო სავაჭრო ნაოსნობის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ. „მკიდრო დაკავშირება ჩვენი ჩრდილო-ევროპული წყლებისა ციმბირის წყლებთან, სწერს რუსანოვი,—ეს ნიშნავს იმ დიადი ჩრდილო ჯაქვის პირველი რგოლის გამოქედვას, რომლის ერთი ბოლო მტკიცედ იქნება ჩაქედილი მურმანსკის გრანიტულ ნაპირებთან, ხოლო მეორე წყნარი ოკეანის ნაპირებთან“. სამი წლის (1907—1909 წ.წ.) უშუალო დაკვირვების საფუძველზე პოლარული წყლების რეჟიმზე ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში, ციმბირის საზღვაო სავაჭრო გზის „ლიტერატურის კრიტიკული შესწავლის საფუძველზე“, ის ამტკიცებდა სწორი და გასებედავი სწრაფი სავაჭრო ნაოსნობის დაწესების შესაძლებლობასა და აუცილებლობას.

ვ. ა. რუსანოვი აუცილებელ საჭიროებად თვლიდა განსაკუთრებული კონსტრუქციის მქონე ყინულმკრელი გემების აშენებას. „პოლარულ ზღვაში მოგზაურობის პირობებისაგან გამომდინარეობს, სწერს ის, რომ მხოლოდ დიდ სატვირთო გემებს, სპეციალური ყინულმკრელი ტიპისა, უსათუოდ მომარაგებულთ რადიო-ტელეგრაფით, შეეძლებათ წლიდან—წლამდე 3—4 თვის განმავლობაში დაიჭირონ სწორი და უწყვეტი კავშირი ციმბირთან, მიუხედავად ყინულების მდგომარეობისა“.

---

## ს

საპოეტნიკოვი, ვასილი ვასილის-ძე (1861—1924 წ.წ.), ბოტანიკოსი და გეოგრაფი, დიდი შრომა და ენერჯია დახარჯა ალტაის, სემირეჩიეს, ცენტრალურ ტიან-შანის, ჯუნგარიის და იმიერ-ილის ალათაუს და საიანის გამოკვლევისათვის. მის კალამს ეკუთვნის 40-ზე მეტი დაბეჭდილი შრომა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია: 1) „ალტაიზე“ (1897 წ.; „Известия Томского университета“; 2) „კატუნი და მისი სათავეები“ (1901 წ.; იქვე); 3) „ნარკვევები სემირეჩიეს შესახებ“ (ტომსკი; ტ. I, 1904 წ.; ტ. II, 1906 წ.); 4) „მონღოლეთის ალტაი ირტიშისა და კობდოს სათავეებში“ (ტომსკი, 1911 წ.).

სელოვი, გიორგი იაკობის-ძე (1877—1914 წ.წ.), რუსი მეზღვაური და მოგზაური, მონაწილეობას იღებდა ციმბირის ჩრდილო სანაპიროების, მდინარე კოლიმის შესართავის, ახალი მიწის ნაპირების გამოკვლევაში. 1912 წ. გაჭირვებით მოგროვილი ფულით სედოგმა მოაწყო ექსპედიცია ჩრდილო პოლუსზე, რისთვისაც იყიდა პატარა ძველი ვეშაპსანადირო გემი „ფოკი“ („მორჟი“), რომელსაც შემდეგ დაერქვა „წმ. ფოკა“.

მოგზაურობის დასაწყისიდანვე ექსპედიციას დიდი დაბრკოლებები შეხვდა; პროდუქტები ჰქონდათ ძალიან მცირე, ექსპედიციის ზოგიერთი მონაწილე სულმოკლეობას იჩენდა, ისინი არ იზიარებდნენ თავიანთი ხელმძღვანელის სედოვის ენთუზიაზმს; ექიმად მუშაობდა ბეი-

თალი კუშაკოვი, რომელიც აღმოჩნდა არა კეთილსინდისიერი პიროვნება; იგი ცდილობდა თავისი პირადი ინტერესებისათვის სახელი გაეტეხა სედოვისათვის. მიუხედავად ყველა ამისა, სედოვი წინ მიიწევდა გმირულად. 1914 წლის გაზაფხულზე, თითქმის სრულიად ავადმყოფი, ორ მეზღვაურთან ლინიკთან და პუსტოშნისთან ერთად, სამი მარხილით გაემგზავრა ფრანც-იოსების მიწიდან ჩრდილო პოლუსისაკენ. სედოვმა და მისმა თანამგზავრებმა მიაღწიეს ჩ. ს. 81°40'. კაპიტან სედოვის ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა; მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგი მეზღვაურები ურჩევდნენ შეეწყვიტა მოგზაურობა—სედოვი მაინც განაგრძობდა გზას—განა შეეძლო უკან დაბრუნება? არა, არ შეეძლო! რადგან სამშობლოში მას ელოდა დაცინვა და აბუჩად აგდება; მისი იდეა იქნებოდა გაკილული და შერცხვენილი. ამიტომ სედოვი მიდიოდა სულ წინ. 1914 წლის თებერვლის მიწურულში მდგომარეობა შეიცვალა... გ. ი. სედოვი გარდაიცვალა. პუსტოშნიმ და ლინიკმა დიდი ვაივაგლახით დაასაფლავეს თავისი ხელმძღვანელი რუდოლფის კუნძულზე და გამობრუნდნენ სამხრეთით; დიდი გაქირვების შემდეგ მიაღწიეს ბოლაზ ტიხაიამდე, სადაც იდგა გემი „წმ. ფოკა“ და დაბრუნდნენ სამშობლოში. სედოვის ექსპედიციის მარცხი დამოკიდებული იყო არა იმდენად მის უტოლდინარობასა და გამოუცდელობაზე, რამდენად იმაზე, რომ სედოვს არა ჰქონდა საკმაო რაოდენობით ფული ექსპედიციის უკეთესად მოწყობისათვის. მეფის ხელისუფლებამ, მიუხედავად სედოვის არა ერთხელ თხოვნისა, არავითარი დახმარება არ გაუწია მას. სედოვი იყო არაჩვეულებრივი ენერგიის პატრონი; ის დაიღუპა ურყევი, ვაჟკაცური მკვლევარის სიკვდილით.

სვეტიცხოვე, ნიკოლოზი ალექსის-ძე (1827—1885 წ.წ.), ცნობილი ზოოლოგი, ზოოგეოგრაფი, ან-დენიკოპი და მოგზაური; სვეტიცხოვე ყოფილი თურქესტანის მხარის მთიანის შესწავლის ერთ-ერთი პიონერთაგანია. 1864—1866 წ.წ. სვეტიცხოვე გამოიკვლია ალექსანდრეს ქედი, ყარა-თაუს ქედი და ცენტრალური ტიან-შანი; 1877—1878 წ.წ. მან ინახულა ფერგანა, ჰამირი და ალაი; გარდა ამისა, მან განმოკვლია სენირეჩიე და დასავლეთ ციმბირის რაიონები. სვეტიცხოვის მთავარი შრომებია: 1) „მოგზაურობა თურქესტანის მხარეში და ტიან-შანის მთიანი მხარის გამოკვლევა“ (პეტერბურგი; 1873 წ.); 2) „ჰამირის მთიანი სისტემის თოვლოვანი ნარკვევი“ (პეტერბურგი; 1876 წ.). 3) „თურქესტანზე ვადასაურენა გზების შესახებ“. 1875 წ. სვეტიცხოვე ინახულა დასავლეთი ევროპა, სადაც ის გაეცნო დიად ინგლისელ მეცნიერს ჩარლზ დარვინს. უკანასკნელი მალე შეფასებებს აძლევდა სვეტიცხოვის ზოოგეოგრაფიულ შრომებს.

სვენ-ჰელინი (დაბ. 1865 წ.), შვედელი ცნობილი მოგზაური, რომელმაც 1885—87 წ.წ. პირველი მოგზაურობა მოახდინა სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. 1894—1897 წ.წ. სვენ ჰელინი მოიარა პამირი, აღმოსავლეთი თურქესტანი, თაკლა-შაჰანის უდაბნო, ჩრდილო ტიბეტი და ორდოსის უდაბნო. ამ მოგზაურობის დროს სვენ-ჰელინი კინალამ დაიღუპა თაკლა-შაჰანის უდაბნოში წყურვილით. სვენ-ჰელინი განსაკუთრებით დიდი ყურადღება ნიექია მდინარე ტარიმისა და ლობ-ნორის ტბის რეჟიმის შესწავლას; „მან აღმოაჩინა მდინარის ამომშრალი ფართო კალაპოტი, რომელიც ზოგ ადგილას დაფარული იყო ქვიშით და რომელშიაც აშკარაა ოდესღაც მიმდინარეობდა მდინარე ტარიმი. გაწყდა ჰელინი ამ კა-

ლაპოტს აღმოსავლეთის მიმართულებით, იპოვა მდინარის ძველი დელტა, ხეების ნარჩენები, ძველი სოფლის მეურნეობის კვალი, აგრეთვე ქალაქ ლულანის ნანგრევები, რომელიც მოსახლეობის მიერ მიტოვებული იქნა 1500-ზე მეტი წლის წინად, იმის შემდეგ, რაც მდინარე ტარიმმა იცვალა მიმართულება“ (ბ. ლ. კოგანი — „Обзор научных экспедиций за рубежом“; სტატიათა კრებულში „Экспедиции Академии Наук СССР, 1935 წ.“; სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა; მ.-ლ. 1937; გვ. 459). თავისი გამოკვლევების დროს სვენ-ჰედინი ნივიდა იმ დასკვნამდე, რომ დახშული ვაკის მდინარეები, რომლებიც ჩნდებიან ტბის შესართავებთან, იცვლიან თავიანთ დინებას და აჩენენ ახალ ტბებს. ეს წარმოადგენს იმის შედეგს, რომ მდინარე ტარიმი და მისი მაგვარი მდინარეები დროთა განმავლობაში ამოავსებენ ძველ ტბებს, მდინარეების აუზის რელიეფი იცვლება, ჩნდება ტერასები (მალლობები) და მდინარეები ღებულავენ ახალ მიმართულებას ან და უბრუნდებიან ძველ კალაპოტს. 1930 წ. სვენ-ჰედინმა მოაწყო ახალი ექსპედიცია ტბა ლობ-ნორის რაიონში და დაამტკიცა, რომ ათასეული წლების განმავლობაში ეს ტბა გადაინაცვლებს მდინარე ტარიმის მიმართულების შეცვლასთან დაკავშირებით. 1899 წ. ის ხელახლა გაემგზავრა თურქესტანით ტიბეტის ცენტრალურ ოლქებში იმ მიზნით, რათა მიეღწია ლჰასამდე, მაგრამ მან ამჯერადაც ვერ მოახერხა მიეღწია ტიბეტის შუაგულში. 1906 წ. სვენ-ჰედინი გაემგზავრა მესამედ ტიბეტში სამოგზაუროდ იმ მიზნით, რათა მიეღწია ქალაქ შიგატსემდე ამ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში; ამ ქალაქში ცხოვრობდა ტაში-ლამა ანუ დალაი-ლამას მოადგილე. ამ მოგზაურობის დროს სვენ-ჰედინმა აღმოაჩინა განგის, ბრაჰ-



მაპუტრის და ინდის სათავეები და დიდი მთიანი ქედი, რომელსაც მან უწოდა „ტრანსჰიმალაი“. თავისი მოგზაურობის შედეგები გადმოგვცა შემდეგ შრომებში: „აზიის შუაგულში“ და „ტრანსჰიმალაი“. ეს შრომები გადათარგმნილია თითქმის ყველა ევროპულ ენაზე.

სემიონოვ-ტიან-შანსკი, პეტრე პეტრეს-ძე (1827—1914 წ.წ.), ცნობილი გეოგრაფი და მოგზაური, 1873 წლიდან რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოების ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი. 1856—1858 წ.წ. მან იმოგზაურა ტიან-შანზე, ინახულა ალტაი, ტარბაგათი, სემირეჩიე და იმიერ-ილის ალა-თაუ. ტიან-შანზე მეცნიერთა შორის მან პირველმა მიაღწია ხან-ტენგრის მასივამდე. 1888 წ. მან მეორედ იმოგზაურა თურქესტანსა და იმიერ-კასპიის ოლქში. სემიონოვ-ტიან-შანსკიმ შეადგინა და გამოსცა ბუთტომიანი „რუსეთის იმპერიის გეოგრაფიულ-სტატისტიკური სიტყვარი“. იგი აგრეთვე იყო ჟურნალ „Изъ-вописная Россія“-ს რედაქტორი. გარდა ამისა, მის კალამს ეკუთვნის შემდეგი შრომები: 1) „საადგილმამულო საკუთრების სტატისტიკა“ (პეტერბურგი, 1880 წ.), სადაც მოცემულია ევროპული რუსეთის დაყოფა 12 ოლქად, გარდა ფინეთისა და პოლონეთის; ასეთი დაყოფა ფართოდ გავრცელდა შემდეგ რუსეთის გეოგრაფებსა და ეკონომისტებს შორის; 2) „გამგზავრება სიმავრე ვერნიდან ისიკ-ყულის ტბამდე 1856 წ.“ (Зап. Русского Географ. общества; по общей географии; ტ. I; 1867 წ.). სემიონოვ-ტიან-შანსკიმ გადმოიტანა რუსეთში გერმანიის გამოჩენილი გეოგრაფის კარლ რიტერის იდეები; რიტერის შრომის—„აზიის დედამიწისმცოდნეობი“-ს (1856 წ.) თარგმნის შესავალში სემიონოვ-ტიან-შანსკი ამბობს, რომ გეოგრაფია, „ამ სიტყვის ვიწრო გაგე-

ბიზ, არის „აღწერა მისი (ლედამიწის) როგორც აღმნიშვნა-  
საუკუნოდ წარუშლელი ნიშნებისა, რომელიც მოხაზუ-  
ლია თვით პუნების მიერ, ისე ცვალებადი, წარმავალი-  
ადამიანის ხელით შექმნილი ნიშნებისა“.

სა.ი.ი., რობერტ-ფალკონი (1868—1912 წ.წ.), ანტ-  
არქტიდის გამოჩენილი ნეკლეგარი, ინგლისელი. 1901—  
1904 წ.წ. ხელმძღვანელობდა დიდი ბრიტანეთის პირველ  
ექსპედიციას სამხრეთის პოლარულ რაიონებში, მუშაობ-  
და როსის ზღვის სანაპიროებზე; ამ ზღვის აღმოსავლეთ-  
ნაწილში აღმოაჩინა მცდე ედუარდ VII-ს მიწა. ანის  
შენდეგ მან მოახდინა გამოკვლევები ჰაკ-მურდოს სრუტის  
რაიონში, ხოლო შემდეგ მთების—ტერორისა და ერებუ-  
სის ირველივ. 1903 წელს სკოტმა შეისწავლა მაღალი  
პლატო როსის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. სკოტის  
გეორგ ექსპედიკია, რომელიც გაემგზავრა სამხრეთის პო-  
ლუსის ნისაღწევად, ტრაგიკულად დაშთავრდა სკოტისა-  
და მისი თანამგზავრებისათვის; 1912 წ. 18 იანვარს  
სკოტმა მიაღწია სამხრეთის პოლუსს რ. ამუნდსენზე  
(1911 წ. 16 დეკემბერი) ხუთი კვარით გვიან; უკან და-  
ბრუნებისას თავის ანხანაგებთან (ვილსონთან, ოტსონან,  
ბოვერსთან და ევანსთან) ერთად იგი გზაზე დაიღუბა.  
სკოტმა დასტოვა დღიური სამხრეთის პოლუსისაკენ-  
თავისი მოგზაურობის შესახებ; ეს დღიური წარმოადგენს  
პოლარული კვლევის ისტორიის ერთ-ერთ შემადგრწუნე-  
ბელ საბუთს. ნ. ი. კუნინის სამართლიანი შენიშვნით,  
„რომ შევაფასოთ სკოტის ექსპედიციის მთელი მნიშვნე-  
ლობა და მისი დაღუბვის მთელი ტრაგიზმი, უნდა აუ-  
ცილებლად წაეიკიანოთ მთლიანად მისი დღიური, და  
აკრეთვე ის წყრალეპი, რომელიც სიკვდილის წინ მის-  
წყრა სკოტმა თავის ნეგობრებსა და ნათესაებებს. ამ წყ-

ჩილების წაკითხვის შემდეგ ღრმა პატივისცემით გაიმ-  
კვალებით სკოტისა და მისი თანანგზავრების მიმართ...

სტენლი, ჰენრი მორტონი (1841—1904 წ.წ.), ინ-  
გლისელი მოგზაური და ცენტრალური აფრიკის მკვლ-  
ეარი. 1868 წ. მან მიიღო წინადადება ნიუ-იორკის გა-  
ზეთ „ჰერალდის“ („Herald“) რედაქტორისაგან, რათა ის  
გამგზავრებულიყო შავი კონტინენტის უღრან ტყეებში  
და გამოეკვია ცნობილი მოგზაური ჯონ ლივინგსტონ-  
ნის ბედ-ილიალი. 1871 წელს სტენლის ქარავანმა ნახა  
ლივინგსტონი სოფელ უჯიჯიში უკიდურესად დაავადე-  
ბული და უსურსათოდ. 1875 წ. სტენლიმ გამოიკვლია  
ვიქტორიას ტბა და ნილოსის აუზის ზემო ნაწილი; შემ-  
დეგ მან შემოუარა ტანგანიკას ტბას. რამდენიმე ხნის  
შემდეგ ის გაემგზავრა მდინარე ლუაპათი იმ ადგილამდე,  
სადაც ლუაპა უერთდება მდინარე ლუალაბას, ჯესანა-  
კნელი, როგორც შემდეგში უპირობოა, აღმოჩნდა კონ-  
გოს ზემო დინება. 1877 წ. სტენლიმ მდინარე კონგოთი  
მიადწია ატლანტის ოკეანეს. 1888 წ. სტენლი გაემგზავ-  
რა მოგზაურ შნიცერის (ემინ-ფაშას) საშველად; ამ ექს-  
პედიციის დროს სტენლის მოუხდა მოგზაურობა უღრანი  
ტროპიკული ტყეებით; ამ ხანებში მან აღმოაჩინა როვენ-  
დორის ქედი, გამოიკვლია მთვარის მთები, ალბერტის  
ტბა და შემოუარა ვიქტორიას ტბის სამხრეთ ნაწილს.  
სტენლიმ შეაგროვა მეტად ძვირფასი ცნობები აფრიკის  
პიგმეების შესახებ („ნიამ-ნიამი“), რომლებიც ცხოვრო-  
ბენ ცენტრალური აფრიკის ტროპიკულ ტყეებში. სტენ-  
ლის გამოკვლევებმა მოგვცა შესაძლებლობა გავცნო-  
ბოდით აფრიკის ყველაზე უფრო მიყრუებულ უღრან  
ნაწილებს და ამ კონტინენტის რუკაზე გაქრა ბევრი თე-  
ორი ლაქა. სტენლის მოგზაურობის შემდეგ დაიწყო ევ-

როპის კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ აფრიკის-  
შიდა ნაწილების დაპყრობა. თავისი მოგზაურობიდან  
სტენლიმ აღწერა შემდეგს თხზულებებში: 1) „შავ კონ-  
ტინენტზე“ (1878 წ.); 2) „როგორ ვიპოვე ლივინგსტონი“  
(რ მდენიმე გამოცემა); 3) „კონგოს სახელმწიფოს და-  
არსება“ (1885 წ.წ.); 4) „შავი აფრიკის ულრან ტყეებში“  
(1890 წ.).

**სტრაბონი**, ძველი-საბერძნეთის გეოგრაფი (დაიბადა-  
ჩვენს ერამდე 50 წ. მცირე აზიის ქალაქ ამასიაში და გარდა-  
იცვალა ჩ. ერის 19 წელს); ავტორი დიდი შრო-  
მისა—„გეოგრაფია“ (17 წიგნად) ამ შრომის პირველი  
ორი წიგნი განიხილავს გეოგრაფიის ზოგად საკითხებს,  
ხოლო მესამე წიგნიდან დაწყებული, გათავებული მეჩვიდ-  
ნეტე წიგნით, ავტორი იძლევა ოკეანის ქვეყნათ-  
მცოდნეობას. სტრაბონი ბევრს მოგზაურობდა; მან შე-  
მოიარა თითქმის მთელი რომის სამყარო; მან პირადად  
ბევრი ნახა და ბევრს დაუკვირდა. ასე ამბობს თვით-  
სტრაბონი, რომ ჩვენ გავიარეთ სომხეთის დასავლე-  
თით, ეტრურიის იმ ადგილებამდე, რომლებიც მდებარე-  
ობენ სარდინიის პირდაპირ; ხოლო სამხრეთით ევქსი-  
ნიდან ეთიოპიის საზღვრამდე“. სტრაბონის გეოგრაფია  
შეიცავს ძვირფას მონაცემებს არა მარტო ფიზიკურ გეო-  
გრაფიაში, არამედ აგრეთვე ანტიკური ქვეყნის გეოლო-  
გიისა, ზოოლოგიისა, ბოტანიკისა და ეთნოგრაფიის შე-  
სახებ.

**სულეიმანი**, VIII საუკუნის არაბეთის ცნობილი  
მოგზაური, ბასრელი ვაჭარი. მან ინახულა ის ქიეყნები,  
რომლებიც მდებარეობენ სპარსეთის ყურის ნაპირას,  
გაიარა ინდოეთის ოკეანე და ინახულა ცეილონი, სუმა-

ტრა, ნიკობარისა და ანდამანის კუნძულები, რომლებიც დასახლებული იყო, როგორც ამის შესახებ გვაუწყებს თვით სულეიმანი, კაცი-ქამიებით, ბოლოს გაიარა რა სეიფის ზღვა, მოლუკის კუნძულებსა და ინდოჩინეთს შორის, მშვიდობიანად მიაღწია კან-ფუს (მდინარე იან-ძიძიანის შესართავის მახლობლად). სულეიმანი საკმაოდ დაწვრილებით აგვიწერს ჩინეთის ზოგიერთ პროვინციებსა და ქალაქებს, აგრეთვე მოგვითხრობს ჩინეთის მოსახლეობის ზნე-ჩვეულებაზე. სულეიმანის დახასიათების თანახმად, ჩინეთი უფრო თვალწარმტაცი და უფრო ლამაზია, ვიდრე ინდოეთი, ჩინეთის პროვინციები განსხვავდებიან უფრო ჯანმრთელი კლიმატით, ვიდრე ინდოეთის. ჩინეთის ნიადაგი დამუშავებულია გაცილებით უფრო კარგად. შემდეგ სულეიმანი საკმაოდ დაწვრილებით ლაპარაკობს გაცხოველებული ვაჭრობის შესახებ არაბეთის ქვეყნებსა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის, ჩინეთის ჩათვლით.

---

## ტ

**ტანფილიძე** გ. აბრეღ ივანეს-ძე (1857—1928 წ.წ.), ოდესის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ყოფილი პროფესორი. მისი ძირითადი შრომები ეხებოდა სტეპების, ჯაბების და ტყეების შესწავლას მათ განაპირა ადგილებში, სტეპებსა და ტუნდრებში უტყეობის მიზეზებს. ტანფილიძეს ეკუთვნის ძვირფასი შრომები ბოტანიკაში, გეობოტანიკაში, ფიტოგეოგრაფიასა და გეოგრაფიაში; მისი მთავარი თხზულებებია: 1) „რუსეთისა და უკრაინის გეოგრაფია“ (ოთხ ნაწილად; 1916—1927 წ.წ.) და 2) „მთავარი კულტურული მცენარეულობის გეოგრაფიისა და ისტორიის ნარკვევები“ (ოდესა, 1923 წ.). გარდა ამისა, მის კალამს ეკუთვნის საინტერესო სტატიები გეობოტანიკაში, სსრკ-ის სხვადასხვა ნაწილის, კერძოდ დასავლეთ საქართველოს, ფიტოგეოგრაფიაში (იბ., მაგ., მისი სტატია „კავკასიის შავი ზღვის საპაპიროს უმთავრესი რაიონების მიმოხილვა“ კრებულში „Современные вопросы сел. хозяйства“, რომელიც გამოვიდა პროფ. ივანე ალექსანდრეს-ძე სტებუტის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ს.-პ. 1904 წ., გვ. 121—172).

**ტასმანი**, აბელი (1603—1659 წ.წ.), ჰოლანდიელი მეზღვაური. 1642 წ. ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტასმანი, გაემგზავრა სამხრეთის დიდი კონტინენტის (როგორც მაშინ ვარაუდობდნენ)—ავსტრალიის საძებრად. ამ მოგზაურობის დროს ტასმანმა აღმოაჩინა

კუნძული, რომელსაც მან უწოდა ვან-დიმენის მიწა (ოსტ-ინდოეთში ჰოლანდიის გუბერნატორ ვან-დიმენის პატივსაცემად); შემდეგ ამ კუნძულს დაერქვა ტასმანიის კუნძული; იმავე 1642 წლის ბოლოს ტასმანმა აღმოაჩინა კუნძული — „შტატების მიწა“ (ახლანდელი „ახალი-ზელანდია“); ხოლო 1643 წ. — ტონგას, ფიჯის და ბისმარკის კუნძულები. თავისი მეორე მოგზაურობის დროს 1644 წ. ტასმანმა გამოიკვლია ავსტრალიის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი სანაპიროები.

**ტილო**, ალექსი ანდრიას-ძე (1839—1899 წ.), რუსი ცნობილი გეოდეზიტი—კარტოგრაფი, რომელსაც ეკუთვნის თავისი სიზუსტით და მეცნიერული ღირებულებით პირველი და ჩინებული ევროპული რუსეთის ჰიპსომეტრული რუკა. 1874 წ. მან წარმატებით შეასრულა გეომეტრიული ნიველირება კასპიისა და არალის ზღვეზს შორის; შემდეგ მან გამოაქვეყნა „რკინიგზების (1884 წ.), სავდინარო გზების (1892 წ.), შარავზების ნიველირებათა ჯუშლი, ევროპული რუსეთის მდინარეთა სივრცისა და ვარდნილობის 60 ვერსიანი რუკა (1888 წ.). ამ მონაცემთა საფუძველზე, რომელიც მოიცავდა 51.385 სიმაღლის წერტილებს, ტილომ შეადგინა 1889 წ. ევროპული რუსეთის 60 ვერსიანი მასშტაბის ჰიპსომეტრული რუკა; ჩრდილოეთით ის აღწევს 60°-მდე; 200 საჯენიანი სიმაღლეებისათვის იზოჰიპსები გაყვანილია ყოველ 20 საჯენას შემდეგ, დიდი სიმაღლეებისათვის—ყოველ 50 საჯენის შემდეგ. 1897 წ. მან გამოსცა ევროპული რუსეთის სამხრეთი ნაწილის ჰიპსომეტრული რუკა“ (პროფ. ლ. ს. ბერგი). გარდა ამისა, ტილომ გამოსცა შემდეგი შრომები: 1) „ატმოსფერული წნევის განაწილება რუსეთის იმპერიის სივრცეზე და აზიის კონტინენტზე 1836—1885 წ.წ.

დაკვირვებათა მიხედვით“; 2) „დედამიწის მაგნეტიზმი ორენბურგის წხარეში“; 3) „ევროპული რუსეთის მდინარეების აუზებში ატმოსფერული ნალექების განაწილების ატლასი“ და სხვ.

**ტოსკანელი, პაოლო** (1397—1482 წ.წ.), იტალიელი მეცნიერი, ჰუმანისტი, ასტრონომი და გეოგრაფი; ის იყო ქრისტიანული კოლუმბის ერთ-ერთი იდეური აღმადგენელი, კოლუმბი თავისი ექსპედიციის დროს ტოსკანელის მიერ შედგენილი რუკით სარგებლობდა. ჯერ კიდევ 1474 წელს პორტუგალიის მეფემ ალფონს V მიმართა თხოვნით ტოსკანელს ეჩვენებინა უფრო მოკლე გზა ინდოეთისაკენ, ვიდრე ის, რომელსაც ეძებდნენ პორტუგალიელი ნეზღვაურები აფრიკის ირგვლივ. ტოსკანელმა გაუგზავნა პორტუგალიის მეფეს წერილი და რუკა, რომელზედაც გამოსახული იყო ატლანტის ოკეანე; თანაც ევროპა იყო მოთავსებული ამ ოკეანის აღმოსავლეთით, ხოლო ჩინეთი იქვე მასთან დასავლეთით. ტოსკანელმა იცოდა დედამიწის სფერულობა, როგორც ეს ჩანს მისი წერილიდან. ალფონს V მიმართ, შავრამ ამერიკის არსებობას არ ვარაუდობდა. მას ეგონა, რომ ესპანეთიდან და პორტუგალიიდან პირდაპირ შეიძლებოდა ზღვით მისვლა აზიამდე; მის რუკაზე იაპონია უშუალოდ ესაზღვრებოდა ატლანტის ოკეანის კუნძულებს. ტოსკანელის რუკამ და მისმა წერილმა კოლუმბი საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ, ატლანტის ოკეანით თუ იმგზავრებ დასავლეთის მიმართულებით, უფრო ადრე მიაღწევ აზიის აღმოსავლეთ ნაპირებს, ვიდრე იმოგზაურო ზღვით აფრიკის ირგვლივ.

**ბუჩინი, ეოზეფი** (1656—1708 წ.წ.), ბოტანიკის პროფესორი, მუშაობდა პარიზის ბოტანიკურ



ბალში; 1700—1702 წ.წ. მან მოახდინა მოგზაურობა  
მცირე აზიაში, სომხეთსა და ირანში. მთა.არარატის  
რაიონში წარმოებულ განოკვლევათა დროს ტურნეფორ-  
მა პირველმა დაადგინა კლიმატის ვერტიკალური ზონა-  
ლობის ფაქტი.

---

## უ

შოლში, აღწერდ რუსელი (1823—1913 წ.წ.), ინ-  
გლისელი დიდი ნატურალისტი და მოგზაური, ღარიბი  
მოკლეს შვილი; დაწყებითი სკოლის დამთავრების შემ-  
დეგ ცხოვრობდა საკუთარი შრომით; მუშაობდა მიწის  
მზონელად, საათის ხელოსნის შეჯირლად, არქიტექტო-  
რის თანამშემწედ (თავის ძმასთან) და, ბოლოს, ინგლი-  
სური ენის მასწავლებლად დაწყებით სკოლაში—ჯერ  
ლესტრეში (1844 წ.), ხოლო შემდეგ უელსში (1846 წ.).  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებისადმი ინტერესი ადრე  
აღებრა უოდესს; ამ ნიადაგზე ის დაუახლოვდა ლესტრის  
სკოლაში ახალგაზრდა მასწავლებელს ჰენრი ბეტსს (შემ-  
დეგში ავტორს ცნობილი წიგნისა „ნათურალისტი ამა-  
ზონზე“). ისინი ახდენდენ ექსკურსიებს ერთად ქალაქის  
მიდამოებში, ორივე ახალგაზრდა ენთუზიასტები ოცნე-  
ბობდნენ უფრო შორეულ მოგზაურობაზე, სახელდობრ  
ბრაზილიაში მოგზაურობაზე, რომელიც მაშინ ენტომო-  
ლოგებისათვის და ბოტანიკოსებისათვის აღთქმის ქვეყა-  
ნას წარმოადგენდა. ახალგაზრდა მეგობრებმა შეაგროვეს  
ფული და 1848 წ. იალქნიანი ხომალდით გაემგზავრენ  
ქ. პარაში (ბრაზილია). ბეტსი და უოლესი ზეიდნენ  
ამაზონის შესართავთან და პირველი ორი წლის განმავ-  
ლობაში მოგზაურობდნენ მდინარის ზემო დინებისაკენ  
იმ ადგილამდე, სადაც ამაზონს ერთვის მისი მარცხენა  
შემდინარე რიო-ნეგრო ქ. მანაოსის ახლოს. აქ მეგობ-  
რები დასცილდნენ ერთმანეთს; ბეტსი უნდა მისულიყო

ამაზონის სათავეებამდე, ხოლო უოლესს უნდა განო-  
 ეულია რიო-ნეგროს დინება. უოლესის წარმატებითი და-  
 მოუკიდებელი მუშაობა გრძელდებოდა ორ წელიწადს  
 (1852 წლამდე); მან მოასწრო გაეგზავნა ინგლისში მის  
 ნიერ შეგროვილი მცენარეების მდიდარი კოლექციების ნა-  
 წილი. ამაზონის მეტად არახელსაყრელი კლიმატური პი-  
 რობების გამო (ყვითელი ციებ-ციხელება), უოლესი გახდა  
 ავად მძიმედ და დაბრუნდა ინგლისში. გზაზე იმ გემს,  
 რომლითაც ის მოგზაურობდა, ცეცხლი წაეკიდა და ჩაი-  
 ძირა. უოლესი გადაარჩა, მაგრამ მთელი მისი კოლექციე-  
 ბი და ძვირფასი დღიურები დაიღუპა. მოგზაურობიდან  
 დაბრუნების ერთი წლის შემდეგ, უოლესი ბექდავს  
 ბროშურას „ამაზონის პალმებისა და მათი მნიშვნელობის  
 შესახებ“; ამავდროულად ის ბექდავს თავის მოგზაურო-  
 ბის აღწერას ამაზონსა და რიო-ნეგროზე. უოლესი, რო-  
 მელიც პირველ მოგზაურობაში წაეიდა როგორც მოხა-  
 ლისე — თვითნასწავლი, იქიდან, ოთხი წლის შემდეგ, და-  
 ბრუნდა უკვე მონწიფებული მეცნიერი. გამოუჯანმრთელების  
 შემდეგ მან შეინუშავა ახალი მოგზაურობის გეგმა მაშინ  
 მცირედ გამოკვლეულ მალაის არქიპელაგის კუნძულებზე.  
 ამ წამოწყების განხორციელებაში უოლესს დიდი დახმა-  
 რება გაუწია ახალგაზრდა ენერგიულმა მეცნიერმა ცნო-  
 ბილმა პროფესორმა ტომას ჰეკსლიმ, რომელმაც მოუ-  
 ხერხა მას მთავრობისაგან დახმარება; გარდა ამისა,  
 უოლესს ფულადი დახმარება გაუწია მდიდარმა კოლექ-  
 ციონერმა ვილიამ საუნდერსმა.

1854 წ. უოლესი გაემგზავრა ოკეანეთში და მა-  
 ლაის კუნძულებზე, საიდანაც 8 წლის შემდეგ დაბრუნდა  
 ცნობილ მეცნიერად. თავის მოგზაურობათა პერიოდში  
 მან გაიარა 14.000 ინგლისური მილი, შეაგროვა დიდი  
 რაოდენობით ძუძუმწოვარ ცხოველთა, ფრინველთა, ქვე-

წარმავალთა, მოლუსკების, პეპლების, ხოჭოების და სხვა მწერების კოლექციები. შეგროვილი მასალების დამუშავებაზე უოლესმა დახარჯა თითქმის ექვსი წელი; მან გამოაქვეყნა ოცდაათი ცალკეული მეცნიერულ-კვლევითი ხასიათის სტატია, ხოლო 1868 წ. გამოსცა ისეთი შესანიშნავი შრომა, რომელიც მოგზაურობის დროს მოპოებული უმთავრესი ფაქტებისა და ზოგადი დასკვნების დაჯამებას წარმოადგენს; ამ შრომას ეწოდება: „მალაის არქიპელაგი, ორანგუტანგისა და სამოთხის ფრინველის ქვეყანა“. ამ წიგნმა ბრწყინვალე წარმატება მოიპოვა, ინგლისში 10-ჯერ გამოიცა; გადაითარგმნა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე (რუსულად გადაითარგმნა 1872 წ.). უოლესი ამ შრომისათვის დაჯილდოებული იქნა სამეფო საზოგადოების ოქროს მედლით (Royal medal) და პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების ოქროს მედლით.

გარდა დასახელებული შრომისა, უოლესს ეკუთვნის კიდევ შემდეგი საინტერესო შრომები: 1) „ტროპიკული ბუნება“ (1878 წ.), 2) „ავსტრალაზია“ (მეორე გამოცემა 1893 წ.) და 3) განსაკუთრებულად ნიჭიერად დაწერილი წიგნი „საუცხოო საუკუნე, მისი მიღწევები და შეცდომები“ (1898 წ.).

დასასრულ აღსანიშნავია, რომ უოლესმა, ჩარლზ დარვინისაგან დამოუკიდებლად, შეიცნო იდეა ევოლუციისა ბუნებრივი შერჩევის გზით.

---

## ფ

**ფედჩენკო**, ალექსი პავლეს-ძე (1844--1873 წ.წ.), ზოოლოგი და მოგზაური; მუშაობდა არა მარტო თავის სპეციალობაში, არამედ აგრეთვე ბოტანიკის, ანთროპოლოგიისა და გეოგრაფიის დარგშიაც. 1868—1871 წ.წ. ის გაემგზავრა თურქესტანში, სადაც მან გამოიკვლია „მშიერი სტეპი“ (ბეტ-პაკ-დალა), „ზერეფშანის ხეობის შუა ნაწილი და მის ახლოს მდებარე მთები, ტბა ისკანდერ-ყული, აღმოსავლეთი ყიზილ-ყუმი და, ბოლოს, მიაღწია რა კოკანდის საყაენოს, ინახულა ალაის ქედი და ალაის ხეობა და აღმოაჩინა იმიერ-ალაის ქედი...“ (ლ. ს. ბერგი). 1873 წ. ფედჩენკო აღპური მყინვარების შესასწავლად მოგზაურობდა შვეიცარიაში, სადაც მყინვარ კოლ-დე-ჟეანზე ასვლის დროს დაიღუპა. თავისი მოგზაურობანი ა. პ. ფედჩენკომ აღწერა შემდეგს შრომებში: 1) „მოგზაურობა თურქესტანში“ და 2) „კოკანდის საყაენოში“ (1875 წ.).

**ფოკელი**, ფრანსუა-ალფონსი (1841—1912 წ.წ.), ლიმნოლოგიის (ტბათამცოდნეობის) ფუძემდებელი, მედიცინის დოქტორი, ანატომიისა და ფიზიოლოგიის პროფესორი ლოზანის აკადემიაში. მას ეკუთვნის მთელი რიგი შესანიშნავი შრომებისა მტკნარი ტბების ფაუნისა და ფლორის შესახებ, განსაკუთრებით ჟენევის ტბის; გარდა ამისა, მას აქვს ძვირფასი შრომები მყინვარების ბუნებისა და ისტორიის შესახებ და აგრეთვე მიწისძვრების

შესახებ. ფორელის კლასიკურ შრომებად ლიმნოლოგიაში ითვლება: 1) „ტბა ლემანი (ჟენევის)“ (ოთხ ტომად; ლონანა; 1892—1902 წ.: ფრანგულ ენაზე); 2) „მოკავდი ლიმნოლოგია“, გერმანულ ენაზე, შტუტგარტი; 1901 წ.).

დავანაშვილი, ვლადიმერ (1786—1847 წ.წ.), ინგლისელი ცნობილი პოლარული მკვლევარი და მოგზაური; სოაწყოს სანი ექსპედიცია ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელის აღმოსაჩენად და ამერიკის კონტინენტის ჩრდილო სანაპიროებს ეამოსაკვლევად. პირველ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ბუხანი, რომელმაც ერთად ფრანკლინმა მიაღწია ჩ. ს. 80°-ს. შემდეგი მოგზაურობა გენიო შიუძლებელი იყო უშველებელი ყინულის მინდვრების გამო და ექსპედიცია დაბრუნდა უკან. მეორე ექსპედიციას ფრანკლინი შეუდგა „უელსის პრინცის“ ხომალდზე ჰუდსონის ყურეში, საიდანაც მშრალი გზით გაემგზავრა ჩრდილოეთით, რათა გამოეკვლია ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ნაპირები. ეს მოგზაურობა ხდებოდა ჩრდილო ამერიკის სრულიად დაუსახლებელ და უცნობ ადგილებში. ფრანკლინს ეს მოგზაურობა კინადამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა; ბევრი მისი თანამშრომელი დაიღუპა. პირველმა ორმა მოგზაურობამ ფრანკლინს სახელი მოუხვეჭა მსოფლიოში. მეორე ექსპედიციის შედეგები ძალიან დიდი იყო. ფრანკლინმა გამოიკვლია ჩრდილო ამერიკის ჩრდილო სანაპირო ხაზი 5.500 კმ მანძილზე. ამ ექსპედიციის შემდეგ გაბედული მოგზაური დანიშნული იყო კუნძულ ტასმანიის გუბერნ ტორად.

1845 წ. ინგლისის მთავრობამ ხელახლა გადაწყვიტა გაეგზავნა ახალი ექსპედიცია ამერიკის კონტინენტის იმავე ჩრდილო სანაპიროებისაკენ. გაიგო რა ფრანკლინმა ამის შესახებ, მთავრობას განუცხადა ექსპედიციაში

მონაწილეობის სურვილი. ის დანიშნეს ამ ექსპედიციის უფროსად. ფრანკლინი და მისი გაბედული თანამგზავრნი გაემგზავრენ ორი ხომალდით „ერებუსი“ და „ტერორი“, რომლებიც ახალი დაბრუნებული იყვნენ ჯემს როსის ხელმძღვანელობით მოწყობილ სამხრეთ პოლარულ ქვეყნების ექსპედიციიდან.

ფრანკლინის ექსპედიცია კარგად იყო უზრუნველყოფილი ყველა აუცილებელით, რაც საჭირო იყო ძნელი მოგზაურობისათვის. გავიდა სამი წელი, ამ ექსპედიციის შესახებ არ იყო არავითარი ცნობა. ინგლისის მთავრობამ და ფრანკლინის მეუღლემ მოაწყეს მთელი რიგი ექსპედიციები ფრანკლინისა და მის თანამგზავრთა საძებრად; მაგრამ ყველაფერი ამოი იყო. ფრანკლინის ექსპედიცია ვერ იპოვეს. ეს ძებნა გაგრძელდა 1878 წლამდე. ფრანკლინი და ხომალდების „ერებუს“-ის და „ტერორ“-ის მთელი შემადგენლობა 138 კაცი დაიღუპა ჩრდილოეთის ყინულოვან უდაბნოებში.

ზოგი დაღუპულის ნეშტი და მათი თითო-ოროლა ნივთი ნაპოვნი იქნა მეფე ვილჰელმის მიწის სხვადასხვა რაიონში.

**ფრეზილი, დუგლას ვილიამი (1845—1934 წ.წ.),** ცნობილი ინგლისელი გეოგრაფი, მოგზაური და ალპინისტი; ლონდონის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების ყოფილი პრეზიდენტი; იგი ერთი პირველთაგანი იყო ევროპელთა შორის, რომელმაც მოახდინა პირველი ასვლა მაღალმთიანი რაიონების მწვერვალებზე. 90-იანი წლების ბოლოს ფრეზილი შეუდგა ჰიმალაის ქედის ალპური ზონის შესწავლას; ფრეზილი ავიდა კავკასიონის ქედის უმაღლეს და ძნელად მისადგომ მწვერვალებზე, როგორცაა იალბუზი, მყინვარწვერი (ყაზბეგი), შხარა და თეთნულდი.

ფრეშფილდის კალამს ეკუთვნის შემდეგი შრომები ინგლისურ ენაზე: 1) „მოგზაურობა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილში“ (ლონდონი, 1869 წ.); 2) „იტალიის ალპები“ (1875 წ.); 3) „კავკასიონის გამოკვლევა“, ორ ტომად (1896 წ.) და სხვ. 1927 წელს დუგლას ვილიამ ფრეშფილდი საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ თავის საპატიო წევრად აირჩია მისი დიდი დამსახურების გამო კავკასიონის გამოკვლევის დარგში.

---



## ჟ

**შაპრაიშვილი**, ბესარიონ ივანეს-ძე (დაბ. 1895 წ.),  
 ცნობილი გეოგრაფი-ჰიდროლოგი; გეოგრაფიულ მეცნი-  
 ერებათა დოქტორი; პროფესორი და ჰიდრო-კლიმატო-  
 ლოგიური კათედრის გამგე სტალინის სახელობის  
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; 1917 წელს  
 დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატი-  
 კის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება  
 „ფიზიკური გეოგრაფიის“ სპეციალობაზე. 1917 წლიდან  
 1927 წლამდე მუშაობდა პედაგოგიურ სარბიელზე თბი-  
 ლისის სხვადასხვა სასწავლებელში. 1918—1920 წლებში  
 იყო ასისტენტი ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე ჯერ  
 თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და შემდეგ თბი-  
 ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მუშაობდა  
 პროფ. ა. ნ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. 1930 წ.  
 არჩეულ იქნა დოცენტად, ხოლო 1935 წ. პროფესორად  
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1928 წლიდან  
 პროფ. ყავრიშვილი მუშაობდა 1-ლი თანრიგის მეცნიე-  
 რულ მუშაკად ამიერ-კავკასიის წყლის კადასტრის ბიუ-  
 როში. 1929 წელს და 1930 წელს ხელმძღვანელობდა  
 კომპლექსურ ჰიდროლოგიურ ექსპედიციას მდ. მდ. ქცია-  
 ხრამისა და მტკვრის აუზებში. 1930 წლიდან დღემდე  
 კითხულობს ჰიდროლოგიის კურსს, განაგებს მის მიერვე  
 მოწყობილ ჰიდროლოგიის კაბინეტს და ხელმძღვანელობს  
 ასპირანტთა მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერ-  
 სიტეტში. რამდენიმე წლის განმავლობაში პროფ. ყავრი-

შეილი მუშაობდა აგრეთვე ამიერკავკასიის ჰიდრო-მეტე-  
ოროლოგიურ ინსტიტუტში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის  
ამიერ-კავკასიის ფილიალში და კითხულობდა ლექციებს  
თავის სპეციალობაში, უნივერსიტეტის გარდა, საქართვე-  
ლოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში (ქუთაისის და  
სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში და სხვ.).

პროფ. ყაერიშვილის კალამს ეკუთვნის (ქართულ  
და რუსულ ენებზე) 24 სერიოზული სამეცნიერო შრომა,  
სამი სახელმძღვანელო და დამხმარე წიგნები და ბევრი  
მეცნიერულ-პოპულარული შრომა. მის შრომათაგან და-  
ვასახელოთ მხოლოდ რამდენიმე: 1) „კაპიტალური ცნო-  
ბარი ამიერკავკასიის წყალთა რესურსებზე“ შედგენილი  
მისი მონაწილეობით და მისი რედაქციით (სახელმწიფო  
ჰიდრ. ინსტიტუტის გამოცემა, ლ. 1935 წ.); 2) „საქარ-  
თველოს ლანდშაფტურ-ჰიდროლოგიური ზონები“ (რუსკით).  
—სადოქტორო დისერტაცია, იბეჭდება; 3) „მდ. ქცია-ხრა-  
მის აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიული აღწერა“, 1931 წ.;  
4) „ჯავახეთის გეომორფოლოგიისა და ჰიდროლოგიისა-  
თვის“ (კრებულში „Джарвахе́тия“, სსრკ მეცნ. აკად.  
ი/კ ფილიალის გამოცემა, თბ. 1930 წ.); 5) ამიერკავ-  
კასიის ჰიდროლოგიისა და წყალთა მეურნეობის საკით-  
ხებზე ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი (შე-  
დგენილია რინენბერგთან ერთად, ხელნაწერია); 6) კახე-  
თის ღვარცოფები (სტატია „თბ. სახ. უნივ. შრომებში“,  
ტ. IV, 1936 წ.); 7) „ჰიდროლოგია საქ. სსრ-ში საბჭო-  
თა ხელისუფლების 20 წლის თავზე“ (იბეჭდება); 8)  
„სამხრეთ ოსეთის მალალმთიანი ზონის თავისებურებანი“  
(ხელნაწერი); 9) „მდ. არეზის აუზის ჰიდროგრაფია“  
(ხელნაწერი); 10) „მდინარეთა ჰიდროლოგიის კურსი“  
(პოტამოლოგია), თბ. 1932 წ. და სხვ.

ამის გარდა უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ბ. ი. ჯაფარიშვილი მუშაობდა და მუშაობს საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანიც არის იგი; საზოგადოების დაარსების დღიდან (1924 წ.) 1931 წლამდე ის იყო საზოგადოების სწავლული მდივანი, 1931 წლიდან ის არის პრეზიდიუმის წევრი, საზ-ბის ერთ-ერთი სამეცნიერო განყოფილების გამგე და საზოგადოების გამოცემათა სარედაქციო კოლეჯის წევრი.

---

## შ

**შარდენი**, ჟანი (ივანე) (1643—1713 წ.წ.), ცნობილი მოგზაური, ფრანგი ჰუგენოტი, ძვირფასი თვლებით მოვაჭრე. 1664 წ. ლიონის ვაჭარ რეზენთან (Raisin) ერთად იყო აღმოსავლეთში და მოგვეცა ამიერკავკასიის, ირანის და წინა აზიის სხვა რაიონების საინტერესო აღწერა. შარდენმა იცხოვრა რამოდენიმე წელი ქალაქ ისფაჰანში, სადაც მან შეისწავლა სპარსული ენა. სარგებლობდა რა შაჰის ნდობით, მას ჰქონდა შესაძლებლობა ემოგზაურნა ირანის სხვადასხვა ნაწილებში. 1671 წ. მან მოახდინა მეორე მოგზაურობა შემდეგი მარშრუტით: მილანი—ვენეცია—ფლორენცია—ლივორნო—სმირნა—კონსტანტინეპოლი—შავი ზღვა (ყირიმი, აზოვი და სამეგრელო). 1672 წ. შარდენი მოსავლელი გზით გაემგზავრა შემდეგი მარშრუტით: გონია—ახალციხე—აწყური—გორი; შემდეგ იგი ისევ მობრუნდა თბილისში და გაემგზავრა სომხეთში და ირანში; ამ გზით მან ინახულა დელიჯანი, ერევანი, ნახჭევანი, ჯულფა, მარანდი, თავრიზი, ყაზვინი, კუმი, კაშანი და ისფაჰანი; აქ იგი ჩავიდა 1673 წელს. შარდენის ასეთი მარშრუტები აიხსნება იმით, რომ ამიერკავკასიაში ის მოხვდა პოლიტიკური არეულობის პერიოდში. საქმე ისაა, რომ დასავლეთ საქართველოში ამ დროს ბრძოლა სწარმოებდა იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს მთავრებს შორის. ამ შუღლით ისარგებლა ი.ურჩქეთმა და ჩაერია დასავლეთ-საქართველოს საქმეებში, „შარდენმა ბევრი გადაიტანა ომიანობის დროის მძიმე

პირობების გამო და მატერიალურადაც დაზარალდა. მისი მთავარი მიზანი იყო გადაერჩინა თავისი განძეული და მშვიდლობიანად დაეღწია თავი ამ მხარისაგან, რომელიც მას მასპინძლურად ვერ დაუხვდა“ (პროფ. მ. ა. პოლიევქტოვი). ევროპაში დაბრუნებისას შარდენმა აღწერა თავისი მოგზაურობა და განსაცდელი შექმნა წიგნში: „მოგზაურობა სპარსეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“. ეს შრომა შედგება ათი ნაწილისაგან: „პირველ ნაწილში აღწერილია გზა პარიზიდან სამეგრელომდე; მეორე ნაწილში მოცემულია სამეგრელოსი და საქართველოს სხვა ნაწილების, ამიერკავკასიის და ირანის ჩრდილო რაიონების დახასიათება; მესამე ნაწილში შარდენი აღწერს გზას თავრიზიდან ისფაჰანამდე; მეოთხე ნაწილი წარმოადგენს მაშინდელი ირანის საერთო აღწერას; მეხუთეში ავტორი ლაპარაკობს მეცნიერებისა და ხელოვნების მდგომარეობის შესახებ ირანში; მეექვსეში—სახელმწიფოებრივ, სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის შესახებ ირანში; მეშვიდეში—მოცემულია ირანის მოსახლეობის რელიგიის დახასიათება; მერვე და მეცხრე ნაწილებში მოთხრობილია ისფაჰანის შესახებ და შარდენის მოგზაურობის შესახებ 1674 წ. ისფაჰანიდან ბენდერ-აბასში; აქვე მოცემულია პერსეპოლის აღწერა; მეთექვსმეტი ნაწილი შეიცავს შარდენის მეორე მოგზაურობას იმავე 1674 წ. ბენდერ-აბასში; ამავე ნაწილშია მოცემული საინტერესო ცნობები სპარსეთის შაჰინ-შაჰის კარის ცხოვრების შესახებ და ევროპელების ბრძოლის შესახებ ურთიერთშორის ინდოეთისა და სხვა შორეულ აღმოსავლეთის რაიონების ხელში ჩაგდებისათვის. პროფ. პოლიევქტოვის სამართლიანი შენიშვნით, „შარდენის მოგზაურობის“ მეორე ნაწილი—მისი შრომის ყველაზე სუსტი ნაწილია; ამ ნაწილით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ დიდი სიტერთხილით“.

**შელეხოვი** (იგივე **შელიხოვი**), გრიგოლ ივანეს-ძე (1747—1795 წ.წ.), არაჩვეულებრივი ენერგიის მქონე „რუსეთის კოლუმბი“ (ასე უწოდა მას პოეტმა—გაბრიელ რომანის-ძე დერჟავინმა); მოგზაური და მრეწველი; დაიბადა ქალაქ რილსკში (კურსკის ოლქი); რუსეთის კოლონიების დამაარსებელი შემდეგ კუნძულებზე: ალუტის, კადიაკის, უნალაშკას, აფოგნაკის, ალასკაზე და სხვ. შელეხოვის უშუალო ხელმძღვანელობით პირველად იქნა გამოკვლეული ჩრდილო ამერიკის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილები. შელეხოვას მოღვაწეობის შესახებ ცნობები მოიპოვება შემდეგ წიგნებში: 1) გრ. ი. შელიხოვი „რუსეთის ვაჭრის, რილსკის სახელოვანი მოქალაქის პირველი მოგზაურობა 1783—87 წ.წ. ოხოტსკიდან აღმოსავლეთის ოკეანით ამერიკის სანაპიროებისაკენ და მისი დაბრუნება რუსეთში“ (პეტერბურგი; 1793 წ.); 2) მისივე „...მოგზაურობის გაგრძელება აღმოსავლეთის ოკეანით ამერიკის სანაპიროებისაკენ 1788 წელს (პეტერბურგი; 1792 წ.). ორივე ეს წიგნი შემდეგ შევსებული იყო და ხელახლა გამოცემული პეტერბურგში 1812 წ. ორ ნაწილად სათაურით: „გ. შელიხოვის მოგზაურობა 1783 წლიდან 1790 წლამდე ოხოტსკიდან აღმოსავლეთის ოკეანით ამერიკის სანაპიროებისაკენ და მისი დაბრუნება რუსეთში“.

**შოქალსკი**, იული მიხეილის-ძე (1856—1940 წ.წ.), აკადემიკოსი, რუსეთის უდიდესი ოკეანოგრაფი და გეოგრაფი, თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო 1880 წლიდან მთავარ ჰიდროგრაფიულ სამმართველოში; მან იმთავითვე აირჩია თავისი სამოღვაწეო სარბიელად გეოგრაფიული მეცნიერება; მთავარ ყურადღებას უთმობდა მეტეოროლოგიას, ჰიდროლოგიას (ოკეანოგრაფიას, ლიმ-

ნოლოგიას) და კარტოგრაფიას. ცნობილ გეოდეზისტ და კარტოგრაფ ტილოსთან ერთად შეადგინა და გამოსცა შრომა აზიური რუსეთის ზედაპირის გამოთვლისათვის ასვერსიანი რუკით, გამოაქვეყნა ევროპული რუსეთის სარკინიგზო ნიველირებათა ჯუშული. ი. მ. შოკალსკის მიერ დაწერილია 450-ზე მეტი მეცნიერული შრომა, მათ შორის: 1) „ოკეანოგრაფია“ (პირველად რუსულ ენაზე მსოფლიო ოკეანის მონოგრაფიული აღწერა); 1917 წ.; ეს შრომა დაჯილდოებული იქნა სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1919 წ. და პარიზის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1923 წ.; 2) „ფიზიკური ოკეანოგრაფია“ (1933 წ.; 3) სსრკ-ის აზიური ნაწილის მდინარეთა სიგრძე და რუკების მიხედვით მდინარეთა სიგრძის გაზომვის ხერხი; შოკალსკის რედაქციით გამოვიდა „ა. ფ. მარქსის დიდი სამაგიდო გეოგრაფიული ატლასის“ მეორე გამოცემა. საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერებამ ღირსეულად დააფასა ი. მ. შოკალსკის დამსახურება; დედამიწის ორი ვენახევარსფეროზე მისი სახელი ეწოდა მთელ რიგ კუნძულებს, სრუტეებს, მყინვარებს, მთის მწვერვალებს (პიკებს) და ზღვის დინებებს.

---

## ჩ

ჩიხაჩივი, პეტრე ალექსანდრეს-ძე (1808—1890 წ.წ.), რუსეთის გამოჩენილი მეცნიერი, მოგზაური, მცირე აზიისა და პალესტინის მკვლევარი. თავისი პირველი მოგზაურობა მან მოახდინა ესპანეთში, ალჟირსა და იტალიაში, სადაც მან გამოიკვლია ჯერ კალაბრიის მთების აგებულება, ხოლო შემდეგ სიცილიის მთები და ზღვისპირა ალპები; მოგზაურობა და გამოკვლევის შედეგები მან აღწერა თავის სპეციალურ შრომაში, რომელიც გამოვიდა ფრანგულ ენაზე, ავტორმა ფრანგული ენა ძალიან კარგად იცოდა. 1840 წელს ჩიხაჩივი გაემგზავრა ალტაიზე; გაეცნო მცირედ შესწავლილ ოლქებს, რომელიც მანამდე არცერთ ევროპელს არ ენახა, და ბევრი რამ აღმოაჩინა; ეს მისი მოგზაურობა აღწერილია წიგნში: „მოგზაურობა აღმოსავლეთ ალტაიზე“ (1844 წ.; ფრანგულ ენაზე).

1848 წ. ჩიხაჩივი გაემგზავრა სირიაში, საიდანაც მან დაიწყო თავისი შესანიშნავი მოგზაურობა მცირე აზიაში, რომელიც გაგრძელდა შესვენებებით 15 წელიწადს. ამ მოგზაურობის შედეგები მან მოგვცა რვატომიანი თხზულებაში ფრანგულ ენაზე, რომელიც დღემდე ითვლება მცირე აზიის კლასიკურ გამოკვლევად. ამ შრომაში ავტორი იძლევა „დაწვრილებითი ცნობებს მცირე აზიის გეოლოგიაში, ფიზიკურ გეოგრაფიაში, ბოტანიკაში, ზოოლოგიაში, პალეონტოლოგიასა და არქეოლოგიაში“. ჩიხაჩივი გარდაიცვალა მის საყვარელ ქალაქ პარიზში.



მან მნიშვნელოვანი კაპიტალი დაუტოვა პარიზის მეცნიერებათა აკადემიას მცირე აზიის მეცნიერული გამოკვლევის წასახალისებლად. იმის გამო, რომ ჩიხაჩევის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი შრომები დაწერილია ფრანგულ ენაზე, მათ მეტად მცირედ იცნობს რუსი მკითხველი.

---

ბ

ხანიკოვი, ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე (1822—1878 წ.-წ.), რუსეთის ცნობილი აღმოსავლეთ ქვეყნების მცოდნე, გეოგრაფი და ეთნოგრაფი. 1841 წ. ის მონაწილეობდა ბუტენევის საელჩოში ბუხარაში. 1843 წ. მან გამოაქვეყნა შრომა შემდეგი სათაურით— „ბუხარის სახანოს აღწერა“; ეს თხზულება გადათარგმნილ იქნა ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. აკადემიკოსი ბარტოლდი ძლიერ აქებს ამ შრომას; აი, რას სწერს იგი: „მისი (ხანიკოვის) წიგნი დღემდე რჩება სახანოს საუკეთესო აღწერად, გარდა მისი აღმოსავლეთის ოლქებისა... ხანიკოვის წიგნის განსაკუთრებული ღირსებანი კიდევ უფრო მეტ განცვიფრებას იწვევს, როცა მოვიგონებთ, რომ ავტორი 19 წლისა იყო მაშინ, როცა ის ბუხარაში იმყოფებოდა, ხოლო 21 წლისა, როცა წიგნი გამოიცა“ (ვ. ბარტოლდი — „აღმოსავლეთის სწესწავლის ისტორია ევროპაში და რუსეთში“, გამოცემა მე-2, ლ. 1925 წ., გვ. 256). 40-იან წლებში ხანიკოვმა მ. ს. ვორონცოვის დროს კავკასიის სამეფისნაცვლოში სამსახურში ყოფნისას, აქტიური მონაწილეობა მიიღო მხარის შესწავლის საქმეში. 50-იან წლებში ის სადიპლომატო სამსახურში იყო ირანში, სადაც 1858—1859 წლებში რამდენიმე მეცნიერული მოგზაურობა შეასრულა ხორასანში. გარდა ზემოაღნიშნული შრომისა „ბუხარის სახანოს აღწერა“, ხანიკოვის უმთავრეს შრომებად ითვლება: 1) „კასპიის ზღვის დონის შენაცვლებითი ცვლილებების შესახებ“

(იხ. „Записки Кавк. Отдела Русск. Географ. Общества“, თბ. 1853 წ., წიგნი II); 2) *Memoires la partie meridionale de l'Asie Centrale* (პარიზი, 1861 წ.); 3) *Memoires sur l'ethnographie de la Perse* (პარიზი, 1866 წ.); ორივე ეს შრომა დაიბეჭდა პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების შრომებში, ამ საზოგადოებაში ხანიკოვს პირველი შრომისათვის დიდი ოქროს მედალი მიუსაჯა; 4) 1874 წ. მან დაბეჭდა თავისი კაპიტალური შრომა „ირანი“ („Землеведение Азии“, К. Риттера). უნდა აღინიშნოს, რომ ხანიკოვის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მთელი რიგი მეტად საინტერესო მონოგრაფიებისა და სტატიებისა ფიზიკურ გეოგრაფიაში, ისტორიაში და აღმოსავლეთის მცოდნეობაში.

---

## ჯ

**ჯავახიშვილი**, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე (დაიბადა გორში 1875 წელს), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ცნობილი გეოგრაფი, ანთროპოლოგი და კარტოგრაფი; 1895 წ., თბილისის მეორე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, რომელიც დამთავრა 1900 წელს. უნივერსიტეტში დატოვების შემდეგ, სადაც ის უნდა მომზადებულიყო მეცნიერული მოღვაწეობისათვის, მაშინვე დაიწყო მეცნიერულ-პედაგოგიური და მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში—ჯერ მოსკოვში, ხოლო შემდეგ 1917 წლიდან თბილისში, 1933 წლიდან ქუთაისში, ბათომში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში.

**პროფ. ჯავახიშვილი** არის მთელი რიგი გეოგრაფიული კათედრების დამაარსებელი და ორგანიზატორი საქართველოსა და აზერბაიჯანის უმაღლეს სასწავლებლებში.

**პროფ. ჯავახიშვილი** არის საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის მეცნიერების ფუძემდებელი.

**პროფ. ჯავახიშვილის** მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის პირველი პერიოდი მიმდინარეობდა ანთროპოლოგიის დარგში; ამ დარგში მას ეკუთვნის 17 დაბეჭდილი

და ხელთნაწერი შრომა, რომელთაგან აღვნიშნავთ შემდეგს: 1) „საქართველოს ანთროპოლოგია“, ტ. I და II; ამ დიდმა შრომამ მაღალი ჯილდო მიიღო „მოსკოვის საბუნებისმეტყველო-ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ საზოგადოებისაგან“; 2) „კავკასიის თანამედროვე მოსახლეობა; შედარებითი ანთროპოლოგიური გამოკვლევა“ (დისერტაცია); ამ შრომიდან ამონაკრები დაბეჭდილი იქნა გერმანულ ენაზე (ჟურნალში „Archiv für Anthropologie“; NF; Bd. XX; H. 2—3, etc, 1923 და „Zeiten und Völker“-ში, 1926 წ.). გარდა ანთროპოლოგიის დარგისა, პროფ. ჯავახიშვილი აწარმოებდა და აწარმოებს ენერგიულ მეცნიერულ-პედაგოგიურ და მეცნიერულ-კვლევითი მუშაობას ფიზიკურ-გეოგრაფიის დარგში (გეომორფოლოგია, კლიმატოლოგია, ჰიდროლოგია და სხვ.); მას ეკუთვნის 40-მდე დაბეჭდილი და ხელთნაწერი შრომები ფიზიკური გეოგრაფიის უმთავრეს ნაწილებში; მათ შორის აღვნიშნავთ:

1) „საქართველოს გეოგრაფია“; ტ. I, გეომორფოლოგია. თბილისი; 1926 წ. (ქართულ ენაზე); 2) „საქართველოს გეოგრაფიული ატლასი“ (ქართულ ენაზე); 3) „გეოგრაფიის მეცნიერება საბჭოთა საქართველოში“ (თ. 1941 წ.; ქართულ ენაზე) და სხვა.

ბევრი რამ გააკეთა პროფ. ჯავახიშვილმა აგრეთვე კარტოგრაფიის განვითარებისათვის საქართველოში; მის მიერ შედგენილია და მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია საქართველოსა და კავკასიის მთელი რიგი მნიშვნელოვანი რუკები. მისი კარტოგრაფიული ნამუშევრების საერთო რიცხვი უდრის 22-ს.

გარდა ამისა, პროფ. ა. ნ. ჯავახიშვილმა დააარსა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან კარტოგრაფიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები.

მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის პროფ. ა. ნ. ჯავახიშვილს აგრეთვე იმაში, რომ მან, როგორც საქართველოს სს რესპუბლიკის უნივერსიტეტთან გეოგრაფიული განყოფილების დამაარსებელმა, მოამზადა მრავალრიცხოვანი კადრი კვალიფიციური გეოგრაფებისა, რომლებიც მუშაობენ საქართველოს სასწავლებლებში და სახელმწიფო დაწესებულებებში. პროფ. ა. ნ. ჯავახიშვილი არის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე, რომლის დაარსების ინიციატორი იყო იგი 1924 წელს.

---

ჰეროდოტე, ანტიკური საბერძნეთის ცნობილი ისტორიკოსი და მოგზაური (ჩვენს ერამდე 484—406 წ.წ.), დაიბადა მცირე აზიაში (ქალაქ ჰალიკარნასში). მან მოახდინა დიდი მოგზაურობა ეგვიპტეში, ლიბიაში, ფინიკიაში, ბაბილონიაში; კირენაში, მაკედონიასა და სკვითიაში (შავი ზღვის ჩრდილო სანაპირო). ამ მოგზაურობის დროს მან შეკრიბა დიდი ისტორიულ-გეოგრაფიული მასალები. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ვეებერთელა სიძნელეებს, რომელთა გადალახვაც უხდებოდათ ანტიკური ხანის მოგზაურებს, ჩვენთვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჰეროდოტეს მოგზაურობას.

თავისი მოგზაურობის დროს ძველი დროის დიდმა მოგზაურმა შესძლო დაენახა და აღენიშნა მრავალი საგულისხმო ფაქტი ფიზიკური გეოგრაფიის დარგში; ასე, მაგ., მან ყურადღება მიაქცია წვიმის ნალექების არასწორ განაწილებას წლის დროთა მიხედვით; ხმელეთისა და წყლის შორის ურთიერთ დამოკიდებულებას; მანვე გამოთქვა იმ დროისთვის უჩვეულო აზრი ატლანტის და ინდოეთის ოკეანეთა ერთიანობის შესახებ. ჰეროდოტემ შეისწავლა შემოვლილი ქვეყნების არა მარტო ფიზიკურ-გეოგრაფიული და გეოლოგიური თავისებურებანი, არამედ მათი ფიტო-გეოგრაფიული და ზოოგეოგრაფიული პირობებიც.

ჰეროდოტე კრიტიკულად უდგება ბევრ მის მიერ მოწოდებულ ცნობებს. მას ექვი ეპარებოდა ზოგი მის

თანადროულობის კოსმოლოგიური თეორიების კეშმარი-  
ტებაში; ასე, მაგალითად, ის სწერს: „სასაცილოა უცქი-  
რო, რომ დედამიწის აღწერის მრავალ შემდგენელს შო-  
რის არცერთმა არ მოგვცა დედამიწის სახეობა აზრია-  
ნად. მათი მოხაზვით ოკეანე გარშემო უვლის დედამიწას,  
თანაც დედამიწა წარმოდგენილია წრისებრივად, თით-  
ქოს ფარგლით გაკეთებული...“ ჰეროდოტეს მიხედვით,  
წარმოდგენა მსოფლიო ოკეანის შესახებ, რომელიც გარს  
უვლის დედამიწას, პოეტების ფანტაზიის ნაყოფია; „მე  
არ ვიცი, სწერს ის, რაიმე მდინარე ოკეანის არსე-  
ბობის შესახებ; მე მგონია, რომ ჰომეროსმა ან სხვა  
რომელიმე წინანდელმა პოეტთაგანმა გამოიგონა ეს სა-  
ხელი...“.

**ჰიტჩინი**, ალფრედი (დაბ. 1859 წ.), გერმანიის  
ცნობილი გეოგრაფი და მოგზაური; სწავლობდა ჰალეში,  
ბონსა და სტრასბურგში. 1881 წ. მან დაიცვა სადოქ-  
ტორო დისერტაცია შემდეგ თემაზე: „ჩილისა და დასავ-  
ლეთ პატაგონიის კლიმატი“. 1882—1884 წ.წ. სამხრეთ  
ამერიკაში მან შეისწავლა კოლუმბიის ანდები; ამ შეს-  
წავლის შედეგს წარმოადგენს მისი შრომა: „მოგზაურობა  
კოლუმბიის ანდებში“. ამის შემდეგ ჰეტნერი ეწევა სამეც-  
ნიერო-კვლევითი მუშაობას საქსონიის შვეიცარიაში.  
სწორედ ამ ხანებში ჰეტნერი ლექციების კითხვას იწყებს  
ლაიპციგის უნივერსიტეტში. 1888—1890 წლების პერი-  
ოდში ჰეტნერმა ხელახლა მოახდინა მოგზაურობა სამ-  
ხრეთ ამერიკაში და ინახულა პერუს სამხრეთი ნაწილი,  
ჩრდილო ბოლივია, სამხრეთი ბრაზილია და ჩილი.  
1894 წ. ის იქნა არჩეული ლაიპციგის უნივერსიტეტის  
ექსტრაორდინარულ პროფესორად; 1897 წელს ის უკვე  
ტიუბინგენის უნივერსიტეტის ორდინარული პროფესორ-

178



რია, ხოლო 1899 წ. ის გადადის ჰაიდელბერგის უნი-  
ვერსიტეტში, სადაც ის მუშაობდა 1928 წლამდე, რო-  
დესაც ის, წელთა დამსახურების გამო, გადადგა სამსახუ-  
რიდან. გერმანიაში განსაკუთრებული ყურადღება მი-  
იპყრო ჰეტნერის მეთოდოლოგიური ხასიათის სტატიებმა.  
თავისი მეთოდოლოგიური შეხედულებანი მან გამოთქვა  
დიდ შრომაში: „გეოგრაფია, მისი ისტორია, არსი და  
მეთოდები“ (არსებობს ამ შრომის რუსული თარგმანი.  
ლ-მ. 1930 წ.). მასვე ეკუთვნის სერიოზული შრომები  
გეომორფოლოგიურ პრობლემებზე და მორფოლოგიური  
კვლევის მეთოდოლოგიის საკითხებზე. ჰეტნერი ბევრს  
მუშაობდა კლიმატოლოგიაში; ამ მუშაობის შედეგად გა-  
მოვიდა მისი ფრიად სასარგებლო შრომა „დედამიწის  
კლიმატები“ (არსებობს ამ შრომის ქართული თარგმანი;  
1936 წ.), სადაც ავტორი იძლევა კლიმატური პროვინციე-  
ბის კანონზომიერი განაწილების სქემას ატმოსფე-  
რის მსოფლიო ცირკულაციის ანალიზის საფუძველზე.  
ჰეტნერს ეკუთვნის აგრეთვე ანთროპოგეოგრაფიული ხა-  
სიათის შრომები, როგორც, მაგ.: „როგორ გავრცელდა  
კულტურა დედამიწის სფეროზე“ (არსებობს რუსული  
თარგმანი; 1925 წ.); ამ მცირე თხზულებაში, რომელიც  
ეხება ისეთ რთულ და სერიოზულ საკითხს, როგორიცაა  
კულტურების ცენტრების გადაადგილების საკითხი, ჰეტ-  
ნერის თვალსაზრისი ისტორიულ პროცესზე არ ხასიათ-  
დება არც სიცხადით და არც გარკვეულობით.

ჰეტნერმა შეადგინა ორიგინალური ორტომიანი  
შრომა ქვეყანათმცოდნეობაში; მის შედგენისას ავტორმა  
გამოიყენა არა მარტო სხვისი ნამუშევარი, არამედ აგ-  
რეთვე თავისი საკუთარი დაკვირვებანი და გამოკვლევა-  
ნი, რომელსაც ის აწარმოებდა მოგზაურობის დროს,  
როგორც ევროპის ქვეყნებში (მან ინახულა რუსეთიც),

ისე ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში, აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში, ჩრდილო აფრიკაში და ა. შ.

როგორც ზემო ნათქვამიდან ჩანს, ჰეტნერმა ბევრი რამ გააკეთა ბურჟუაზიული გეოგრაფიის მეცნიერებისათვის; მისი იდეოლოგია და მეთოდოლოგიური შეხედულებანი თავის საფუძველშივე მცდარია და სავსეა უხეში შეცდომებით. მისი აზრით გეოგრაფია შეისწავლის დედამიწის ზედაპირზე მომხდარ მოვლენათა ერთობლიობას, მათ რიცხვში ადამიანის სამეურნეო საქმიანობასაც; თანაც ის არ ასხვავებს საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებას ბუნების კანონზომიერებისაგან.

„ჰეტნერი ქვეყნისა და ტერიტორიის ეკონომიურ თავისებურებას ხსნის ბუნებრივი პირობებით და საზოგადოებრივ წინააღმდეგობებს ჩქმალავს“. აღსანიშნავია, რომ ა. ჰეტნერი არის ცრუმეცნიერების — „გეოპოლიტიკის“ მომხრე და პოპულარიზატორი; ის, ისე როგორც „გეოპოლიტიკის“ სხვა წარმომადგენლები, ამტკიცებს, რომ გეოპოლიტიკა არის მოძღვრება პოლიტიკურ მოვლენათა გეოგრაფიული შეპირობების შესახებ.

ჰიპარქი, ძველი ეპოქის უდიდესი ასტრონომი და კოსმოგრაფი, რომელიც ცხოვრობდა ჩვენს ერამდე 180 წლიდან 125 წლამდე. დიდი ხნის განმავლობაში ჰიპარქი მუშაობდა ჯერ კუნძულ როდოსზე, ხოლო შემდეგ ალექსანდრიაში. საზომი იარაღების შემწეობით, რომლებიც მის მიერვე იყო გამოგონილი, ჰიპარქმა მოახდინა ზუსტი გამოანგარიშება და დაკვირვება ცის მნათობებზე; მან პირველმა მოახდინა გამოანგარიშება და შეადგინა მზისა და მთვარის მოძრაობის ცხრილი; მანვე განსაზღვრა მანძილი დედამიწიდან მთვარემდე და მთვარის სიდიდე. ჰიპარქმა პირველმა აღნიშნა, რომ ამათუამ პუნქტის

რუკაზე გადატანისას აუცილებელია განისაზღვროს მისი მდებარეობა ასტრონომიულად. ჰიპარქმა „შემოიღო დედამიწის ზედაპირის სხედასხვა პუნქტის განსაზღვრა სიგანედისა და სიგრძედის მიხედვით; მან პირველმა გაყო თავის რუკებზე ეკვატორი 60-ის ნაცვლად 360 ნიწილად (გრადუსად); ამასთანავე მისი გამოანგარიშებით 1° უდრიდა 700 სტადიას, ანუ 110 კილომეტრს. მან ააგო კონუსური პროექცია, რომელიც შემდეგ პტოლომემ დაამუშავა“ (ნ. მ. ბიკოვსკი—„კარტოგრაფია“, მ.-ლ.; 1923 წ.; გვ. 47).

ჰუდსონი, ჰენრი (1550—1611 წ.წ.), ინგლისელი ცნობილი მოგზაური, პოლარული ქვეყნების მკვლევარი. თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე და ენერჯია შესწირა ამერიკისა და აზიის ირგვლივ ჩრდილო საზღვაო გზის პრობლემის გადაწყვეტას. არქტიკულ რაიონებში თავისი ექსპედიციების დროს ჰუდსონმა აღმოაჩინა სრუტე და ყურე, რომელთაც მისი სახელი ეწოდა (ჰუდსონის ყურე, ჰუდსონის სრუტე), ხოლო ნიუ-იორკის შტატში აღმოაჩინა მდინარე ჰუდსონი. როდესაც მან გადაწყვიტა წასულიყო ზღვით შორს ჩრდილოეთით, მეზღვაურებმა კათეგორიული უარი განაცხადეს და მოითხოვეს უკან დაბრუნება (ინგლისში); ჰუდსონი დაჟინებით მოითხოვდა თავისას და განაცხადა, რომ, რადაც უნდა დაუჯდეს, განაგრძობს გზას ჩრდილოეთისაკენ; მაშინ აჯანყებულმა მეზღვაურებმა შეიპყრეს ჰუდსონი და მისი ყრმა ვაჟი, ჩასვეს ორივენი კანჯოში (შლიუპკა) და ტალღებს გაატანეს, ხოლო თვითონ მოტაცებულ ხომალდზე გაემგზავრენ მშობლიურ ნაპირებისაკენ. ამის შემდეგ არავინ იცის, თუ რა ბედი ეწია ჰუდსონსა და მის ვაჟს.

ჰუმბოლდტი, ალექსანდრე - ფრიდრიხი - ვილჰელმი (1769—1859 წ.წ.), ცნობილი მოგზაური, გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი, ფიზიკური გეოგრაფიის ფუძემდებელი; ენციკლოპედიური ცოდნის მეცნიერი.

გერმანიის გენიალური პოეტი ვოეთე აღნიშნავს, რომ „განათლებით და თავის ინტერესთა სიცხოველით“ ჰუმბოლდტს „არა, ჰყავს ტოლი; ამასთან ერთად აღსანიშნავია მისი მრავალმხრივობა, რომელიც ასევე... არ გვექონია შემთხვევა ვინმე სხვასაც ახასიათებდეს. რა საკითხიც გინდა წამოჭრა მასთან, იგი ყველაფერში თავისუფლად ერკვევა... სულიერი მადლით გვავესებს. იგი ჰგავს მრავალნაკადულიან წყაროს, რომელსაც ყველგან შეიძლება შეუდგა ქურქელი და დაუშრეტელად გადმოსჩქეთს ჩვენსკენ გამაგრილებელი სასმელი“... ახალგაზრდობის წლებში ა. ჰუმბოლდტმა გიორგი ფორსტერთან, ჯემს კუკის ცნობილ თანამგზავრთან, ერთად ინახულა რაინის აუზის ზოგიერთი რაიონი, ჰოლანდია, ბელგია და ინგლისი. 1799 წ. ბოტანიკოს ბონპლანთან ერთად გაემგზავრა სამხრეთ ამერიკაში, სადაც ჯერ მან შეისწავლამდინარე ორინოკოს ხეობაში ლიანოსები, შემდეგ ინახულა კვიტოს ზეგანი, სადაც იგი ავიდა ვულკან პიჩინჩაზე; ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ავიდა კოტოპახზე, ანტიზანასა და ჩიმბორაზოზე. ჰუმბოლდტმა ინახულა აგრეთვე ქალაქი ლიმა და გზაზე გამოიკვლია ცივი დინება, რომელიც სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროების გასწვრივ სამხრეთიდან მოედინება და პერუს ან ჰუმბოლდტის დინების სახელით არის ცნობილი.

პერუდან ჰუმბოლდტი გაემგზავრა მექსიკაში, სადაც მან გამოიკვლია მომქმედი ვულკანი ხორულო.

ხუთი წლის შემდეგ ჰუმბოლდტი ბრუნდება ევროპაში აუარებელი კოლექციით და ყოველგვარი ცოდნით

აღსავსე; დასახლდა პარიზში, სადაც ზოგ მეცნიერთა ხერთაღ 20 წლის განმავლობაში სისტემაში მოიყვანა თავისი ექსპერიმენტების შედეგები და გამოაქვეყნა ფრანგულ ენაზე მონუმენტალური თხზულება: „მოგზაურობა სამხრეთ ამერიკის ეკვატორიალურ ქვეყნებში 1799—1804 წ.წ.“.

რამდენიმე ხნის შემდეგ ერენბერგთან და როზესთან ერთად ინახულა ურალი, ალტაი და ყირგიზეთის სტეპები. ამ მოგზაურობისა და გამოკვლევის შედეგი იყო ჰუმბოლდტის ორი თხზულება: 1) „ნაწყვეტები აზიის გეოლოგიიდან და კლიმატოლოგიიდან“ და 2) „ცენტრალური აზია“. რუსეთის ცნობილი გეოლოგის ივანე ვასილის-ძე მუშეკტოვის სამართლიანი შენიშვნით ა. ჰუმბოლდტის მიერ პირველად იყო დადგენილი ტერმინი — შუა აზია და „შეიტანა მასში ისეთი გარკვეულობა, რომელიც ჰუმბოლდტამდე არ იყო... შუა აზიის სახელწოდებაში ის გულისხმობდა იმ სივრცეს, რომელიც მოთავსებული იყო ჩრდილოეთის სიგანედის  $39\frac{1}{2}^{\circ}$ -სა და  $49\frac{1}{2}^{\circ}$  შორის დასავლეთით კასპიის ზღვასა და აღმოსავლეთით ხინგანს შორის“.

დიდია ა. ჰუმბოლდტის დამსახურება გეოგრაფიული მეცნიერების წინაშე. მან შესძლო შეემჩნია კანონზომიერება ფლორისა და ფაუნის განლაგებაში ადგილის სიმალღესთან შეფარდებით (ვერტიკალური ზონალობა); ამასთან დაკავშირებით ჰუმბოლდტმა დაამუშავა კლიმატოლოგიის ძირითადი იდეები; მან პირველმა გამოსთქვა ის აზრი, რომ შესაძლებელია და აუცილებელია თვალსაჩინოდ აისახოს ადგილების წლიური საშუალო ტემპერატურა და შეერთდეს რუკაზე ხაზებით ყველა ადგილი. რომელთაც თანაბარი საშუალო წლიური ტემპერატურა აქვთ (იზოთერმები). ჰუმბოლდტმა პირველად მიუთითა კქედებისა და ზეგნების განსხვავებაზე, მან პირველმა

დააზუსტა მთის მწვერვალების განსაზღვრა, იგი პირველი იყო, ვინც უფრო ზუსტად გამოიანგარიშა ქედების სიმაღლე, ხოლო შემდეგ კონტინენტების სიმაღლეც; ჰუმბოლდტსავე უნდა უმაღლოდეს მოძღვრება დედამიწის მაგნეტიზმის შესახებ, ჰუმბოლდტის რჩევით 1828 წლიდან დაიწყო მაგნიტური ობსერვატორიების დაარსება.

ჰუმბოლდტის ლიტერატურული მემკვიდრეობა შეიცავს 636 მეცნიერულ შრომას, გარდა ზემოთ აღნიშნულისა მის უმთავრეს ნაშრომთაგან აღვნიშნავთ შემდეგს: 1) „მცენაოეთა გეოგრაფიის იდეა“; 2) „მცენარეთა ფიზიონომიურობის იდეები“; 3) „კოსმოსი“. უნდა აღინიშნოს, რომ ჰუმბოლდტმა პირველად გამოიყენა საბუნებისმეტყველო ფაქტების დასამუშავებლად შედარებითი მეთოდი. „თუ შესაძლებელია დავასახელოთ სახელი, რომელიც სამუდამოდ საპატიო ადგილზე უნდა დარჩეს მეცნიერული დედამიწისმცოდნეობის ისტორიაში, მაშინ ეს, უდავოა, ალექსანდრე ფონ-ჰუმბოლდტის სახელია“ (დ. ნ. ანუჩინი).



## ლიტერატურა

ტექსტში ნაჩვენები ლიტერატურის გარდა, გამოყენებულია აგრეთვე შემდეგი შრომები:

1. Forbiger. „Handbuch der alten Geographie“. В. В. I—III. Leipzig. 1842—1848.

2. Vivien de St. Martin. „Histoire de Geographie“. 1873.

3. К. Риттер. „История землеведений и открытий“. Перев. Бакста. 1874.

4. Peschell, O. Geschichte der Geographie bis auf A. v. Humboldt und K. Ritter. 1878.

5. Полиевктов, М. А., проф. „Европейские путешественники XIII—XVIII в.в. по Кавказу“. Т. 1935 г.

6. გეხტმანი, გ. ნ., პროფ. „ნარკვევები დიდ ზოგჯაურობათა და დიდ აღმოჩენათა ისტორიიდან“. თ. 1940 წ.

7. Барков, А. С. „Словарь-справочник по физической географии“. Учпедгиз. М.-Л. 1940 г.

8. Больш. Совет. Энциклопедия.

9. Мал. Совет. Энциклопедия.

10. „Энциклопедический словарь“ Брокгауза-Ефрона. 1-ое и 2-ое изд.

## ს ა რ ჩ ე ზ ი

	83- 83-
წინასიტყვაობა	3
რედაქციისაგან	5
ა	
ავალიშვილი, გიორგი ივანეს-ძე .	11
ალ-ბალხია	12
ალ-ბირუნის . . . . .	12
ალ-მახუდი, აბულ-ჰასანი .	13
ალ-მუკადასი	13
ალ-იაკუბი, ახმედი	15
ამერიგო ვესპუჩი	15
ამუნდსენი, როალდი	16
ანაქსიმანდრე . . . . .	17
ანდრე, სოლომონი . . . . .	17
ანუჩინი, დიმიტრი ნიკოლოზის-ძე .	18
არისტარქე სამოხელი	19
არისტოტელე	19
ბ	
ბალბოა, ვასკო-ნუნიესი . . . . .	22
ბარანსკი, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე	22
ბარენცი, ვილემი	22
ბაროუ, ჯონი . . . . .	23
ბატონიშვილი, გრიგოლი იოანეს-ძე	24
ბაჟინი (ბეჟინი), ვილიამი	24
ბერგი, ლევ სერგის-ძე	24
ბერინგი, ვიტუსი	26-
ბერნიე, ფრანსუა . . . . .	28
ბელინგსჰაუზენი, თადეოზ თადეოზის-ძე	30
ბორჰრევიჩი, კარსტენი .	30-
ბროუნოვი, პეტრე ივანეს-ძე	31



## ბ

გაბაშვილი, ტიმოთე . . . . .	32
გალილეო, გალილეო	32
გედევანიშვილი, იონა . . . . .	33
გოულდენშტედტი, იოჰან-ანტონი	34
გმელინი, იოჰან-გეორგი .	35
გმელინი, სამუილ-გოტლიბი . .	35
გოლოვინი, ვასილი მიხეილის-ძე . .	35
გრიგორიევი, ანდრია ალექსანდრეს-ძე .	36
გრუმ-გრემაილო, გრიგოლ ექვთიმეს-ძე	38

## დ

დანიბეგაშვილი, რაფიელი	39
დარვინი, ჩარლზ-რობერტი	39
დარვინი, ჯორჯი . .	40
დევისი, უილიამ-მორისი .	40
დევისი, ჯონი	42
დეჟნევი, სიმონი	43
დეკარსი . . . . .	43
დიუმონ-დოურვილი, ყიჟულ-სებასტიან-სეზარი	44
დობრინინი, ბორის თევდორეს-ძე	45
დოკუჩაევი, ვასილი ვასილის-ძე	46
დრიგალსკი, ერიხი	48

## ე

ერატოსთენე . . . . .	49
ეზრემოვი, ფილიპე სერგის-ძე	50

## ვ

ვაგნერი, გერმანი .	52
ვანკუვერი, ჯორჯი . . . . .	53
ვარდან აღმოსავლელი (არაველცი)	53
ვარენიუსი, ბერნჰარდი .	53
ვასკო-და-გამა	54
ვახუშტი . . . . .	55
ვეგენერი, ალფრედი .	56
ვიდალ დე ლა-ბლაში . .	57
ვიზე, ვლადიმერ-იფლის-ძე . . . . .	58

ვილკიცკი, ანდრია იპოლიტეს-ძე	59
ვილკიცკი, ბორის ანდრიას-ძე . . .	59
ვოეიკოვი, ალექსანდრე ივანეს-ძე	59
ვრანგელი, ფერდინანდი პეტრეს-ძე	61

<b>ზ</b>	
ზიუხი, ედუარდი .	63
ზუჟანი, ალექსანდრე	63

<b>ი</b>	
იაკუტი, ალ-ხამავი არარუმი	64
იბნ-ბატუტა . . .	65
იბნ-ფოდლანი, ხმედი .	66
იბნ-ხორდადბეხი	67
იბნ-შაუკალი . . . . .	67
იღრისი (ედრისი), აბდალა მაჰამედი	68
ინჰეჰიანი, ლუკა . . . . .	68
იუნკერი, ვილჰელმი (იგივე ვასილი ვასილის-ძე)	69

<b>კ</b>	
კაბოტი, ჯოვანი (ჯონი)	70
კაბოტი, სებასტიანე . . . . .	70
კაბრალი (კაბრერა), პედრო ალვარესი . . .	70
კანტი, იმან-ული	71
კეპლერი, იოჰანე . . . . .	71
კოვალევსკი, იაგორი პეტრეს-ძე	72
კოზლოვი, პეტრე კუზმას-ძე	72
კოლუმბი, ქრისტეფორე	75
კოპერნიკი, ნიკოლოზი . .	77
კორუინსკი, სერგი ივანეს-ძე .	78
კორტეხი, ფერნანდო (ერნანი)	79
კოცებუ, ოტონ ესტატეს-ძე . .	79
კრახნოვი, ანდრია ნიკოლოზის-ძე .	80
კრაშენინიკოვი, სტეფანე პეტრეს-ძე . . . . .	81
კროპოტკინი (იგივე კრაპოტკინი), პეტრე ალექსის-ძე	81
კრუჟენშტერნი, ივანე თეოდორეს-ძე; .	82
კუკი, ჯემსი . . . . .	83

## ლ

ლანგსდორფი, გრიგოლი ივანეს-ძე .	85
ლა-პერუზი, ჟან-ფრანსუა . . . .	87
ლაპტივები, ხარიტონი და დიმიტრი	87
ლიფინგსტონი, დავით . .	88
ლიტკე, თევდორე პეტრეს-ძე . .	90
ლომონოსოვი, მიხეილ ვასილის-ძე .	90

## მ

მაგელანი, ფერნანდო . .	95
მაკ-კლიური, რობერტ-ჯონი	96
მარტონი, ემანუელი . . . . .	96
მენზიბი, მიხეილ ალექსანდრეს-ძე . . . . .	97
მერკატორი, გერჰარდ კრემერი	97
მერცხაბერი, გოტფრიდი	98
მენსიკოვი, ლევ ილიას-ძე . . . . .	99
მიდენდორფი, ალექსანდრე თევდორეს-ძე . .	101
მიკლუხო-შაკლაი, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე	102
მუშკეტოვი, ივანე ვასილის-ძე .	104

## ნ

ნანსენი, ფრიტიოფი . . . . .	106
ნოკოლაძე, გიორგი ნიკოს-ძე თანამოღვაწეებით .	110
ნორდენშელდი, ადოლფ ერიკი . . . . .	111

## ო

ობრუჩევი, ვლადიმერ ათანასეს-ძე .	113
ობრუჩევი, სერგი ვლადიმერის-ძე .	114
ობზელიანი, სულხან-საბა	114

## პ

პალასი, პეტერ-სიმონი . . .	116
პაპანინი, ივანე დიმიტრის-ძე	116
პახარგე, ზიგფრიდი . . .	117
პახტუსოვი, პეტრე კუზმას-ძე	117
პეცოვი, მიხეილი ვასილის-ძე	118
პენკი, ალბრეხტი . . . . .	118
	189

. პეტრი, ედუარდი იულის-ძე	120
ბეშელი, ოსკარი	120
ბირი, რობერტი . . . . .	121
პისარო (პიხარო), ფრანცისკო . . . . .	122
პლანო-კარპინი (ჯიოვან-დელპიანო-კარპინე)	123
. პლინიუსი, უფროსი	124
პოლო, მარკო . . . . .	125
პოტანინი, გრიგოლი ნიკოლოზის-ძე .	129
პრუვევალსკი, ნიკოლოზ მიხეილის-ძე .	130
პტოლომე, კლავდიუსი . . . . .	131
. რ	
რატიცელი, ფრიდრიხი	133
რეკლიუ, ჟაკ-ელიზე .	134
. რიტერი, კარლი . . . . .	135
რიხტჰოფენი, ფერდინანდი . . . . .	137
როზოროვსკი, ვსევოლოდ ივანეს-ძე	137
როსი, ჯემს კლარკი	137
. როსი, ჯონი . . . . .	138
რუბრუკვისი (რუბრუკი), ვილჰელმი (ჰილიომი) .	138
რუსანოვი, ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე	140
. ს	
საპოჟნიკოვი, ვასილი ვასილის-ძე	143
სედოვი, გიორგი იაკობის-ძე . . . . .	143
სევერცოვი, ნიკოლოზ ალექსის-ძე	145
. სენ-შედინი . . . . .	145
სემიონოვ-ტიან-შანსკი, პეტრე პეტრეს-ძე .	147
სკოტი, რობერტ-ფალკონი . . . . .	148
სტენლი, ჰენრი მორტონი	149
სტრაზონი . . . . .	150
სულემიანი	150
. ტ	
ტანფილოევი, გაბრიელ ივანეს-ძე	152
ტასმანი, აბელი . . . . .	152
. ტილო, ალექსი ანდრეას-ძე .	153

ტოსკანელი, პაოლო .	154
ტურნეფორი, ჟოზეფი	154
·უ	
უოლესი, ალფრედ რესელი	156
·ფ	
ფედჩენკო, ალექსი პავლეს-ძე	159
ფორელი, ფრანსუა-ალფონსი . . .	159
ფრანკლინი, ჯონი . . . .	160
ფრეშფილდი, დუგლას ვილიამი	161
·ჟ	
ჟავრიშვილი, ბესარიონ ივანეს-ძე	163
·შ	
შარდენი, ჟანი . . . . .	166
შელეხოვი (იგივე შელიხოვი), გრიგოლ ივანეს-ძე	168
შოკალსკი, იული მიხეილის-ძე	168
·ჩ	
ჩიხაჩევი, პეტრე ალექსანდრეს-ძე	170
·ხ	
ხანიკოვი, ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე .	172
·ჯ	
ჯავახიშვილი, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე	174
·კ	
კეროდოტე .	177
კეტნერი, ალფრედი	178
კიპარკი . . .	180
კუდსონი, ჰენრი . . . . .	181
კუმბოლდტი, ალექსანდრე-ფრიდრიხი-ვილჰელმი	182
ლიტერატურა (გარდა ტექსტში მოხსენებულია)	185
სარჩევი .	186



შემჩნეული შეცდომები

გვ.	სტრიქ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
25	5 ქვ.	ჩრდიც	ჩრდიც
50	15 ხევ.	კაცშირის	ქაშშირის
85	3 ხევ.	წმ	წვერი
118	9 ხევ.	„პროტივ“	„პროტოვ“

რედაქტორი—დავ. დონდუა.

შეკვეთა № 2072  
 ტირაჟი— 4.200  
 შე10107

საქ. ადგ. მრეწ. სახ. კომ-ის სტამბა, ფურცელადის ქ. № 5.